

178/3
1979

საქართველოს
საბჭოთავო
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
აკადემია


ISSN 0132-5981

საქართველო

საგანმანათლებლო



თბილისი - 1979



ვ. ი. ლენინი



საქართველო საქართველო

№ 2

მარტი
აპრილი

1979 წელი

შურნალი გამომცემის 1926 წლის 1 მარტიდან

**საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს,
პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს
მეცნიერულ-პრაქტიკული ჟურნალი**

შ ი ნ ა ა რ ს ი

აგმალლოთ სახალხო მეურნეობაში იურიდიული სამსახურის დონე	3
ბ. ინწკირველი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო	9
გ. ერემოვი — კანონი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ	15
დ. ცინცაძე — გავაძლიეროთ ბრძოლა ფონდირებული პროლეტციის მიწოდებაში არსებულ დარღვევებთან	26
ე. გამყრელიძე — ახლო ნათესავის მიერ ჩადენილი დანაშაულის დაფარვა	33
ვ. ნარმანია — აგმალლოთ შრომითი კოლექტივების როლი სამართალდარღვევათა პროფილაქტიკაში	39
ზ. უგრეხელიძე — „სისხლის სამართლის პოლიტიკა და სისხლის სამართალი“ (ვარნის საერთაშორისო სიმპოზიუმის შესახებ)	47
ი. გედევანიშვილი — იურისტები — ნობელის პრემიის ლაურეატები	55
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში	59
იურიდიული ჟურნალების ფურცლებზე	62
იუდიციალური მახალა	66
ენფორმაცია	68
ნეკროლოგია	80

СОДЕРЖАНИЕ

Повысить уровень юридической службы в народном хозяйстве	3
Г. Инцкирвели — Верховный Совет СССР	9
Г. Еремов — Закон о Совете Министров СССР	16
Р. Цинцадзе — Усилить борьбу с нарушениями при поставках фондируемой продукции	26
О. Гамкrelидзе — Сокрытие преступления, совершенного близким родственником	33
К. Нармания — Повысить роль трудовых коллективов в профилактике правонарушений	39
М. Угрехелидзе — «Уголовно-правовая политика и уголовное право» (О международном симпозиуме в г. Варна)	47
Л. Гедеванишвили — Юристы лауреаты Нобелевской премии	55
В президиуме Верховного Совета Грузинской ССР	59
На страницах юридических журналов	62
Официальный материал	66
Информация	68
Некрологи	80



**სარედაქციო
კოლეგია:**

- ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი) ა. ბარაბაძე,
- გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე, მ. ლეკვეიშვილი,
- გ. უვანია, გ. ტყეშელიაძე, ვ. ქვაჩახია,
- ა. შუშანაშვილი, დ. შენგელია (პ/მგ. მდივანი), თ. წერეთელი,
- ა. ხოჭოლავა, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი, თბილისი, ალმხანოვის პრ. 103. ტ. 95.58.87, 95.88.49.

გადაეცა ასაწყობად 13.III.79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.IV.79 წ.
ფორმატი 70×108/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი
ფურცელი 8,4. სააღრიცხვო-საგაჟომცემლო თაბახი 8,87
შექვ. № 779 ტირაჟი 16950 უე G8077

აკაბალმით სახალხო გურანოგაში იურდიული სამსახურის ღონე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია უკანასკნელ ხანს დიდ ყურადღებას უთმობს სახალხო მეურნეობაში იურიდიული სამსახურის სრულყოფას, რომლის მნიშვნელობა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში სულ უფრო იზრდება. განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში, როცა მთელი სახალხო მეურნეობა გეგმაზომიერად ვითარდება, სახალხო მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობა წარმოუდგენელია სამეურნეო კანონმდებლობის განუხრელად დაცვის, საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინის ყოველმხრივი განმტკიცების გარეშე.

ცნობილია, რომ 1965 წლიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ღონისძიებანი, რამაც უკეთესი ეკონომიკური და ორგანიზაციული წანამძღვრები შეუქმნა შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და წარმოების რენტაბელობის უზრუნველყოფას, ნაკლები შრომითი, მატერიალური და ფინანსური დანახარჯებით მაღალი ხარისხის საქონლის გამოშვების გაფართოებას. ამ ღონისძიებებს, რომლებიც ისტორიაში სამეურნეო რეფორმის სახელწოდებით შევიდა, უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. მან საწარმოები, გაერთიანებები და სხვა სამეურნეო ერთეულები აღჭურვა მანამდე არნახული უფლებებით, გაზარდა ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკებისა და მთლიანად კოლექტივების ინტერესი მართვის ახალი ეკონომიკური მეთოდებისადმი, წარმოების ძირითადი ფონდებისა და მატერიალური რესურსების უკეთ გამოყენებისადმი.

თავისთავად ცხადია, რომ სამეურნეო კანონმდებლობაში შეტანილმა ამ ძირეულმა ცვლილებებმა, მისი მოცულობის მნიშვნელოვნად გაზრდამ და შინაარსის გართულებამ მოითხოვა, რომ ამაღლებულიყო სახალხო მეურნეობაში იურიდიული სამსახურის როლი, რომელიც მანამდე უკიდურესად დაკნინებული იყო. საკმარისია ითქვას, რომ მაშინ ბევრ მსხვილ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოში, უფრო მეტი, სამრეწველო პროფილის სამინისტროშიც კი იურისტი სანთლით იყო საქმენელი.

მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა 1970 წლიდან, როცა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება „სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“. ეს იყო დიდმნიშვნელოვანი პარტიული დოკუმენტი, რომელშიც მკაცრად და პრინციპულად იყო გაკრიტიკებული სამინისტროები, უწყებები, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები სამართლებრივი მუშაობის მნიშვნელობის შეუფასებლობისათვის, სამეურნეო მექანიზმის სრულ-

ყოფასა და სავაჭრო დისციპლინის განმტკიცებაში იურიდიული სამსახურის არასაკმარის გამოყენებისათვის. იურიდიული სამსახურის მთავარ ამოცანად ჩაითვა, რომ მთელი თავისი საქმიანობით აქტიურად შეეწყოს ხელი სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისათვის, გაეძლიერებინა ბრძოლა სახელმწიფო ქონების ხელყოფის, უყაარათობის, უხარისხო პროდუქციის გამოშვების წინააღმდეგ, არ დაეშვა შრომის, ადმინისტრაციული, საბინაო კანონმდებლობის, აგრეთვე საბჭოთა და საკოლმეურნეო დემოკრატიის ნორმების დარღვევა. ეს დადგენილება შემობრუნების პუნქტად გადაიქცა და გადამწყვეტი როლი შეასრულა სახალხო მეურნეობაში იურიდიული სამსახურის ავტორიტეტის ასამაღლებლად.

სასიკეთო ძვრები მოხდა ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაშიც. დღეისათვის საქართველოს სახალხო მეურნეობაში თითქმის 1300 იურისტი მუშაობს. ეს ერთისამად მეტია, ვიდრე 3—4 წლის წინათ იყო. მარტო 1977—1978 წლებში დამატებით იქნა შემოღებული იურისკონსულტის 100 საშტატო ერთეული.

საწარმოშიც და სამინისტროშიც იურისტი საქირო და კომპეტენტური პირი გახდა. მას ეთათბირებიან და ანგარიშს უწევენ, მის რჩევას ყურად იღებენ და იზიარებენ. შეიძლება ითქვას, რომ ძირფესვიანად შეიცვალა სამეურნეო ორგანოებისა და სამინისტროების ხელმძღვანელების დამოკიდებულება იურიდიული სამსახურისადმი, იურისტის პროფესიისადმი.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რაოდენ დიდ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა კარგად ორგანიზებული იურიდიული სამსახური, მოვიყვანო ერთ მაგალითს. საწარმოო გაერთიანება „სინარტლის“ იურისკონსულტი ლ. ბახტაძე სისტემატურად და ფხიზლად ადევნებს თვალყურს, რომ არ დაირღვეს სახელმეკრელებო დისციპლინა. ამის წყალობით 1978 წელს გაერთიანებას ერთი მანეთიც კი არ გადაუხდია ჯარიმის სახით, მაშინ, როდესაც 1977 წელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის 52.000 მანეთი ჯარიმა გადაიხადა. კონტრაგენტების მხრივ ხელშეკრულების დარღვევისათვის 1977—1978 წლებში გაერთიანების სასარგებლოდ თითქმის 50.000 მანეთი იქნა გადმორიცხული. იურისკონსულტის შენახვა კი გაერთიანებას წელიწადში სულ 1920 მანეთი უჯდება.

იურისკონსულტების გარდა, რესპუბლიკის სხალხო მეურნეობას ამჟამად ემსახურებიან ადვოკატთა კოლეგიის წევრებიც. შარშან 228 საწარმოს, 14 საბჭოთა მეურნეობას და 1 კოლმეურნეობას იურიდიულ დახმარებას უწევდა 183 ადვოკატი ანუ მთელი მათი შემადგენლობის 32 პროცენტი. საწარმოთა და ორგანიზაციათა სახელზე მათ გააფორმეს 257 ხელშეკრულება, სარჩელები და პრეტენზიები სასამართლოში შეტანილია 997 საქმის გამო, ორგანიზაციების სასარგებლოდ მათი ჩარევის შედეგად ვადმორიცხულია 3 მილიონ მანეთზე მეტი.

რესპუბლიკის ორმოცზე მეტ სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონულ საბჭოში საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილია იურიდიული განყოფილებები ანდა იურისკონსულტთა საბჭოები, რომლებიც აქტიურ და გეგმაზომიერ დახმარებას უწევენ სამოქმედო ტერიტორიაზე განლაგებული ორგანიზაციების იურიდიული სამსახურის მუშაებს. ისინი საბჭოების სესიების და აღმასკომის სხდომებზე განსახილველად ამზადებენ სამართლებრივი მუშაობის ცალკეულ საკითხებს, საზოგადოება „ცოდნის“ ადგილობრივ განყოფილებასთან ერთად

ახორციელებენ ღონისძიებებს მოსახლეობის მართლშეგნების ამაღლებისათვის, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის.

დადებითს შეფასებას იმსახურებს სასოფლო მშენებლობის, ადგილობრივი მრეწველობის, ფინანსთა, ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვის, ხორცისა და რძის მრეწველობის, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროების იურიდიული სამსახურების საქმიანობა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობის დამოკიდებულება და ყურადღება იურიდიული სამსახურისადმი. საკმარისია ითქვას, რომ მის სისტემაში დღეისათვის 250 იურისკონსულტი მუშაობს. ჩვენი ჟურნალი შარშან წერდა, თუ რა დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულეს მათ. 1975 წელს იურისტების დახმარებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობას დაუბრუნდა 800 ჰექტარი მიტაცებული მიწა, სასამართლოს, არბიტრაჟის, მეშვეობით და დამოუკიდებლად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს აუნაზღაურდა დაახლოებით შეიდი მილიონი მანეთი. თითოეული იურისტის ეკონომიურმა ეფექტიანობამ რესპუბლიკაში საშუალოდ 32.463 მანეთი შეადგინა.

მაგრამ მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა პოზიტიური ძვრების, უკვე მიღწეული შედეგების ფონზე არ შეგვენიშნა, რომ იურიდიული სამსახურის თანამედროვე ღონე სახალხო მეურნეობაში ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება ცხოვრების მოთხოვნებს, მისი საქმიანობა არ შეესაბამება სამართალდარღვევებთან ეფექტიანი ბრძოლის გაზრდილ ამოცანებს, იგი მხარს ვერ უბამს იმ გრანდიოზულ გარდაქმნებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ხდება. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მეოთხე მუხლის მიხედვით საბჭოთა სახელმწიფო და მისი ყველა ორგანო მოვალეა მოქმედებდეს სოციალისტური კანონიერების საფუძველზე, უზრუნველყოფდეს მართლწესრიგის, საზოგადოების ინტერესების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები და თანამდებობის პირები უნდა იცავდნენ სსრ კავშირის კონსტიტუციას და საბჭოთა კანონებს. იურიდიული სამსახურის მუშაკები ხშირად ივიწყებენ, რომ უბირველეს ყოვლისა ისინი არიან მოვალენი დაიცვან სსრ კავშირის კონსტიტუცია, იზრუნონ სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის. იურიდიული სამსახურის ერთერთი მთავარი ნაკლი ის არის, რომ მის საქმიანობას აკლია მასშტაბურობა. იგი წვრილმან მეორეხარისხოვან საქმეებს არის გადაყოლილი, ზოგჯერ იმასაც კი, რაც მის ფუნქციაში არ შედის, ხოლო ძირითადს — სამეურნეო მექანიზმის მუშაობის აწყობას — ნაკლებ ყურადღებას უთმობს.

სახალხო მეურნეობაში მომუშავე იურისტებმა მხედველობაში უნდა მიიღონ, რომ პროდუქციის უდროოდ მიწოდება, სამშენებლო სამუშაოთა შესრულების დაყოვნება, დანაკარგები და დანაკლისი, საქონლის დაზიანება გადაზიდვისას, შეცდომები ობიექტების დაპროექტებისას, კრედიტის გაცემაზე უსაფუძვლო უარის თქმა, მიღებული სესხის დაგვიანებით დაბრუნება და კანონის სხვა უმნიშვნელო დარღვევაც კი აფერხებს საწარმოთა რიტმულ მუშაობას, აუარესებს მის ეკონომიკურ მაჩვენებლებს, ზიანს აყენებს მთელ სახალხო მეურნეობას. საბჭოთა ეკონომიკა არსებითად ერთიანი მძლავრი საერთო-სახალხო კომპლექსია, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი წარმოების ყველა რგოლს, სადაც განაწილება და გაცვლა მთელი ქვეყნის მასშტაბით ხდება.

ამ გიგანტური სამეურნეო მექანიზმის რომელიმე რგოლში დაშვებული დარღვევა დაუყოვნებლივ აირეკლება ხოლმე და უარყოფითს გავლენას ახდენს სხვა რგოლის გამართულ საქმიანობაზე. ხშირად ამას არა მარტო საწარმოების იურიდიული სამსახურის, არამედ ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკებიც კი არ ითვალისწინებენ.

თანამედროვე პირობებში კი ხელმძღვანელს მეტი მოეთხოვება. თავის მოხსენებაში პარტიის XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ვენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „თანამედროვე ხელმძღვანელის პიროვნებაში ორგანულად უნდა იყოს შერწყმული პარტიულობა და ღრმა კომპეტენტურობა, დისციპლინიზებულობა და საქმისადმი ინიციატივიანი, შემოქმედებითი მიდგომა... ისინი მოვალენი არიან იმაღლებდნენ თეორიულ დონეს, იღრმავებდნენ ცოდნას, ეუფლებოდნენ მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევებს, წარმოებისა და მართვის ორგანიზაციას“¹.

სახალხო მეურნეობაში იურიდიული სამსახურის მთელი საქმიანობის გარდაქმნისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებას „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და მშენებლობის საწარმოებში სამართლებრივი სამსახურის როლის ასამაღლებლად ირკუტსკის ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობის შესახებ“. დადგენილებაში ნათქვამია, რომ ქალაქად და სოფლად ჯერ კიდევ ბევრი საწარმოო კოლექტივი ფუშავს პროდუქციის რეალიზაციისა და ნაწარმის ნომენკლატურის დავალებებს, ხელოვნურად ალამაზებს მაჩვენებლებს, უგანრიგოდ უშვებს ფონდირებულ მასალებს. იშვიათი როდია, როცა საწარმოო უხეშად არღვევს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. მარტო 1976 წელს არბიტრაჟის ორგანოებმა მიმწოდებლებს უხარისხო პროდუქციის გამო მილიონი მანეთი ჯარიმა გადაახდევინეს².

ეს ნაკლოვანებები გვხვდება ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილეშიც.

ამ ცოტა ხნის წინათ, მიმდინარე წლის 11 იანვარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მოეწყო ხელმძღვანელი სამეურნეო და იურიდიული სამსახურის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელსაც დაესწრნენ პარტიის რაიონული კომიტეტის მდივნები. თათბირზე გულახდილი სჯა-ბაასი გაიმართა იურიდიული სამსახურის საქმიანობის სრულყოფის საკითხებზე. მომხსენებელმა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ა. შუშნაშვილმა და კამათის მონაწილე ორატორებმა თათბირის მონაწილეთა ყურადღება მიაპყრეს გადაუჭრელ პრობლემებს, იმ ამოცანებს, რომლებიც დასახულია სამეურნეო და იურიდიული სამსახურის მუშაკთა წინაშე, რათა ამაღლდეს საწარმოთა პასუხისმგებლობა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისათვის, პროდუქციის ხარისხისათვის. თათბირზე ითქვა, რომ საჭიროა სამეურნეო საქმიანობის სამართლებრივი ზოწვსრიგების შემდგომი გაუმჯობესება, რომ კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული ამოცანები მოითხოვს მართვის ხელოვნების მეთოდების დახვეწას, ყველა რგოლში რკინისებური დისციპლინის დამყარებას, კანონისა და კანონიერების მტკიცე დაცვას.

სამწუხაროდ, ფაქტები გვიჩვენებს, რომ ბევრი სამრეწველო და სასოფ-

¹ სკკპ XXV ყრილობის მასალები, გვ. 96-97, თბილისი, 1976 წ.

² გაზ. „პრავდა“, 1977 წ. 26 აპრილი.

ლო-სამეურნეო საწარმო ურიგდება საგემო დისციპლინის დარღვევას, უშვებს უხარისხო პროდუქციას, არ ასრულებს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს. მაგალითად, თბილისის № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკას 1977—1978 წლებში გამოშვებული 53 მილიონი მანეთის პროდუქციიდან უხარისხობის გამო უკან დაუბრუნდა 2.237,8 ათასი მანეთის პროდუქცია, რისთვისაც გადაიხადა 225.233 ათასი მანეთი ჯარიმა. ასევე დიდძალი უხარისხო პროდუქცია აქვთ გამოშვებული ქ. თბილისის აბრეშუმის საწარმოს გაერთიანების, ქ. თბილისის № 2 ტრიკოტაჟის ფაბრიკის კოლექტივებს. გასულ წელს სავაჭრო ორგანიზაციებს აეკრძალათ ქ. თბილისის საწარმოების ზოგიერთი ნაწარმის მიღება. ასეთებია საწარმოო გაერთიანება „ისანი“, მექანიკური და რეზინტექნიკური ქარხნები, ყრუ-მუნჯთა სასწავლო საწარმო და სხვა.

მცხეთის რაიონის სახალხო მეურნეობის ობიექტებში სათანადოდ არ იყენებენ სამართლებრივ საშუალებებს პროდუქციის ხარისხის მართვაში. ამას ადასტურებს შემდეგი მაგალითი. რაიონის მეურნეობები დიდ ზარალს განიცდიან უხარისხო ხორცისა და რძის ჩაბარების შედეგად. მარტო უხარისხო რძის ჩაბარების გამო 1978 წლის 9 თვეში საბჭოთა მეურნეობებმა იზარალეს 23.696 მანეთი. აქ, ისე როგორც სხვაგანაც, არ იცავენ შრომის კანონთა კოდექსის 91-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც უხარისხო ან არასტანდარტული პროდუქტების გამოშვებისათვის მუშაკს უნდა დაეკისროს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

უხარისხო პროდუქციის გამოშვების წინაღობაში ბრძოლაში თითქმის არ არის გამოყენებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. შარშან რესპუბლიკის სასამართლოებში უხარისხო პროდუქციის გამო სულ განხილულია 10 საქმე 13 პირის მიმართ.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას დიდ ზარალს აყენებს საწარმოებში შრომის დისციპლინის უაღრესად დაბალი დონე. საკმარისია ითქვას, რომ შარშან მრეწველობაში გაცდენილია თითქმის მილიონი კაც-დღე. შრომის დისციპლინის უხეშად დარღვევისათვის 16.179 მუშასა და მოსამსახურეს დაეღო ადმინისტრაციული სასჯელი. ეს აიძულებს სამეურნეო ხელმძღვანელებს დაუშვან შრომის კანონმდებლობის დარღვევა, რაც საზეგანაკვეთო მუშაობით გამოიხატება. საწარმოებში ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა საზეგანაკვეთო მუშაობა. საკმარისია ითქვას, რომ შარშან მან თითქმის სამი მილიონი კაც-დღე შეადგინა.

კანონის სერიოზული დარღვევები ხდება რესპუბლიკის სამშენებლო პროფილის სამინისტროებსა და საწარმოებში. აქ დიდია გაფლანგვა-გატაცებით მიყენებული ზარალი. საქართველოს სსრ სამშენებლო სამინისტრომ შარშან საგამოძიებო ორგანოებს გადასცა საქმეები სამ მილიონ მანეთზე მეტი მატერიალური ღირებულების გატაცებაზე, რაც სისტემაში 1975 წლამდე მოხდა. სამშენებლო საწარმოებში უხეშად ირღვევა შრომის უსაფრთხოების წესები. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე სამშენებლო სამინისტროში საწარმო ტრავმატიზმის 532 შემთხვევა იყო.

იურიდიული სამსახურის მუშაკების ერთ-ერთი მთავარი მოვალეობაა საუწყებო ნორმატიული აქტების მოწესრიგება და გამოცემა. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში თითქმის 400.000 სამართლებრივი ნორმა მოქმედებს, რომლებშიც ვარკვევა მეტად ძნელია. თუმცა უკანასკნელ ხანს ბევრი რამ ვაკეთდა კანონმდებლობის კოდიფიკაციისა და

სისტემატიზაციის დარგში, მაგრამ ყველაფერი რიგზე მანც არ არის. ამოცანა ის არის, რომ ათასობით მოქმედი სამართლებრივი ნორმა ზუსტად შევეთანხმოთ ერთმანეთს, შევცვალოთ უკვე მოძველებული, წინააღმდეგობრივი აქტები, ფაქტობრივად ძალადაკარგული ბრძანებები და სხვა ნორმატიული მასალა. ბევრგან ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმისადმი არ იჩენენ სერიოზულ დამოკიდებულებას. ამას წინათ, მაგალითად, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ განიხილა სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს იურიდიული სამსახურის საქმიანობა. შემოწმებით გამოვლინდა, რომ აქ ჯერ არც შესდგომიან მზადებას საუწყებო ნორმატიული აქტების მოსაწესრიგებლად.

შეუძლებელია ამ წერილში ამომწურავად ითქვას ყველაფერი სახალხო მეურნეობაში იურიდიული სამსახურის მნიშვნელობაზე. რედაქცია ცდილობს ჟურნალის ფურცლები უფრო ფართოდ დაუთმოს იურისკონსულტებს, იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელებს. სასიამოვნო ფაქტად უნდა ჩაითვალოს ის, რომ რედაქციისა და იურიდიული სამსახურის თანამშრომლობა ბოლო ხანებში ვითარდება და მტკიცდება.

ამას წინათ რედაქციამ მძილო წერილი მიააკოვსკის რაიონიდან, სამეურნეობათაშორისო იურიდიული ჯგუფის უფროსი ე. არწივაძე გვწერს: „სამეურნეობათაშორისო იურიდიულ ჯგუფებს არავითარი ტრანსპორტი არ გააჩნიათ. სოფლის მეურნეობის სამმართველოები არ ახორციელებენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მრავალჯერ მიღებულ დადგენილებას ტრანსპორტით მომსახურების გაწევის შესახებ. ამის გამო ირღვევა შრომის დისციპლინა, ნაკლებ ნაყოფიერია იურისტების მიერ გაწეული შრომა, ფუჭად იხარჯება დრო, ირღვევა მეურნეობაში გამოცხადების გრაფიკი. იურისტებს არ ეძლევათ შიდარაიონული სამივლინებო თანხები... საჭიროა დაისვას ეს საკითხი და მივლინების თანხების განაღდების საქმე გადაწყდეს ისე, როგორც ეს პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაკებისათვის არის დადგენილი“. საინტერესო წინადადებებს აყენებს რედაქციის სახელზე გამოგზავნილ წერილში ქ. ტყიბულის სოფლის მეურნეობის სამმართველოს იურიდიული ჯგუფის უფროსი ა. მეტრეველი.

მიზანშეწონილი იქნება, თუ ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქცია იუსტიციის სამინისტროს შესაბამის განყოფილებასთან ერთად შეისწავლის ამ და სხვა წინადადებებს და იზრუნებს მათი განხორციელებისათვის. ეს ხელს შეუწყობს სახალხო მეურნეობაში იურიდიული სამსახურის როლის ამაღლებას.

ეკვი არ არის, რომ იურიდიული სამსახურის მუშაკები ყველაფერს გააკეთებენ საგვეგმო და სახელმეკრულებო დისციპლინის განმტკიცებისათვის, გააძლიერებენ ბრძოლას უყაირათობისა და სახელმწიფო ქონების გატაცების წინააღმდეგ, აქტიურად დაეხმარებიან საწარმოებისა და მეურნეობების ხელმძღვანელებს მართვის კულტურის ამაღლებაში, მეურნეობის გაძლიერებაში, უზრუნველყოფენ სამეურნეო მექანიზმის ყველა რგოლის გამართულ და ზუსტ მუშაობას, სოციალისტური კანონიერების ყოველმხრივ დაცვას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო

პროც. 3. ინფორმაციები

1979 წლის 4 მარტს გაიმართა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. საარჩევნო კამპანიამ ყველგან მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლის ნიშნით ჩაიარა და მკაფიოდ ცხადყო ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მოქალაქეთა მჭიდრო დარაზმულობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. სრულიად გამართლდა ის სურვილები, რომლებიც გამოთქმული იყო საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საახალწლო მოლოცვაში: „1979 წლის მარტში გაიმართება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. დაე, იგი იქცეს მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო საბჭოთა ადამიანების მჭიდრო შეკავშირების ახალ ნათელ დემონსტრაციად, სოციალისტური დემოკრატიის ზეიმად“.

არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში ხალხის უფართოესი ფენები მონაწილეობდა. მილიონობით საბჭოთა ადამიანი აქტიურად მუშაობდა საარჩევნო კომისიებში, ასრულებდა აგიტატორის, პროპაგანდისტის და ნდობით აღჭურვილ პირის მოვალეობას. საარჩევნო კამპანიის პერიოდში, წინასაარჩევნო კრებებზე მშრომელები გამოთქვამდნენ შენიშვნებსა და წინადადებებს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქმიანობის შესახებ, თავისუფლად და ყოველმხრივ განიხილავდნენ დებუტატობის კანდიდატთა პოლიტიკურ და საქმიან თვისებებს, აძლევდნენ მათ სათანადო განაწესებს. როგორც ყოველთვის, ამომრჩევლებმა უდიდესი აქტიურობა გამოიჩინეს კენჭისყრის დროსაც. ამომრჩეველთა სიებში შეყვანილი იყო 174.944.173 კაცი, ხოლო კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 174.920.221 ამომრჩეველმა, ანუ 99,99 პროცენტმა. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაში რეგისტრირებული იყო 3.149.088 ამომრჩეველი, ხოლო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 3.149.043 კაცმა, ანუ 99,99 პროცენტმა.

სულ სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლეს საბჭოში არჩეულ იქნა 1500 დებუტატი — 750 კავშირის საბჭოში და 750 ეროვნებათა საბჭოში. დებუტატთა შემადგენლობაში 522 მუშაა, ანუ 34,8 პროცენტი, 244 კოლმეურნეა, ანუ 16,3 პროცენტი; სკკპ წევრები და წევრობის კანდიდატები შეადგენენ 71,7 პროცენტს, საკავშირო ალკვ წევრები — 13,8 პროცენტს, ქალები — 32,3 პროცენტს; 30 წლამდე ასაკის დებუტატთა რაოდენობა უდრის 317-ს, ანუ 21,1 პროცენტს. საქართველოს სს რესპუბლიკიდან სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში არჩეულია 73 დებუტატი, აქედან კავშირის საბჭოში 14 დებუტატი, და ეროვნებათა საბჭოში 59 დებუტატი (32 როგორც მოკავშირე რესპუბლიკიდან 11—

11 დეპუტატი აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებთან და 5 დეპუტატი სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქიდან).

ახლანდელი არჩევნები პირველად მოეწყო სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ, მისი პრინციპების საფუძველზე და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ 1978 წლის 6 ივლისს მიღებული კანონის შესაბამისად. კონსტიტუციას და დასახელებულ კანონს რაიმე განსაკუთრებული, პრინციპული ხასიათის ცვლილებები არ შეუტანია სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს შექმნას, სტრუქტურისა და კომპეტენციის საკითხებში, ისეთი როგორაც თავის დროზე 1936 წლის კონსტიტუციამ შეიტანა 1924 წლის კონსტიტუციასთან შედარებით, მაგრამ ცვლილებები მაინც არის. პირველ ყოვლისა კი ის, რომ ამ ორგანოს არჩევა ხდება არა 4 წლით, როგორც აქამდე იყო, არამედ 5 წლის ვადით. სწორედ ამიტომ 1974 წელს არჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადა შესაბამისად გადიდდა და ახალი არჩევნები ჩატარდა არა 1978 წელს, არამედ 1979 წლის 4 მარტს. ვარდა ამისა, ახალი კონსტიტუციით დადგინდა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად შეიძლება არჩეული იქნეს საბჭოთა მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 21 წელი, მაშინ როდესაც აქამდე სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში ე. წ. პასიური საარჩევნო უფლების ასაკობრივი ცენზი უდრიდა 23 წელს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ აღიარება იმას ნიშნავს, რომ იგი სათავეში უდგას საბჭოთა სახელმწიფოს ორგანოთა მთელ სისტემას, რომ მისი საქმიანობა ვრცელდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და მისი გადაწყვეტილებანი სავალდებულოა სახელმწიფოს ყველა სხვა ორგანოსათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, პირველად შეიქმნა 1937 წლის 12 დეკემბრის არჩევნების დროს (1936 წლის კონსტიტუციის შესაბამისად) მანამდე კი, 1924 წლის კონსტიტუციით, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს წარმოადგენდნენ: სსრ კავშირის საბჭოების ყრალობა, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი. მას შემდეგ, რაც პირველად ჩატარდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, განვლილი წლების მანძილზე სულ ცხრაჯერ იქნა არჩეული სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რეგულარულად ოთხ წელიწადში ერთხელ (ომის წლების გამოკლებით), მიზდინარე წლის 4 მარტს კი არჩეულ იქნა მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭო.

ჩვენი ქვეყნის ძირითად კანონში, ახალ საბჭოთა კონსტიტუციაში სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს დათმობილი აქვს მე-15 თავი, რომელიც შედის კონსტიტუციის მეხუთე კარში „სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები“. მის ერთ-ერთ მუხლში (108) ჩაწერილია, რომ „უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია წყვეტდეს ყველა საკითხს, რომლებიც ამ კონსტიტუციით სსრ კავშირის გამგებლობას განეკუთვნება“. იქვე მითითებულია უმაღლესი საბჭოს კომპეტენციაში შემავალი ძირითადი უფლებამოსილება, სახელდობრ კი ის, რომ მხოლოდ და მხოლოდ უმაღლესი საბჭო ახორციელებს სსრ კავშირის კონსტიტუციის მიღებას და კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას, ხსრ კავშირის შემადგენლობაში ახალი რესპუბლიკების მიღებას, ახალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქე-

ბის შექმნის დამტკიცებას, ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებას, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული სხვა საკავშირო ორგანოების შექმნას. ამ ორგანოებიდან მთავარია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო. უმაღლესი საბჭო ნიშნავს აგრეთვე სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს.

იმის შესახებ, თუ რა განეკუთვნება მრავალეროვან საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ სახელმწიფოში სსრ კავშირის გამგებლობას მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით, უფრო დაწვრილებით ლაპარაკია კონსტიტუციის მესამე კარის მე-8 თავში „სსრ კავშირი საკავშირო სახელმწიფოა“. მის 73-ე მუხლში ჩამოთვლილი ეს უფლებები შეეხება ურთიერთობას სსრ კავშირისა, როგორც ერთ მთლიანსა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას, ადმინისტრაციულ-პოლიტიკური და სამართლებრივი რეგულირების, აგრეთვე ქვეყნის საგარეო ურთიერთობის, თავდაცვისა და სახელმწიფო უშიშროების ამოცანებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს, საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მხარეა კანონმდებლობის განხორციელება. ახალი კონსტიტუციით განმტკიცებულია უმაღლესი საბჭოს ეს განსაკუთრებული კომპეტენცია. 108-ე მუხლში ჩაწერილია, რომ სსრ კავშირის კანონები მიიღება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ ან საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით (რეფერენდუმით), რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით ეწყობა.

საკანონმდებლო პროცესის საკითხების განსაზღვრაში ახალი საბჭოთა კონსტიტუციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლეა საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე პირების, ორგანოებისა და ორგანიზაციების ზუსტად დადგენა. ასეთი უფლებით, ე. ი. სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში კანონპროექტების შეტანის უფლებით კონსტიტუციის 113-ე მუხლის მიხედვით სარგებლობენ: კავშირის საბჭო და ეროვნებათა საბჭო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, მოკავშირე რესპუბლიკები მათი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სახით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომისიები და მისი პალატების მუდმივი კომისიები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მათი საერთო-საკავშირო ორგანოების სახით.

მართალია, უმაღლეს საბჭოში კანონპროექტების სახით მხოლოდ საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე პირებისა და ორგანოების წინადადებების განხილვა არის სავალდებულო და აუცილებელი, მაგრამ, როგორც ცნობილია, ასეთი კანონპროექტების შემუშავებისას მხედველობაში არის ხოლმე მიღებული მშრომელებისა და მათი ორგანიზაციების მიერ წამოჭრილი საკითხება, მათი სურვილები და მოთხოვნები. ვარდა ამისა, იმ მიზნით, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კანონპროექტების განხილვაში უშუალოდ თვით ხალხმა მიიღოს აქტიური მონაწილეობა და კანონმა უფრო სრულად გამოხატოს მოქალაქეთა ინტერესები და ნება-სურვილი, უმაღლესი საბჭოს სესიაზე განსჯამდე და

დამტკიცებამდე, ზოგჯერ პრესაში მათი გამოქვეყნება ხდება საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის, რათა გათვალისწინებულ იქნეს შემოსული შენიშვნები და წინადადებები.

ახალი კონსტიტუციის 114-ე მუხლით ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული ამგვარი პრაქტიკა სათანადო ნორმის სახით არის ფორმულირებული: „კანონების პროექტები და სახელმწიფო ცხოვრების სხვა ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საკითხები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, რომელიც მიღებულია მათი ინიციატივით ან მოკავშირე რესპუბლიკის წინადადებით, შეიძლება გამოტანილ იქნეს საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის“. სწორედ ამგვარი საყოველთაო-სახალხო განხილვის გზით იქნა მიღებული ჩვენი ქვეყნის ახალი კონსტიტუცია.

რაგორც ცნობილია, თავისი არსებობისა და საქმიანობის ოთხ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ უაღრესად ფართო საკანონმდებლო სამართალშემოქმედება განახორციელა, რის შედეგადაც მოწესრიგებულია მრავალრიცხოვანი ურთიერთობა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში და შექმნილია სამართლებრივი ნორმების საკმაოდ დახვეწილი სისტემა. კომუნისტური პარტიის მითითებათა შესაბამისად, ფართო მუშაობა წარმოებს საბჭოთა სახელმწიფოს კანონთა კრებულის გამოსაცემად. სკკპ XXV ყრილობაზე ჩვენი კანონმდებლობის შემდგომ სრულყოფას რომ შეეხო ლ. ი. ბრეჟნევი ხაზი გაუსვა ჩვენი ცხოვრების ზოგიერთი მთავარი პრობლემის გამო ნორმატიული აქტების მიღების დიდ სოციალურ-პოლიტიკურ მნიშვნელობას.

ყურადღებას იქცევს ის ვარემოებაც, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციაში, რომელიც სახელმწიფოს ძირითადი კანონია და მასში მხოლოდ საერთო, პრინციპული ხასიათის ნორმებია თავმოყრილი, მთელ რიგ შემთხვევებში მითითებულია, რომ დადგენილ დებულებებს უფრო დაწვრილებით განსახლავს და მათი განხორციელების წესებს ადგენს სპეციალური კანონები. ზოგიერთი ასეთი კანონი უკვე არსებობდა (მაგალითად, კანონები დებუტატთა გაწვევის წესის შესახებ), ზოგიერთს განახლება ესპორტობოდა (მაგალითად, კანონი სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ), ზოგიერთი კი ძლად უნდა შექმნილიყო (მაგალითად, კანონი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი მიმდინარე წლის 2 მარტს ქ. მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე წარმომთქმულ სიტყვაში მიუთითა: „კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისად, სსრ კავშირის ხელსაფლების უმაღლესმა ორგანომ დაიწყო საბჭოთა კანონმდებლობის შემდგომი განახლების ვრცელი პროგრამის განხორციელება“¹. გარდა ზემოთ დასახელებული კანონებისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ, რომელიც დამტკიცებულ იქნა 1978 წლის 5 ივლისს და სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ, რომელიც დამტკიცებულ იქნა 1978 წლის 1 დეკემბერს, სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ დამტკიცა აგრეთვე კანონები „სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების, შესრულებისა და დენონსაციის წესის შესახებ“, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ (1978

¹ გაზ. „კომუნისტი“, 1979 წლის 3 მარტი

წლის 6 ივლისს). წარმოებს მუშაობა კანონპროექტებზე სამხარეო, საქალაქო და საოკრუგო საბჭოების შესახებ, სახალხო კონტროლის შესახებ, სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის შესახებ და სხვ.

ახლად არჩეული უმაღლესი საბჭოს, ისევე როგორც წინა მოწვევების უმაღლესი საბჭოების საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე იყო და იქნება კონტროლის განხორციელება ყველა სხვა სახელმწიფო ორგანოს მუშაობის მიმართ. ასეთი კონტროლი ზოგადი სახით გამოიხატება უმაღლესი საბჭოს თვით საკანონმდებლო საქმიანობით და მის მიერ სხვადასხვა ორგანოს შექმნის და მათში ცვლილებების მოხდენის შესაძლებლობით. მაგრამ კონტროლის სპეციალური ფუნქციის განხორციელება უმაღლესი საბჭოს მხრივ გამოიხატება მისი შესაძლებლობით — როცა საჭიროდ მიიჩნევის, შექმნას ნებისმიერი საკითხის გამო საგამოძიებო, სარევიზიო და სხვა კომისიები. ახალი კონსტიტუციის 125-ე მუხლში ამასთან დაკავშირებით ჩაწერილია: „ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანო, ორგანიზაცია და თანამდებობის პირი ვალდებულია შეასრულოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომისიებისა და მისი პალატების კომისიების მოთხოვნები, წარუდგინოს მათ საჭირო მასალები და დოკუმენტები. კომისიების რეკომენდაციები აუცილებლად უნდა განიხილოს სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა. განხილვის შედეგები ან მიღებული ღონისძიებები კომისიებს უნდა ეცნობოს დადგენილ ვადაში“.

უმაღლესი საბჭოს მხრივ შეუზღუდველი კონტროლის გაწვევს შესაძლებლობა იმითაც არის უზრუნველყოფილი, რომ კონსტიტუციის 117-ე მუხლის საფუძველზე უმაღლესი საბჭოს თითოეულ დეპუტატს უფლება აქვს შეკითხვით მიმართოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მინისტრებსა და სხვა იმ ორგანოების ხელმძღვანელებს, რომლებსაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ქმნის. ხოლო ეს უკანასკნელი მოვალენი არიან არაუგვიანეს სამი დღისა ზეპირი ან წერილობითი პასუხი გასცენ მიღებულ შეკითხვაზე უმაღლესი საბჭოს მიმდინარე სესიის მუშაობას დროს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ახალი კონსტიტუციითაც რჩება ორპალატიან ორგანოდ. როგორც ცნობილია, ეს განპირობებულია საბჭოთა სახელმწიფოს მოსახლეობის მრავალეროვანი შემადგენლობით. ერთ-ერთი პალატაში — კავშირის საბჭოში ასახულია მშრომელთა საერთო ინტერესები და მას ირჩევენ საარჩევნო ოლქების მიხედვით, რომლებშიც მოსახლეობის თანაბარი რაოდენობაა. ხოლო მეორედ პალატაში — ეროვნებათა საბჭოში ასახულია ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები, ერებისა და ეროვნებების განსხვავებული ინტერესები და თავისებურებანი. ამიტომ ამ პალატაში დეპუტატებს ირჩევენ შემდეგი ნორმით: 32 დეპუტატი თითოეული მოკავშირე რესპუბლიკიდან, 11 დეპუტატი თითოეული ავტონომიური რესპუბლიკიდან; 5 დეპუტატი თითოეული ავტონომიური ოლქიდან და თითო დეპუტატი ყოველი ავტონომიური ოკრუგიდან.

ახალი კონსტიტუციით, წინა კონსტიტუციისაგან განსხვავებით, კავშირის საბჭოში წარმომადგენლობითი ნორმა აღარ არის წინასწარ განსაზღვრული. ეს ნორმა ფაქტიურად გაირკვევა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე ყოველი ახალი არჩევნების წინ, როდესაც შეიქმნება 750 საარჩევნო ოლქი, თითოეული მოსახლეობის თანაბარი რაოდენობით. ეს იმით იხსნება; რომ ეროვნებათა საბჭოში, ზემოთ აღნიშნული წარმომადგენლობი-

თი ნორმის შესაბამისად, ამ პალატაში უნდა მოხდეს 750 დეპუტატის არჩევა და ვინაიდან კონსტიტუციის მიხედვით ორივე პალატაში დეპუტატთა თანაბარი რიცხვი უნდა იყოს, კავშირის საბჭოში ამდენივე დეპუტატის არჩევის უზრუნველყოფაა საჭირო და აქაც 750 საარჩევნო ოლქი იქმნება. ცხადია, ქვეყნის მოსახლეობის ზრდასთან ერთად კავშირის საბჭოს არჩევნებას თითოეული საარჩევნო ოლქი თანდათან სულ უფრო მეტი რაოდენობის მოსახლეობას მოიცავს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თანასწორუფლებიანობა იმიტომ გამოიხატება, რომ ორივე პალატის არჩევა მოსახლეობის მიერ ხდება ხუთი წლის ვადით საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, თითოეული პალატა ირჩევს თავმჯდომარეს და ოთხ მოადგილეს, პალატების გაერთიანებულ სხდომებს რიგრიგობით უძღვებიან კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეები. ორივე პალატას თანაბრად ეკუთვნის საკანონმდებლო ინიციატივა, ხოლო კანონი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დამტკიცდება ორივე პალატის მიერ (მუხლი 109).

პალატების თანასწორუფლებიანობაზე მეტყველებს ის წესიც, რომელიც ახალი საბჭოთა კონსტიტუციით დადგენილია კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს შორის უთანხმოების შემთხვევაში საკითხის გადაწყვეტისათვის. თუ უთანხმოებას ექნა ადგილი, რაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრაქტიკაში ჯერ არ ყოფილა, საკითხი გადაწყვეტისათვის გადაეცემა შემთანხმებელ კომისიას, რომელსაც პალატები შექმნიან პარიტეტულ საწყისებზე, ხოლო შემდეგ საკითხს განმეორებით განიხილავენ პალატები. თუკი ამ შემთხვევაშიც არ ექნა მიღწეული შეთანხმება, მაშინ საკითხს გადაიტანენ განსახილველად უმაღლესი საბჭოს შემდგომ სესიაზე ან უმაღლესი საბჭო ამ საკითხს გადასცემს საყოველთაო-სახალხო კენჭისყრისათვის, ე. ი. რეფერენდუმისათვის.

იმ საკითხების განხილვა და გადაწყვეტა, რომლებიც უმაღლესი საბჭოს კომპეტენციაში შედის, უმთავრესად პერიოდულ სესიებზე ხდება. მათ იწვევენ წელიწადში ორჯერ. მაგრამ შესაძლებელია უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოიწვიოს რიგგარეშე სესიაც, თავისი ინიციატივით, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკის ან ერთ-ერთი პალატის დეპუტატთა სულ ცოტა მესამედის წინადადებით. უმაღლესი საბჭოს სესია შედგება, პირველ ყოვლისა, პალატების ცალკე და გაერთიანებული სხდომებისაგან, ხოლო ახლად არჩეული უმაღლესი საბჭოს პირველი სესია უნდა მოიწვიოს წინა შემადგენლობის პრეზიდიუმმა ახალი არჩევნიდან არაუგვიანეს ორი თვისა (1936 წლის კონსტიტუციით გათვალისწინებული იყო პირველი სესიის მოწვევა არჩევნიდან სამი თვის განმავლობაში). პრაქტიკაში სესიების მოწვევა უფრო ადრე ხდებოდა და ხდებოდა. მაგალითად, სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭო არჩეული იყო 1974 წლის 16 ივნისს, ხოლო მისი პირველი სესია მოწვეულ იქნა და გაიხსნა იმავე წლის 25 ივლისს. 1979 წლის 4 მარტს არჩეული სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოიწვია 18 აპრილისათვის.

უმაღლესი საბჭოს ყოველ სესიაზე, განსაკუთრებით კი ახლად არჩეული უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე, პალატების სხდომების გახსნამდე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თითოეული პალატის მიერ შექმნილი უხუცესთა საბჭოები, რომლებიც დეპუტატების წინასწარი საკონსულტაციო-სათათბირო

ორგანოებია და დეპუტატთა ჯგუფების წარმომადგენლებისაგან შედგება. უხუცესთა საბჭოები მსჯელობენ და შეთანხმებულ მოსაზრებებს შეიმუშავენ ისეთ ორგანიზაციულ საკითხებზე, როგორც არის, მაგალითად, სესიის დღის წესრიგი, სხდომების რეგლამენტი, სესიაზე ასარჩევი ორგანოების პერსონალური შემადგენლობა და სხვ.

როგორც ცნობილია და ზემოთაც იყო აღნიშნული, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახასიათებს მუშაობის სასესიო წესი, ხოლო სესიებს შუა პერიოდში სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს ფუნქციებს ახორციელებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელსაც უმაღლესი საბჭოს პალატების გაერთიანებულ სხდომაზე ირჩევენ ყოველი ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე. იგი წარმოადგენს უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც მთელ თავის საქმიანობაში ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ირჩევენ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისაგან პრეზიდიუმის თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილისა, თავმჯდომარის თხუთმეტი მოადგილის (თითო-თითო ყოველი მოკავშირე რესპუბლიკისაგან), პრეზიდიუმის მდიენისა და ოცდაერთი წევრის შემადგენლობით. როგორც ცნობილია, 1977 წლის ივნისში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ, რომელიც მთელი საბჭოთა ხალხის სუვერენიტეტის გამომხატველია, თავისი არსებობის პერიოდში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცებაში, ჩვენი სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში. ეჭვს გარეშეა, რომ ახლად არჩეული უმაღლესი საბჭო თავისი საქმიანობით მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საბჭოთა ხალხის წინაშე კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებას.



კანონი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ

პროფ. ბ. პრემოვი

სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიამ 1978 წლის 5 ივლისს, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის 136-ე მუხლის შესაბამისად, მიიღო „კანონი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ“.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო წარმოადგენს სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ადმინისტრაციულ და განმკარგულებელ ორგანოს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს — სსრ კავშირის მთავრობას ქმნის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ახალი მოწვევის პირველ სესიაზე. მისი შემადგენლობა მტკიცდება უმაღლესი საბჭოს ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე.

ახალი კონსტიტუციის 129-ე მუხლით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო შედგება: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილეების, მოადგილეების, სსრ კავშირის მინისტრებისა და სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეებისაგან, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეებისაგან, რომლებიც მთავრობის შემადგენლობაში შედიან თავიანთი თანამდებობის მიხედვით. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს შეუძლია მთავრობის შემადგენლობაში შეიყვანოს სსრ კავშირის სხვა ორგანოებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მთავრობა პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინაშე, სესიებს შორის პერიოდში კი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე.

კონსტიტუცია არ განსაზღვრავს მთავრობის ანგარიშგების ზუსტ ვადებს. მასში მხოლოდ ნათქვამია, რომ „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო თავისი მუშაობის შესახებ რეგულარულად აბარებს ანგარიშს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს“ (მუხ. 130). თავის უფლებამოსილებას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო იხსნის მხოლოდ „სსრ კავშირის ახლად არჩეული უმაღლესი საბჭოს წინაშე მის პირველ სესიაზე“ (მუხ. 129). მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებები და განკარგულებები განეკუთვნება კანონქვემდებარე აქტებს.

კონსტიტუცია განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს. მთავრობა ხელმძღვანელობს სახალხო მეურნეობას და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას, განამტკიცებს ფულისა და კრედიტის ერთიან სისტემას, ადგენს სახელმწიფო გეგმებს, ბიუჯეტს და წარუდგენს მათ უმაღლეს საბჭოს განსახილველად, უზრუნველყოფს სახელმწიფო უშიშროებას, ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მშენებლობისადმი, აგრეთვე ურთიერთობას უცხოეთის სახელმწიფოებთან. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო „ქმნის საჭიროების შემთხვევაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან სამეურნეო, სოცალურ-კულ-

ტურული და თავდაცვითი მშენებლობის საქმეთა კომიტეტებს, მთავარ სამმართველოებსა და სხვა უწყებებს“ (მუხ. 131).

სსრ კავშირის კონსტიტუციის 132-ე მუხლით, სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ და სახელმწიფო მართვის სხვა საკითხების გადასაწყვეტად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივი ორგანოს სახით მოქმედებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმი.

ეს სიახლე ის არის, რომ სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუცია ასახელებს მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმს, ასახავს მის არსებობას. ასეთი ორგანო სსრ კავშირის მთავრობასთან არსებობს 1944 წლის მაისიდან, მაშინ მას ეწოდებოდა „სახალხო კომისართა საბჭოს ბიურო“.

1946 წლის 15 მარტს სსრ კავშირის მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ მიიღო კანონი „სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოდ და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებად გარდაქმნის შესახებ“.

კანონის შესაბამისად, ამავ დროიდან „სახალხო კომისართა საბჭოს ბიურო“ იწოდება „მინისტრთა საბჭოს ბიუროდ“, 1953 წლიდან კი მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმად. მაგრამ, როგორც ითქვა, მის არსებობაზე 1977 წლამდე სსრ კავშირის მოქმედ კონსტიტუციაში არავითარი მითითება არ იყო.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობასაც — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილეები და მოადგილეები. კონსტიტუცია არ განსაზღვრავს პრეზიდიუმის კომპეტენციას.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციისათვის დამახასიათებელია, რომ მასში არ არის მოცემული სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების ნუსხა. სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის 70-ე, 77-ე და 78-ე მუხლებში კი ზუსტად იყო ჩამოთვლილი ყველა სამინისტრო, სახელმწიფო კომიტეტი და ყველა სხვა ორგანო, რომლებსაც აერთიანებდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

ახალ კონსტიტუციაში რომ არ არის მოცემული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა, ამას, უდავოდ, თავისი გამართლებაც აქვს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევი თავის მოხსენებაში თქვა, რომ „ამჟამად მოქმედი კონსტიტუციისაგან განსხვავებით პროექტში არ არის ჩამოთვლილი საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები. ჩვენ ვავითვალისწინეთ, რომ, როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, მათი შემადგენლობა დროდადრო იცვლება და ამიტომ უფრო მიზანშეწონილად მივიჩინეთ მოკავშირეთა მათი ნუსხა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ სპეციალურ კანონში“¹.

ასეთი კანონის მიღებას ითვალისწინებდა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის 136-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და მისი პრეზიდიუმის კომპეტენციას, მათი საქმიანობის წესს, მინისტრთა საბჭოს ურთიერთობას სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, აგრეთვე საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა და სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების ნუსხას კონსტიტუციის საფუძველზე განსაზღვრავს კანონი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ“.

¹ ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ, 1977 წ. გვ. 15.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის დაახლოებით თერთმეტ (32, 33, 61, 101, 107, 126, 136, 152, 153, 163 და 168) მუხლშია მითითება კონსტიტუციის შესაბამისად მომავალში ახალი კანონების შემუშავების აუცილებლობის შესახებ.

1977 წლის 7 ოქტომბერს, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის დამტკიცების დღეს, სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე VII სესიაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა თავის საბოლოო სიტყვაში აღნიშნა, რომ „გათვალისწინებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაევალოთ შეიმუშაონ საჭირო საკანონმდებლო აქტები, რომლებიც გამომდინარეობს კონსტიტუციის ტექსტიდან“². უდავოა, რომ აქ მხედველობაში მიღებულია კონსტიტუციის სწორედ ზემოთმოყვანილი მუხლები.

ამის შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1977 წლის 12 დეკემბერს მიიღო დადგენილება „სსრ კავშირის კონსტიტუციასთან სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისობის ხაზით მუშაობის ორგანიზაციის შესახებ“. ამ გეგმით გათვალისწინებულ იქნა, რომ პროექტი კანონისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ მომზადებულიყო 1978 წლის ივნისისათვის³.

როგორც უკვე ითქვა, ასეთი კანონი დაამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1978 წლის 5 ივლისს. კანონის პროექტის ირგვლივ სესიაზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ა. ნ. კოსიგინმა. მან გააანალიზა კანონპროექტი, აღნიშნა, რომ იგი შემუშავებულია სკკპ XXIV და XXV ყრილობებისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად. მას საფუძვლად დაედო საბჭოთა მთავრობის ორგანიზაციისა და საქმიანობის ლენინური პრინციპები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის გამონათქვამები და მითითებები საბჭოთა საზოგადოების, ჩვენი საერთო-სახალხო სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის განვითარების საკითხებზე.

კანონში, როგორც ა. ნ. კოსიგინი აღნიშნავს, „...განსაზღვრულია, თუ რა როლი ეკისრება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიისა და სახელმწიფოს მთავარი ამოცანების გადაწყვეტაში განვითარებული სოციალიზმის პირობებში“.

სესიაზე ა. ნ. კოსიგინი დაწვრილებით შეეხო ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებას, კულტურის დონის ამაღლებას, ეროვნებათა თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას, სამშობლოს თავდაცვის უნარიანობას, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებს და იმას, თუ რა როლი აკისრია ყოველივე ამის განხორციელებაში მინისტრთა საბჭოს.

„...თავის მუშაობაში, — თქვა ა. ნ. კოსიგინმა, — მინისტრთა საბჭო ხელმძღვანელობს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მკაფიო და ყოველმხრივ დასაბუთებული პოლიტიკური ხაზით, ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს

² გაზ. „კომუნისტი“, 8 ოქტომბერი, 1977 წელი.

³ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, № 51 (1917), 1977 წ. მუხ. 764.

⁴ გაზ. „კომუნისტი“, 6 ივლისი, 1978 წ.

შესაბამისი მითითებებით ჩვენი კომუნისტური მშენებლობის როგორც ზოგად, პრინციპულ პრობლემებზე, ისე კონკრეტულ საკითხებზე⁵.

კანონი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ მთლიანად ემყარება ვ. ი. ლენინის უკვდავ მოძღვრებას და საჭირო სამართლებრივ საფუძველს ქმნის მთავრობის საქმიანობისათვის.

კანონი შედგება ოთხი თავისა და 32 მუხლისაგან.

პირველი თავია „ზოგადი დებულებები“, სადაც სულ ხუთ მუხ-
ლში წარმოდგენილია მინისტრთა საბჭოს შექმნისა და მუშაობის ორგანიზაცი-
ის სრული სურათი. აქ მითითებულია, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო—
სსრ კავშირის მთავრობა, სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი
ადმინისტრაციული და განმკარგულებელი ორგანოა. სსრ კავშირის მინისტრთა
საბჭო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სახელმწიფო მმართველობის ყველა სა-
კითხი, რომლებიც სსრ კავშირის გამგებლობაშია, რამდენადაც ეს საკითხი არ
შედის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
უფლებებში. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი და განკარგუ-
ლებანი სავალდებულოა სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე, ყველა ორგანო-
სათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა და მოქალაქისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს უფრო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილე-
ბანი, „რომლებსაც ნორმატიული ხასიათი ან დიდი სახალხო-სამეურნეო და ზო-
გადი მნიშვნელობა აქვთ, გამოიცემა დადგენილებათა ფორმით“, ხოლო „გადაწყ-
ვეტილებანი ოპერატიულ და სხვა მიმდინარე საკითხებზე გამოიცემა სსრ კავ-
შირის მინისტრთა საბჭოს განკარგულებათა ფორმით“ (მუხ. 3¹).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას ხელს აწერენ სსრ კავში-
რის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქ-
მეთა მმართველი, ხოლო განკარგულებას — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ან ერთ-ერთი მისი პირველი მოადგილე.

კანონის ამ ნაწილში დეტალურად არის ჩამოთვლილი სსრ კავშირის მინ-
ისტრთა საბჭოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი და პრინციპები. აქვე
გადაწყვეტილია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის სსრ კავში-
რის მინისტრთა საბჭოს შექმნის წესი, მისი შემადგენლობა, მინისტრთა საბჭოს
პასუხისმგებლობა და ანგარიშგება.

კანონში მითითებულია, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო უზრუნველ-
ყოფს სახალხო მეურნეობას დინამიკურ, გეგმაზომიერ და პროპორციულ განვი-
თარებას; აუმჯობესებს ხალხის კეთილდღეობასა და ამაღლებს კულტურას,
იცავს მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, ქმნის ხელშემწყობ პირო-
ბებს პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის; კიდევ უფრო განამტკი-
ცებს ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების შეკავშირებას კომუნნიზმის ერთობ-
ლივი მშენებლობის მიზნით; უზრუნველყოფს სსრ კავშირისა და მოკავშირე
რესპუბლიკების ინტერესების შეხამებას; განამტკიცებს სოციალისტურ კანონ-
ნიერებას და სახელმწიფო დისციპლინას, უზრუნველყოფს ქვეყნის უშიშროებასა
და თავდაცვაუნარიანობას, ახორციელებს მშვიდობის ლენინურ პოლიტიკას
და ა. შ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს
დემოკრატიული ცენტრალიზმის, სოციალისტური დემოკრატიზმის, სოციალის-

⁵ ვაზ. „კომუნისტი“ 6 ივლისი, 1978 წ.

ტური კანონიერების, საჯაროობისა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების პრინციპებით.

კანონში არის სპეციალური მუხლი „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შექმნის წესი“, მაგრამ კონკრეტულად ამ წესის შესახებ აქ არაფერია ნათქვამი ამიტომ საჭიროა ისევ და ისევ სსრ კავშირის ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მუშაობის ტრადიციის გათვალისწინება, ე. ი. კონსტიტუციური ადრის გამოყენება მთავრობის შექმნასთან დაკავშირებით.

როგორი წესით იქმნება სსრ კავშირის მთავრობა, მინისტრთა საბჭო? ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე, მას შემდეგ, რაც მტკიცდება დღის წესრიგი, სადაც სხვა საკითხებთან ერთად გათვალისწინებულია ახალი შემადგენლობის მთავრობის შექმნის საკითხი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ორივე პალატის გაერთიანებული სხდომის თავმჯდომარის სახელზე შეაქვს დაახლოებით ასეთი შინაარსის განცხადება: „იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის მთავრობის შექმნის საკითხი დასმულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად, მინისტრთა საბჭოს თავისი მოვალეობანი ამოწურულად მიაჩნია და იგი იხსნის თავის რწმუნებებს უმაღლესი საბჭოს წინაშე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გთხოვთ აცნობოთ ეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლეს საბჭოს“.

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომის თავმჯდომარე აცნობს დეპუტატებს ამ განცხადების შინაარსს, რის შემდეგაც მათ უფლება აქვთ გამოთქვან თავიანთი აზრი სსრ კავშირის მთავრობის განვიღო მუშაობის შესახებ. ზდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუშაობის შეფასება.

სესია ამტკიცებს მთავრობის თავმჯდომარეს, რომელიც, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონის შესაბამისად, „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დავალებით ქმნის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას და შეაქვს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში შესაბამისი წინადადება“ (მუხ. 29).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე უსათუოდ არის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სკკპ წევრი. მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება არადეპუტატების შეყვანაც.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მთავრობის პერსონალური შემადგენლობის შესახებ განსაზღვრულ ვადაში უმაღლესი საბჭოს ახალი მოწვევის პირველ სესიას წარუდგენს წინადადებებს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო მთავრობის შემადგენლობაში წარუდგენილ თითოეულ პირს ცალ-ცალკე უყრის კენჭს.

კანონის მეორე თავი განსაზღვრავს „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კომპეტენციას“ (მუხ. 6-17). დეტალურად არის გადმოცემული უფლებები, რომლებიც კონსტიტუციის შესაბამისად აქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალურ-კულტურული განვითარების დარგში, სოციალისტური კანონიერების, ქვეყნის უშიშროებისა და თავდაცვაუნარიანობის უზრუნველყოფის, საგარეო პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობის და სხვა დარგებში.

კანონის მე-16 და მე-17 მუხლები შეეხება საკითხებს, რომლებიც წყდება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე.

კანონის მესამე თავი — „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ურთიერთობა სხვა სახელმწიფო ორგანოებთან“ ითვალისწინებს ურთიერთობას მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, სსრ კავშირის სამინისტროებსა და სახელმწიფო კომიტეტებთან.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმართავს და კოორდინაციას უწევს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების საქმიანობას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს უფლება აქვს სსრ კავშირის გამგებლობისათვის განკუთვნილ საკითხებზე შეაჩეროს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულება. როგორც ცნობილია, ასეთ შემთხვევაში მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა და განკარგულების გაუქმებას არსებითად წყვეტს იმავე მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ან მისი პრეზიდიუმი, ანდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ან მისი პრეზიდიუმი.

მაგალითად, საქართველოს სსრ ახალი (1978 წლის) კონსტიტუციით „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო კონტროლს უწევს მის წინაშე ანგარიშვალდებული ყველა სახელმწიფო ორგანოს საქმიანობას“ (მუხ. 120), „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წინაშე, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე“ (მუხ. 124). საკავშირო მასშტაბით, სსრ კავშირის კონსტიტუციის 121-ე მუხლით უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი „აუქმებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებსა და განკარგულებებს, თუ ისინი არ შეესაბამება კანონს“.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების ყოველდღიური კავშირურთიერთობის უზრუნველსაყოფად კანონით გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მუდმივ წარმომადგენლობათა არსებობა. არსებობს მუდმივი წარმომადგენლობის დებულება, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1976 წლის 8 აპრილს. დებულება განსაზღვრავს მუდმივი წარმომადგენლობის ძირითად ამოცანებს, მის უფლებებს, აგრეთვე მუდმივი წარმომადგენლობის შემადგენლობას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონის მესამე თავის ბოლო მუხლები ეხება ხელმძღვანელობას სსრ კავშირის სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტებისადმი, სხვა საქვეუწყებო ორგანოებისადმი; კონტროლს ამავე ორგანოების მიმართ; სამინისტროებსა და სახელმწიფო კომიტეტებს, მათ უფლებრივ მდგომარეობას.

კანონით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, თუ საჭიროა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან ქმნის სამეურნეო, სოციალურ-კულტურული და თავდაცვითი მშენებლობის საქმეთა კომიტეტებს, მთავარ სამმართველოებსა და სხვა უწყებებს, აგრეთვე საჭიროებისამებრ ადგენს ამ ორგანოების რეორგანიზაციას და აუქმებს მათ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ნიშნავს ამ ორგანოების ხელმძღვანელებს,



სსრ კავშირის მინისტრებისა და სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეთა მოადგილეებს, ამტკიცებს ამავე სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების აგრეთვე სხვა საქვეუწყებო ორგანოების კოლევიათა წევრებს და სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების წევრებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს უფლება აქვს გააუქმოს სსრ კავშირის სამინისტროებისა და სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების, აგრეთვე სხვა საქვეუწყებო ორგანოების აქტები.

კანონი არ განსაზღვრავს სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების აქტების ფორმებს. სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების აქტების სახეობანი ჩამოთვლილია მხოლოდ დებულებებში შესაბამისი სამინისტროს ან სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.

კანონით, სამინისტროები „სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანოება“, ისინი „ხელმძღვანელობენ მათთვის მინდობილ მმართველობის დარგებს“ მაგრამ, ამავე დროს, „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შეუძლია სსრ კავშირის სამინისტროებს დააკისროს დარგთაშორისი მმართველობის ცალკეული ფუნქციების განხორციელება“ (მუხ. 21). რაც შეეხება სახელმწიფო კომიტეტებს, ისინიც „სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანოება“, რომლებიც „ახორციელებენ დარგთაშორის მართვას“.

საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტებს შორის განსხვავება ის არის, რომ სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტები, როგორც დარგთაშორისი მართვის ორგანოები, ცალკეულ შემთხვევებში ახორციელებენ აგრეთვე „დარგობრივ მართვასაც“. კანონს სხვა ადგილას ეს მიაჩნია არა მარტო საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტების, არამედ საერთოდ სახელმწიფო კომიტეტის ფუნქციადაც; აქ ნათქვამია, რომ „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შეუძლია დააკისროს სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტებს მმართველობის დარგების ხელმძღვანელობის ცალკეულ ფუნქციათა განხორციელება“ (მუხ. 22).

ამრიგად, სამინისტრო უმთავრესად დარგობრივი მმართველობის ორგანოა და მას შეიძლება ცალკეულ შემთხვევაში დაეკისროს დარგთაშორისი ხელმძღვანელობაც (მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვის, ფინანსთა სამინისტრო), ხოლო სახელმწიფო კომიტეტი უმთავრესად დარგთაშორისო მმართველობის ორგანოა და ცალკეულ შემთხვევებში კი შეიძლება დაეკისროს დარგობრივი ხელმძღვანელობაც.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონის მეოთხე თავია „სსრ კავშირის სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების ნუსხა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხვა საქვეუწყებო ორგანოები“.

კანონის ამ ნაწილში, პირველ ყოვლისა, მოცემულია სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების ნუსხა. დასახელებულია 32 საერთო-საკავშირო (მუხ. 23) და 31 საკავშირო-რესპუბლიკური (მუხ. 24) სამინისტრო; 7 საერთო-საკავშირო (მუხ. 25) და 13 საკავშირო-რესპუბლიკური (მუხ. 26) სახელმწიფო კომიტეტი.

იმის გამო, რომ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციით აღარ არის გათვალისწინებული ეროვნული საჯარისო შენაერთების შექმნა, კანონით, თავდაცვის სამინისტრო, რომელიც მანამდე საკავშირო-რესპუბლიკური ტიპისა იყო საერთო-საკავშირო სამინისტროთა ნუსხაშია შეტანილი (მუხ. 23).

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონის მიღების დღესვე გამოიტანა აგრეთვე დადგენილება „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თაობაზე სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ“. „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტებს“ ეწოდათ „სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტები“.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკ-სოფლტექნიკა“ ვარდაიქმნა „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტად“ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო მატერიალური რეზერვების მთავარი სამმართველო — „სსრ კავშირის მატერიალური რეზერვების სახელმწიფო კომიტეტად“.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს დაერქვა სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, ხოლო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს — სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

კანონი აღარ ითვალისწინებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო კომიტეტების არსებობას. ყველას მათ სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტები ეწოდებოდათ. მაგრამ, სსრ კავშირის კონსტიტუციის 131-ე მუხლის მე-7 პუნქტითა და კანონით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ (მუხ. 19) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო კომიტეტები იარსებებენ, მხოლოდ მათი დასახელება სახელმწიფო კომიტეტების ნუსხაში არ შევა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათი თავმჯდომარენი არ შევლენ სსრ კავშირის მთავრობის შემადგენლობაში გადამწყვეტი ხმის უფლებით.

გარდა დასახელებული ცენტრალური ორგანოებისა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აქვს სხვა საქვეუწყებო ორგანოებიც. კანონის 27-ე მუხლით ასეთ საქვეუწყებო ორგანოებს წარმოადგენენ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი, სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, აგრეთვე მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის კომიტეტი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეურნეო, სოციალურ-კულტურული და თავდაცვითი მშენებლობის საქმეთა შესაბამისი კომიტეტები, სამმართველოები და სხვა ორგანოები.

კანონი განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და მისი პრეზიდიუმის მუშაობის ორგანიზაციას. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომები ეწყობა სულ ცოტა სამ თვეში ერთხელ, რაც შეეხება მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებს, იგი 28-ე მუხლის მიხედვით ეწყობა რეგულარულად (საჭიროებისამებრ)“.

დადგენილებები მინისტრთა საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სხდომებზე მიიღება ამ ორგანოების წევრთა ხმების უმრავლესობით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონის პროექტის ირგვლივ ა. ნ. კოსიგინმა აღნიშნა, რომ „კანონის პროექტი დიდ ყურადღებას უთმობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუშაობის ორგანიზაციას, მთავრობისა და მისი მუდმივი ორგანოს — პრეზიდიუმის სხდომებზე საკითხთა განხილვის წესს, იმას, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საკითხთა კოლევგური გადამწყვეტისა და

მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის მთავრობის წევრთა პერსონალური პასუხისმგებლობის შესაძლება⁶.

კანონი განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილეებისა და მოადგილეების უფლება-მოვალეობებს (მუხ. 29).

კანონის ბოლო მუხლები ეთმობა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მუდმივი კომისიების და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დროებითი კომისიების შექმნის მიზნებს (მუხ. 30), მინისტრთა საბჭოს აქტების გაფორმების წესს (მუხ. 31) და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აპარატს (მუხ. 32)⁷.

სსრ კავშირის მთავრობის აპარატს „წარმოადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა, რომელიც განყოფილებებისა და სხვა სტრუქტურული ქვეგანყოფილებებისაგან შედგება“ დებულებას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის შესახებ ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო. მასში განისაზღვრება მთავრობის აპარატის სტრუქტურა.

კანონი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ ფრიად დიდმნიშვნელოვანი იურიდიული დოკუმენტია, ანალოგიური ხასიათის აქტი წინა (1936 წლის კონსტიტუციით ჩვენ არ გვქონია. ამის მსგავსი კანონი (დებულება) შემუშავებული იყო სსრ კავშირის პირველი კონსტიტუციის შესაბამისად. იგი დაამტკიცა სსრ კავშირის პირველი მოწვევის ცაკის მესამე სესიამ 1923 წლის 12 ნოემბერს. იგი შედგებოდა 11 მუხლისაგან და განსაზღვრავდა სსრ კავშირის მთავრობის (სახალხო კომისართა საბჭოს) შექმნის წესს, მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობებთან და სსრ კავშირის მთავრობის შემადგენლობაში მყოფ სახალხო კომისარიატებთან ურთიერთობას და ა. შ.⁸ დღეისათვის დებულება ძალადაკარგულია.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონმა სინათლე მოფინა მთელ რიგ კონსტიტუციურ დებულებებს, რომელთაც დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მისი კარგად შესწავლა მმართველობის სფეროში მომუშავე პირთა პირდაპირი მოვალეობაა.

კანონი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ საერთო-საკავშირო მნიშვნელობის აქტია, იგი მხოლოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმიანობას აწესრიგებს, მაგრამ ამ კანონის მრავალი მუხლი ამავე დროს განსაზღვრავს მოკავშირე რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობასაც.

საქართველოს სსრ ახალი (1978 წ.) კონსტიტუციის 130 და 126-ე მუხლები ითვალისწინებს „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ“ კანონის მიღებას. ამის თაობაზე საქართველოს სსრ მთავრობის თავმჯდომარემ ზ. ა. პატარიძემ თავის სიტყვაში სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიაზე განაცხადა, რომ „მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობათა საქმიანობის ნორმატიული საფუძვლებისა და ორგანიზაციული ფორმების შემდგომი სრულყოფა თავის მხრივ აისახება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების შესახებ კანონებში, რომელთა მიღება გათვალისწინებულია რესპუბლიკური კონსტიტუციებით“⁹.

⁶ გაზ. „კომუნისტი“, 6 ივლისი, 1978 წ.

⁷ კანონი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, № 28, 1978 წ., მუხ. 436.

⁸ Положение о Совете Народных Комиссаров Союза ССР (История Советской Конституции, 1917—1956, 1957 г. стр. 439—441).

⁹ გაზ. „კომუნისტი“ 6 ივლისი, 1978 წ.

საქართველოს სსრ 1937 წლის კონსტიტუციის მიღებამდე ჩვენს რესპუბლიკაში მოქმედებდა „დებულება საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი“. იგი დამტკიცა სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის მესამე სესიამ 1924 წლის 8 ოქტომბერს და სამოქმედოდ შემოიღო სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1925 წლის 12 იანვრის დადგენილებით.

დებულება შედგებოდა 11 მუხლისაგან მასში მოცემული იყო მთავრობის (სახალხო კომისართა საბჭოს) შემადგენლობის, მის გამგებლობის სავნის, მთავრობის მუშაობის ორგანიზაციის და სხვ. შესახებ¹⁰.

საქართველოს სსრ 1937 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ დასახელებული დებულება ფაქტიურად აღარ მოქმედებდა. — იურიდიულად იგი ძალადაკარგულად ჩათვალია საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს X სესიამ 1978 წლის 21 დეკემბერს, მას შემდეგ, რაც სესიაზე მიღებულ იქნა „კანონი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ“, დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ“¹¹.

ანალოგიურ კანონს მომავალში მიიღებენ აგრეთვე ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებშიც.

¹⁰ დებულების ტექსტი იხ. უფრნ. „მოამბე“ (სრ. საქართველოს ცაკისა და სახკომსაბჭოს ორგანო), 1925 წ., № 1-2, გვ. 13-15.

¹¹ ვაზ. „კომუნისტი“, 30 დეკემბერი, 1978 წ.

გაუპატიურებელი ბრძოლა ფონდირებადი პროდუქციის მინორიზაციის უზრუნველყოფის მიზნით

რ. ცინცაძე,

ფონდირებადი კანდიდატი

ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახული ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მატერიალური რესურსების რაციონალურ გამოყენებას. ამას ხშირად ხელს უშლის საგეგმო და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევა, რაც გამოიხატება ფონდირებადი პროდუქციის უგანრიგოდ ან ფონდის გადამეტებით გაცემითა და მწარმოებლის მიერ საკუთარი საჭიროებისათვის მისი გამოყენებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო არბიტრაჟის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ უგანრიგოდ გაცემული პროდუქციის დიდი უმეტესობა — ეს არის ლითონი, ქვანახშირი, ხე-ტყე და სხვა პროდუქცია, ე. ი. ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის ყველაზე საარსებო მნიშვნელობის ნედლეული. უგანრიგოდ ან გადამეტებით ერთი ორგანიზაციისათვის მისი მიწოდების გამო მწარმოებელი მძიმე მდგომარეობაში აყენებს სხვა ორგანიზაციებს. ამასთან, საგეგმო და სახელმწიფო დისციპლინის ასეთი დარღვევა, განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, საკმაოდ ხშირია, რაც ზრდის დარღვევით გამოწვეულ უარყოფითს შედეგს.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში? თუ გავანალიზებთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო არბიტრაჟის უკანასკნელი 10 წლის მონაცემებს და 1968 წელს განხილული ყველა კატეგორიის საქმეების რაოდენობას პირობითად 100 პროცენტად მივიჩნევთ, შემდეგ სურათს მივიღებთ:

1968 წელი — 100 პროცენტი	1973 წელი — 149 პროცენტი
1969 წელი — 114 პროცენტი	1974 წელი — 149 პროცენტი
1970 წელი — 138 პროცენტი	1975 წელი — 143 პროცენტი
1971 წელი — 141 პროცენტი	1976 წელი — 144 პროცენტი
1972 წელი — 145 პროცენტი	1977 წელი — 143 პროცენტი

ეს ცხრილი გვიჩვენებს, რომ არბიტრაჟში განხილულ ყველა კატეგორიის საქმეთა რაოდენობა უკანასკნელ ათ წელიწადში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამჯერად ჩვენ არ შევუდგებით ყველა კატეგორიის საქმეთა რაოდენობის ზრდის მიზეზების ახსნას. ამაზე წინათ გვქონდა მსჯელობა¹. მოყვანილ მონაცემებს გამოვიყენებთ შესადარ ბილიდებად იმ ცვლილებათა ასახვად, რომლებიც მოხდა უგანრიგოდ პროდუქციის გაცემასთან დაკავშირებით განხილულ საქმეთა რაოდენობაში. სტატისტიკური მონაცემებით, რესპუბლიკის სახელმწიფო

¹ В. Михеева, Ответственность за безнарядный отпуск продукции и товаров, «Хозяйство и право», Изд-во «Экономика», М., 1978, № 1, стр. 98.

² იხ. „საბჭოთა სამართალი“, 1976, № 4, გვ. 34-50.

არბიტრაჟის მიერ უგანრიგოდ პროდუქციის გაცემასთან დაკავშირებით განხილულ საქმეთა რაოდენობაში შეინიშნება გაცილებით დიდი ზრდა არბიტრაჟში მთლიანად განხილულ საქმეებთან შედარებით. ეს კარგად ჩანს ცხრილიდან, სადაც 1968 წელს უგანრიგოდ პროდუქციის გაცემასთან დაკავშირებით განხილული საქმეების რაოდენობა ასევე 100 პროცენტად არის მიჩნეული:

1968 წელი — 100 პროცენტი	1973 წელი — 344 პროცენტი
1969 წელი — 66 პროცენტი	1974 წელი — 568 პროცენტი
1970 წელი — 233 პროცენტი	1975 წელი — 466 პროცენტი
1971 წელი — 355 პროცენტი	1976 წელი — 271 პროცენტი
1972 წელი — 377 პროცენტი	1977 წელი — 300 პროცენტი

რათ ავხსნათ ამ დარღვევათა ასეთი ზრდა? მიზეზი ძირითადად ორი გარემოება შეიძლება იყოს: პირველი — არბიტრაჟის ორგანოების არასაკმაო ბრძოლა. ამგვარ დარღვევათა წინააღმდეგ და მეორე — არსებული სანქციების უკმარისობა.

გარაუდო იმისა, რომ მიზეზი არის პირველი გარემოება, უსაფუძვლოდ გვეჩვენება. როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკური არბიტრაჟის მომთხოვნელობა ვაიზრდა, ჯერ ერთი, უშუალოდ დამრღვევთა მიმართ კანონით გათვალისწინებული სანქციების გამოყენების თვალსაზრისით და ამას გარდა იმითაც, რომ დამრღვევ ორგანიზაციებზე ზემოქმედების მიზნით არბიტრაჟი დროზე აწვდის სათანადო შეტყობინებას პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს.

ეს რომ ასეა, ჩანს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო არბიტრაჟის პრაქტიკიდან. კერძოდ, თუ არბიტრაჟმა 1968 წელს სამეურნეო ორგანიზაციათა დარღვევებთან დაკავშირებით საგამოძიებო ორგანოებსა და დამრღვევი ორგანიზაციის ზემდგომ უწყებებს სათანადო რეაგირებისათვის 488 შეტყობინება გაუგზავნა, 1977 წელს მათმა რიცხვმა 641-ს მიაღწია. ამ შეტყობინებათა საფუძველზე კონკრეტული ღონისძიებების დასახვისა და განხორციელების შესახებ არბიტრაჟს სათანადო ინფორმაცია გამოუგზავნა 1968 წელს 167, ხოლო 1977 წელს 307 ორგანიზაციამ.

ამგვარად, პირველი მიზეზი უნდა გამოვრიცხოთ და, მაშასადამე, გვჩვენება მეორე — არსებული სანქციების უკმარისობა.

დებულებები საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდებისა და სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ უგანრიგოდ პროდუქციის (საქონლის) გაცემისათვის, არცთუ ისე მკაცრ სანქციებს ითვალისწინებს.

კერძოდ, გეგმით გასანაწილებელი პროდუქციის გაგზავნისათვის (გაცემისათვის) იმ მყიდველისათვის (მიმღებისათვის), რომელსაც ეს პროდუქცია არააქვს გამოყოფილი, აგრეთვე გამოყოფილი ფონდების გადამეტებით პირადი საჭიროებებისათვის პროდუქციის გამოყენებისათვის, დამამზადებელი (მიმწოდებელი, შესაბამის მომმარაგებელ-გამსალბებელ ორგანიზაციას გადაუხდის ჯარიმას ამ პროდუქციის ღირებულების 25-დან 100 პროცენტამდე ოდენობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოქმედი კანონმდებლობით დამამზადებელს



(მიმწოდებელს) უფლება ენიჭება რეალიზაცია უყოს პროდუქციას თავისი შეხედულებით³.

გეგმით გასანაწილებელი საქონლის უკანონო გაგზავნისათვის (გაცემისათვის), დამამზადებელი ასეთივე ჯარიმას უხდის შესაბამის საბითუმო სავაჭრო ან მომმარაგებელ-გამსაღებელ ორგანიზაციას (საწარმოს)⁴.

მართალია, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის № 988 დადგენილება („დავალებათა და ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის საწარმოებისა და ორგანიზაციების მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ“, პუნქტი 30) უფლებას ანიჭებს არბიტრაჟის ორგანოებს გადასდევინონ მხარეს, რომელმაც უხეზად დაარღვია ხელშეკრულების პირობები, პირგასამტეხლო (ჯარიმა, საურავი) 50 პროცენტამდე გადიდებული ოდენობით⁵, მაგრამ, როგორც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო არბიტრაჟმა განმარტა ასეთი სანქცია არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მაშინ, როცა მხარეებს შორის არ არის დადებული ხელშეკრულება, ე. ი. ფონდის გარეშე ან გადამეტებით) პროდუქციისა და საქონლის გაცემის შემთხვევებში⁶. როგორც ჩანს, ეს პოზიცია მომავალშიც იქნება შენარჩუნებული⁷.

ვფიქრობთ, დაწესებული შეზღუდვა მაინც საჭიროებს გადასინჯვას, რადგან უგანრიგოდ (ან ფონდის გადამეტებით) პროდუქციისა და საქონლის გაცემა ვალდებულებითი ურთიერთობის მიმე დარღვევაა. მასში ვლინდება დამარღვევის განზრახვა — გეგმით გასანაწილებელი პროდუქცია გასცეს იმ პირზე, რომელსაც იგი არ ეკუთვნის და ამავე დროს ეს პროდუქცია არ მიაწოდოს იმას ვისთვისაც განკუთვნილია, ანდა გამოიყენოს თავისი საჭიროებებისათვის.

მაგალითად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო არბიტრაჟის მასალებიდან ჩანს, რომ 1977 წელს თბილისის ტრიკოტაჟის № 3 ფაბრი-

³ დებულება საწარმო-ტექნიკური დანიშნულებას პროდუქციის მიწოდების შესახებ (დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 9 აპრილის № 269 დადგენილებით). პუნქტი 74, იხ. „სამეურნეო კანონმდებლობას კრებული“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1974, გვ. 151-152.

⁴ დებულება სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ (დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 9 აპრილის № 269 დადგენილებით) პუნქტი 77, „სამეურნეო კანონმდებლობას კრებული“ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1974, გვ. 190.

⁵ „დავალებათა და ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის საწარმოებისა და ორგანიზაციების მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ“, პუნქტი 30, სამეურნეო კანონმდებლობას კრებული“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1974, გვ. 89.

⁶ Инструктивное письмо Госарбитража при Совете Министров СССР от 14 января 1972 года № И—1—2 «О применении п. 74 Положения о поставках продукции производственно-технического назначения и п. 77 Положения о поставках товаров народного потребления» и от 1 февраля 1973 года № И—1—3 «О некоторых вопросах практики разрешения органами арбитража споров, связанных с применением к предприятиям и организациям имущественных санкций за нарушение государственной дисциплины при выполнении плановых заданий и договорных обязательств по поставкам продукции».

⁷ Сообщение Государственного арбитража при Совете Министров СССР № С 7/57 от 24 марта 1978 года «О практике разрешения арбитражами споров, связанных с безнарядной отгрузкой (отпуском) продукции и товаров и использованием изготовителем (поставщиком) продукции для собственных нужд сверх выделенных фондов».

კამ ერთ-ერთ ორგანიზაციას თვითნებურად, ფონდის გადამეტებით მიაწოდა 13 ათასი მანეთი ღირებულების ტრიკოტაჟის ნაწარმი⁸.

იმავე წელს, საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების სასწავლო-საწარმოო გაერთიანების ზუგდიდის ფილიალმა უფონდოდ, საკუთარი საჭიროებებისათვის, უკანონოდ გამოიყენა თავისი პროდუქცია — 2798 მან. ღირებულების პოლიეთილენის ნაწარმი⁹.

18.330 მან. საერთო ღირებულების პროდუქცია მიაწოდა თვითნებურად ჩრდილოეთ კავკასიისა და დასავლეთ ციმბირის ორგანიზაციებს 1978 წელს რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანამ¹⁰ და ა. შ.

რასაკვირველია, სამეურნეო დისციპლინის ასეთი დარღვევისათვის ამ ორგანიზაციებს გადახდათ სათანადო ჯარიმები, მაგრამ იმ ორგანიზაციათა სამეურნეო მდგომარეობა, რომლებსაც უნდა მიეღოთ ეს საქონელი თუ ნედლეული, ამით არ გაუმჯობესებულა. რაც მთავარია, ჯარიმის ის ოდენობა რომელსაც მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს, არ არის საკმარისი ამგვარ დამრღვევთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

დაწესებული სანქციები საკმაოდ მკაცრი რომ არ არის, კარგად ჩანს არა მარტო იმაში, რომ ყველა კატეგორიის საქმეების რაოდენობასთან შედარებით გაცილებით უფრო მკვეთრად იზრდება უგანრიგოდ პროდუქციის (საქონლის) გაცემასთან დაკავშირებით განხილული საქმეების რაოდენობა, არამედ იმაშიც, რომ ზოგიერთი ორგანიზაცია სისტემატურად, წლიდან წლამდე უგანრიგოდ აწვდის თავის პროდუქციას სხვადასხვა ორგანიზაციას.

ავიღოთ, მაგალითად, გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხანა. აქ წლების განმავლობაში ირღვევა საგემო დისციპლინა და პროდუქციას ქარხნის ხელმძღვანელთა ნებასურვილით გასცემენ ხოლმე. სახელდობრ, 1976 წლის ოქტომბერში მათ თვითნებურად, უფონდოდ გასცეს 1270 კვ. მ. პერგამინი¹¹; იმავე წლის ნოემბერში — 51,83 ათასი კვ. მ. რუბეროიდი და 435,24 ათასი კვ. მ. პერგამინი¹²; 1977 წლის იანვარში — 83 ათასი კვ. მ. რუბეროიდი¹³; თებერვალში — 70 ათასი კვ. მ¹⁴. ივლისში — 200,48 ათასი კვ. მ¹⁵. სექტემბერში — 112 ათასი კვ. მ¹⁶. დეკემბერში — 104 ათასი კვ. მ. რუბეროიდი¹⁷.

ამ დარღვევებისათვის ქარხანამ ჯარიმების სახით 1977 წელს გადაიხდა: მაისში 92.208 მან. 88 კაპ¹⁸, ივნისში — 48.560 მან¹⁹, აგვისტოში — 464 მან²⁰.

⁸ 1977 წლის საქმე № 8/113.

⁹ 1977 წლის საქმე № 3/1021.

¹⁰ 1978 წლის საქმე № 3/203.

¹¹ 1977 წლის საქმე № 9/369.

¹² 1977 წლის საქმე № 9/371.

¹³ 1977 წლის საქმე № 9/540.

¹⁴ 1977 წლის საქმე № 9/538.

¹⁵ 1977 წლი სსაქმე № 9/940.

¹⁶ 1978 წლის საქმე № 959.

¹⁷ 1978 წლის საქმე № 9/194.

¹⁸ 1977 წლის საქმე № 9/369 და საქმე № 9/371.

¹⁹ 1977 წლის საქმე № 9/538 და საქმე № 9/540.

²⁰ 1977 წლის საქმე. № 3/1021.



ოქტომბერში — 6.142 მან²¹, ნოემბერში — 25.439 მან²², 1974 წლის იანვარში გადაიხადა 21.203 მან. 12 კაპ²³, თებერვალში 26.500 მან²⁴. მარტი — 18.380 მან²⁵. და ა. შ.

ეჭვს გარეშეა, რომ აქ საქმე გვაქვს ვალდებულების განზრახ დარღვევასთან. ქარხანა იხდის ჯარიმას და ამავე დროს განაგრძობს იმავე დარღვევებს, რომლებსთვისაც ეს ჯარიმები ეკისრება.

როგორც ჩანს, გადახდილი ჯარიმის თანხები არ აღმოჩნდა საკმარისი ვარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხნისათვის.

ამავე დროს, როგორც ზემოთ ითქვა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭონ 1967 წლის № 988 დადგენილებით არბიტრაჟის ორგანოებს უფლება ეძლევათ იმ ორგანიზაციების მიმართ, რომლებმაც უხეშად დაარღვიეს ხელშეკრულების პირობები, გამოიყენონ გაზრდილი სანქციები, რაც აისახა დებულებებში საწარმო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ²⁶.

ხელშეკრულების პირობების უხეშ დარღვევად ითვლება: ხელშეკრულების მრავალჯერ დარღვევა, მისი ხანგრძლივი დაყოვნებით შესრულება. კრედიტორისათვის ან სახალხო მეურნეობისათვის არსებითი ზარალის მიყენება, ხელშეკრულების განზრახ დარღვევა²⁷, მყიდველისათვის პროდუქციის ვადამდე მიწოდება ან უგანრიგოდ გაგზავნა (გაცემა) იმ პერიოდში, როცა არ არის შესრულებული სახელშეკრულებო მოვალეობები სხვა მყიდველების მიმართ²⁸. გარდა ამისა, ხელშეკრულების უხეშ დარღვევად ითვლება უხარისხო პროდუქციის მრავალჯერ მიწოდება, აგრეთვე ასეთი პროდუქციის მიწოდება სსრ კავშირის სახელმწიფო სტანდარტის ორგანოების აკრძალვის მიუხედავად²⁹.

როგორც ვხედავთ, ხელშეკრულების პირობების უხეშად დარღვევაში უმეტეს წილად ნაგულისხმევია ისეთი დარღვევები, რომლებსაც ვხვდებით პროდუქციისა და საქონლის უფონდოდ (გადამეტებით) გაცემის დროს. ამასთან, მართალია, დებულებებმა საწარმო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ მხარეებს საკმაოდ ფართო უფლებები მიანიჭა ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვე-

²¹ 1977 წლის საქმე № 8/113.

²² 1977 წლის საქმე. № 9/940.

²³ 1978 წლის საქმე № 9/59.

²⁴ 1978 წლის საქმე № 3/203.

²⁵ 1978 წლის საქმე № 3/101.

²⁶ დებულება საწარმო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდების შესახებ, პუნქტი 85 და დებულება სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ, პუნქტი 87 (დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 9 აპრილის № 269 დადგენილებით (იხ. სამეურნეო კანონმდებლობის კრ. ვაშლიკელოვა „საბჭოთა საქართველო“, 1974, გვ. 154, 192).

²⁷ პ. 16 Инструктивного письма Госарбитража при Совете Министров СССР от 28 декабря 1967 г. № И—1—59 (Систематизированный сборник, 1976, с. 69).

²⁸ პ. 1 Инструктивного письма Госарбитража при Совете Министров СССР от 1 февраля 1973 г. № И—1—3 (Систематизированный сборник 1976, с. 196).

²⁹ დებულება, საწარმო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდების შესახებ, პუნქტი 85 და დებულება, სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ, პუნქტი 87 (დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 9 აპრილის № 269 დადგენილებით „სამეურნეო კანონმდებლობის კრებული“ ვაშლიკელოვა „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1974. გვ. 154, 192).

ვისათვის სანქციების განსაზღვრასთან დაკავშირებით³⁰, მაგრამ ბევრი მომენტის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. ამის გამო, ვთქვათ, საფონდო დისციპლინის განზრახ დარღვევის შემთხვევაში ხელშეკრულების მეორე მხარე, ის, ვისი ინტერესებიც დაირღვა, ჯერ ერთი, უმეტეს შემთხვევებში არ არის ინფორმირებული იმის შესახებ, რომ მისმა კონტრაპენტმა მის ხარჯზე მიაწოდა პროდუქცია (თუ საქონელი) სრულიად სხვა პირს, იმას, ვისაც ამ პროდუქციის (საქონლის) მიღების არავითარი საფუძველი არ გააჩნდა და ამის გამო ვერ მოითხოვს დარღვევის მიმართ გაზრდილი სანქციის გამოყენებას, მეორეც თუ ეს გარემოება მისთვის ცნობილი გახდება მომავალში, ამ მოტივით მას არა აქვს უფლება მოითხოვოს სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილების გადასინჯვა³¹.

მართალია, დებულებები სახელმწიფო არბიტრაჟების შესახებ უფლებას აძლევს არბიტრაჟის ორგანოებს გადაახდევნონ დამრღვევს პირგასამტეხლო (ჯარიმა, საურავი) მეორე მხარის ან სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ საკუთარი ინიციატივით, თუკი ასეთ მოთხოვნას არ წამოაყენებს მოსარჩელე³², მაგრამ თვით არბიტრაჟისთვისაც, ძალზე ხშირად დარღვევის ხასიათი და სიმძიმე ცნობილი ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მომარაგებისა და გასაღების შესაბამისი ორგანიზაცია აღძრავს სარჩელს ამ დარღვევასთან დაკავშირებით.

ამის გამო, საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდების შესახებ დებულების 85 და სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ დებულების 87 პუნქტებით გათვალისწინებული გაზრდილი სანქციების გამოყენება ხშირად ვერ ხერხდება. ეს კი არ იძლევა საშუალებას მკაცრად დაისაჯოს ხელშეკრულების დამრღვევი ორგანიზაცია და სათანადოდ იქნეს კომპენსირებული ის ზარალი, რომელიც განიცადა ხელშეკრულების მეორე მხარემ. მაშასადამე, ვერ ხორციელდება არბიტრაჟის ორგანოების მთავარი ამოცანა — სამეურნეო დავათა გადაწყვეტის დროს უზრუნველყონ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ქონებრივი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა³³.

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლად ჩვენ მიგვაჩნია საკითხის ისე გადაწყვეტა, როცა არბიტრაჟის ორგანოებს მიეცემათ უფლება უვანრიგოდ (ან მისი გადამეტებით) პროდუქციისა და საქონლის გაცემის შემთხვევაში გადაახდევინონ ვალდებულების უხეშად დამრღვევ მხარეს პირგასამტეხლო (ჯარიმა, საურავი) 50 პროცენტამდე გადიდებული ოდენობით. ამასთან, გადახდე-

³⁰ პ. 2 «დ» письма Госарбитража при Совете Министров СССР от 21 декабря 1976 г. (Н. И. Клейн, И. Н. Петров, Комментарий к Положениям о поставах продукции и товаров, «Юридическая литература», М., 1978, стр. 301, 302).

³¹ П. 105 и 107 Правил рассмотрения хозяйственных споров государственными арбитражами, «Юридическая литература», М., 1978.

³² п. 18 «в» Положения о государственном арбитраже при Совете Министров СССР (утв. постановлением Совета Министров СССР от 17 января 1974 г. № 60) и соответствующие пункты Положений о государственных арбитражах союзных республик. Сборник Положений об органах государственного арбитража «Ю/Л», М., 1978, стр. 9 и др.

³³ п. 2 Положения о государственном арбитраже при Совете Министров СССР (утв. постановлением Совета Министров СССР от 17 января 1974 г. № 60) и соответствующие пункты Положений о государственных арбитражах союзных республик. Сборник Положений об органах государственного арбитража «Юридическая литература», М., 1978, стр. 9 и др.

ვინებულის თანხების ეს ნაწილი ჩარიცხონ ან საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში, ან ხელშეკრულების იმ მხარის ანგარიშზე, რომლის ინტერესებიც დაირღვა.

არბიტრაჟის ორგანოების მიერ ასეთი გადაწყვეტილების გამოტანა მომმარაგებელ-გამსაღებელი ორგანიზაციის სარჩელის განხილვისას სავსებით სწორი იქნება იმის გამოც, რომ სამეურნეო დავათა განხილვის მოქმედი წესები მათ უფლებას ანიჭებს საქმის გამო გადაწყვეტილების გამოტანის დროს გასცდნენ სასარჩელო მოთხოვნების ფარგლებს³⁴. ამას მოითხოვს სახალხო მეურნეობის ინტერესები. საკითხის ასე გადაწყვეტა აუცილებელია საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ქონებრივი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის.

³⁴ პ. 95 Правил рассмотрения хозяйственных споров государственными арбитражами, «Юридическая литература», М., 1978 г. стр. 31.

ახლო ნათესავის მიერ ჩადანილი დანაშაულის დაზარაობა

ო. ზაფხრელიძე

საბჭოთა კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის მიღებით ჩვენი კანონმდებლობის განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო. ქვეყნის ძირითადი კანონის შესაბამისად ამჟამად ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს სამართლის თითქმის ყველა დარგის კანონმდებლობის გადასახლისებლად. კონსტიტუციის საფუძველზე ზოგიერთი ახალი ნორმატიული აქტი უკვე გამოიცა, მაგრამ ბევრი ნორმა ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია.

ახალი კანონმდებლობის შემუშავებისას, ეჭვი არ არის, წარსულის გამოცდილებაც არ უნდა დავივიწყოთ. ამიტომ ურავო არ იქნება, თუ გავიხსენებთ ამ ოციოდე წლის წინათ ჩვენში დაწყებულ საკოდიფიკაციო მუშაობას და ზოგიერთ საკანონმდებლო წინადადებას, რომლებიც იმ ხანებში იყო წამოყენებული, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ დაკანონდა, კვლავ გავიზარებთ და დღევანდელი თვალთ შევფასებთ. მინდა შევეხო მხოლოდ ერთ ასეთ საკითხს.

190-ე მუხლი საქართველოს სსრ ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტისა, რომელიც 1959 წელს გამოქვეყნდა, ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას დანაშაულის დაფარვისათვის. ამ მუხლის შენიშვნის თანახმად დანაშაულის დაფარვისათვის დაწესებული სასჯელისაგან თავისუფლდებოდნენ დამნაშავის ახლო ნათესავები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დაფარვა ჩადენილია ანგარებით ან დაფარული დანაშაული კანონით იწვევს თავისუფლების აღკვეთას ათ წელზე მეტი ვადით.

ეს ნორმა, რომელიც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის თავისებურებას წარმოადგენდა, პროექტის მეორე, 1960 წლის ვარიანტში არ შეუტანიათ და ამიტომ, ცხადია, ის მოქმედ კანონმდებლობაშიც აღარ გვხვდება. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ნორმა, ჩემი აზრით, *de lege ferenda* კვლავ ყურადღების ღირსია.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია განვიხილოთ ის გამონაკლისი შემთხვევები, რომელთა დროსაც, პროექტის 190-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით, ახლო ნათესავები არ გათავისუფლდებიან დანაშაულის დაფარვისათვის დაწესებული სასჯელისაგან.

როგორც ვნახეთ, პროექტის თანახმად, პასუხისმგებლობისაგან არ გათავისუფლდება დამნაშავის ახლო ნათესავი, თუკი მას ანგარება ამოძრავებდა. ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ იქ, სადაც საქმე ეჭება ახლო ნათესავებს, ვთქვათ, დედას, მამას, დას, ძმას და ა. შ. ანგარება გამოირიცხული უნდა იყოს. ამის გამო ახლო ნათესავების მიერ ანგარების მოტივით დანაშაულის დაფარვა ტიპური არ არის. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მსგავსი რამ საერთოდ არ შეიძლება მოხდეს. ამიტომ პროექტის ეს მოთხოვნა სწორია. აქედან ჩანს, რომ პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას თავისთავად ახლო ნათესავის ჩადენილი დანაშაულის დაფარვის ფაქტი კი არ უნდა დაედოს საფუძვლად, არამედ

ნათესაური გრძნობა, ვთქვათ, დედაშვილური, მამაშვილური და სხვა მინაგანი ახლობლური მოვალეობა. ანგარების მოტივი კი ნათესაურ მოვალეობას გამოირიცხავს.

მიუხედავად ამისა, პროექტის დასახელებული მუხლის ამ შენიშვნას, ჩემი აზრით, გარკვეული ნაკლი მაინც აქვს. მაგალითად, შესაძლებელია ახლო ნათესავს, დანაშაულის დაფარვის დროს ანგარება არ ამოძრავებდეს, მაგრამ მის მოქმედებას ნათესაური გრძნობა მაინც არ ედოს საფუძვლად. ხომ შეიძლება, რომ ახლო ნათესავმა დანაშაული დაფაროს გამაწბილებელი ცნობების გახმაურების მუქარით. ვთქვათ, ძმა დაემუქრა დას, რომ გაახმაურებს მის გამაწბილებელ ცნობებს, თუ არ დაეხმარება დანაშაულის კვალის დაფარვაში და სხვ. პროექტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მსგავს შემთხვევაში დამფარავი უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, რაც, ვფიქრობ, არ შეესაბამება ჯანსაღ სამართლებრივ გრძნობას.

პროექტის 190-ე მუხლის შენიშვნას ახლდა კიდევ მეორე დათქმა, რომლის ძალითაც პასუხისმგებლობისაგან არ გათავისუფლდებიან დამნაშავეს ახლო ნათესავები, თუ დაფარული დანაშაული კანონით იწვევს თავისუფლების აღკვეთას ათ წელზე მეტი ვადით. ამჟამად, რომ ეს დათქმა ეწინააღმდეგება დასახელებული შენიშვნის ძირითად იდეას. თუკი ადამიანს პასუხისმგებლობისაგან ვათავისუფლებთ იმის გამო, რომ მან თავისი ახლობლის დანაშაული დაფარა, რაღა თქმა უნდა, სასჯელის ზომას აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს. პირიქით, რაც უფრო მძიმე სასჯელი ემუქრება დამნაშავეს, მით უფრო მეტი სტიმული გაუჩნდება მის ახლობელს დაფაროს იგი და ხელი შეუშალოს მართლმსაჯულების განხორციელებას. დედა, რომელმაც იცის, რომ მის შვილს ათ წელზე მეტი თავისუფლების აღკვეთა ან სიკვდილით დასჯა ემუქრება და ყოველნაირად ცდილობს გამოგლიჯოს ის მართლმსაჯულებას ხელიდან, ვაცილებით უფრო მეტი ღირსია პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისა, ვიდრე ის დედა, რომლის შვილს ათ წლამდე პატიმრობა ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი მოეღოს. სხვათა შორის ასეთი კრიტიკული მოსაზრება ჯერ კიდევ კარდუქსის მიღებამდე იყო გამოთქმული დასახელებული პროექტის მიმართ (ალ. საგინაშვილი).

გარდა ამისა, პროექტის არათანამიმდევრობა გამოვლინდა იმითაც, რომ იგი აწესებდა ახლო ნათესავების პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას დანაშაულის დაფარვის დროს და არ ადგენდა ასეთსავე წესს დანაშაულის განუცხადებლობისა და ცრუ ჩვენებისათვის. როგორც დაფარვა, ისე განუცხადებლობა და ცრუ ჩვენება ერთგვაროვანი დელიქტებია, რომელთა ხელყოფის უშუალო ობიექტი მართლმსაჯულების დაუბრკოლებელი განხორციელებაა. განსხვავება ამ დელიქტებს შორის მხოლოდ ობიექტურ მხარეშია. მაგალითად, ცნობილია, რომ განუცხადებლობა ყოველთვის უმოქმედობაა, მაშინ, როცა დანაშაულის დაფარვა ყოველთვის მოქმედებით ხდება. რაც შეეხება ცრუ ჩვენებას, ისიც ყოველთვის მოქმედებით ხორციელდება, მაგრამ დაფარვისაგან განსხვავებით, ცრუ ჩვენებას სპეციალური სუბიექტი, კერძოდ, მოწმე სჩადის, რაც იმით გამოიხატება, რომ ინდივიდი სიტყვიერი ან წერილობითი ფორმით საგამოძიებო თუ სასამართლო ორგანოს საქმის ირგვლივ განზრახ აწვდის არასწორ ცნობას. დაფარვა კი უმთავრესად ფიზიკური მოქმედებაა (დამნაშავეს დამალვა, სისხლის კვალის წაშლა და ა. შ.).

ერთი სიტყვით, სამივე აქ დასახელებული დელიქტი სხვადასხვა ხერხით

მიმართულია ერთი საერთო მიზნისაკენ — ხელი შეუშალოს საგამოძიებო და სამართლო ორგანოებს ჭეშმარიტების დადგენაში. ამიტომ დამნაშავის ახლო ნათესავის მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ააცილოს სასჯელი ახლობელს, შეიძლება გამოვლინდეს სამივე ფორმით, კერძოდ, დანაშაულის დაფარვით, განუცხადებლობით ან ცრუ ჩვენებით. სწორედ ამის გამო არ ვიქნებით თანამიმდევრული, თუ დავაწესებთ ახლო ნათესავის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას მხოლოდ დანაშაულის დაფარვის შემთხვევაში და არ დავადგენთ ასეთსავე ნორმას დანაშაულის განუცხადებლობისა და ცრუ ჩვენებისათვის.

ამავე რიგის დელიქტებს მიეკუთვნება მოწმის გამოუცხადებლობა მოკვლევის ან საგამოძიებო ორგანოში ან სასამართლოში, ან უარის თქმა ჩვენებაზე, რაც გათვალისწინებული იყო პროექტის 184-ე მუხლით. ამ შემთხვევაშიც მოწმე, რომელიც ხსენებულ ორგანოებში არ გამოცხადდება, რათა თავისი ახლობელი არ ამხილოს, ისევე უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, როგორც გათავისუფლებოდა დამნაშავის ახლო ნათესავი დანაშაულის დაფარვისათვის დაწესებული სასჯელისაგან პროექტის 190-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით.

საგულისხმოა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1968 წლის სისხლის სამართლის კოდექსის § 226-ე მე-3 პუნქტის თანახმად, სისხლისსამართლებრივი ზომები შეიძლება არ იქნეს გამოყენებული განუცხადებლობის გამო იმის მიმართ, ვისაც ევალებოდა უშიშროების ან პროკურატურის ორგანოებისათვის შეეტყობინებია, რომ მზადდება ამავე კოდექსის § 225-ე გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულებრივი ქმედობა, თუკი ამ დანაშაულში ბრალი დაედება მის „ახლო ნათესავს“.

დასახელებული კოდექსის § 232-ე მე-2 პუნქტის მიხედვითაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომები შეიძლება არ იქნეს გამოყენებული, როცა ცრუ ჩვენება ან მტკიცებულებათა ყალბი დამოწმება (§§ 230, 231). მოხდა იმის გამო, რომ ჭეშმარიტი ჩვენების მიცემა ან მტკიცებულებათა სწორად დამოწმება ქმნიდა შესაძლებლობას აღძრულიყო სისხლისსამართლებრივი დევნა თვითონ მოწმის ან მისი „ახლო ნათესავის“ მიმართ.

§ 233-ე მე-3 პუნქტითაც იგივე წესია დადგენილი დანაშაულის დამფარავის მიმართ. ასე რომ, ხსენებული კოდექსი ამ საკითხში სავსებით თანამიმდევრულია. რაც შეეხება მოწმის გამოუცხადებლობას პროკურატურის თუ სასამართლო ორგანოებში, ან ჩვენებაზე უარის თქმას, ამ დელიქტს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კოდექსი საერთოდ არ ითვალისწინებს.

სამაგიეროდ ამავე ქვეყნის 1968 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს იმ პირობა ნუხხას, რომლებსაც ჩვენებაზე უარის თქმის უფლება აქვთ. დასახელებული კოდექსის მიხედვით ასეთ პირებს მიეკუთვნებიან ბრალდებულის ან სამართალში მიცემულის 1) მეუღლე, 2) დები და ძმები, 3) პირდაპირი ხაზის სისხლით ნათესავები ან ნათესავები შეილად აყვანის აქტით (§ 26).

პოლონეთის 1969 წლის სისხლის სამართლის კოდექსითაც ახლო ნათესავის დანაშაულის დაფარვა, განუცხადებლობა და ცრუ ჩვენება არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას (იხ. მუხ. 247-ე § 3, მუხ. 252-ე, § 2, მუხ. 254-ე, § 2).

დასახელებული კოდექსის 250-ე მუხლის § 1-ით დაწესებულია პასუხისმგებლობა იმის უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთების დამალვისათვის, ვინც

ექვემოტანილია დანაშაულის, გადაცდომის ან დისციპლინური დარღვევის ჩადენაში. ამავდემუხლის § 2-ით კი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება პიროვნება, თუ იგი მალავს ვინმეს უდანაშაულობის დამამტკიცებელ საბუთებს იმის შიშით, რომ ამ საბუთების გამოვლინების შემთხვევაში სასჯელი მოეღოს პირადად მას ან მის ახლობელს.

პოლონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასავე აწესებს, რომ ბრალდებულის ახლობელს შეუძლია უარი თქვას ჩვენებაზე (მუხ. 165, § 1, 2), ხოლო მოწმეს შეუძლია არ გასცეს პასუხი კითხვაზე, თუ ამ პასუხით იგი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფრთხეს უქმნის თავის თავს ან თავის ახლობელს (მ. 166, § 1).

როგორც ვხედავთ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მსგავსად, პოლონეთის სისხლის სამართლის კოდექსიც ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან დამნაშავეს ახლო ნათესავს არა მარტო დანაშაულის დაფარვის გამო, არამედ ყველა იმ შემთხვევაში, როცა კანონით დაკისრებული მოვალეობის შესრულება გამოიწვევს ახლობელი ადამიანის დანაშაულში მხილვას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და პოლონეთის კოდექსების დადგენილებანი ხსენებულ საკითხზე მე აქ იმიტომ მოვიყვანე, რომ მეჩვენებინა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 1959 წლის პროექტის არათანამიმდევრობა, რომელიც აწესებდა მხოლოდ იმ პიროვნების პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას, ვინც თავისი ახლობლის დანაშაული დაფარა. მაგრამ, მიუხედავად ამ არათანამიმდევრობისა, პროექტის 190-ე მუხლის შენიშვნაში მოცემული იდეა სავსებით მისაღები და ღრმად ჰუმანური იყო. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ეს იდეა, როგორც უკვე ითქვამოქმედ კანონმდებლობაში არათუ არ განვითარდა, არამედ იმ სახითაც კი არ დაკანონდა, რასახითაც ის დასახელებულ პროექტში იყო მოცემული.

მაინც რას ემყარება ინდივიდის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება დანაშაულის დაფარვის, განუცხადებლობის და ცრუ ჩვენების დროს, თუკი ეს ხდება ახლო ნათესავის სასჯელისაგან დახსნის მიზნით? ერთი შეხედვით, ისე ჩანს, თითქოს იურიდიულად დასჯის ღირსი იყოს ისიც, ვინც თავისი ახლობელი დანაშაულში არ ამხილა. მაგრამ, თუ საკითხს უფრო ღრმად ჩაუვყვირდებით, დავინახავთ, რომ ეს მთლად ასე არ არის. რამდენად სამართლიანია დედის დასჯა იმის გამო, რომ მან თავისი დამნაშავე შვილი არ ამხილა? მე ვფიქრობ, ეს მოთხოვნა ისევე მიუღებელია ზნეობრივად და სამართლებრივად, როგორც მკვლელის დასჯა საკუთარი დანაშაულის დაფარვის, განუცხადებლობის და ცრუ ჩვენებისათვის.

მშობლები შეიძლება სხვაზე ნაკლებად არ წუხდნენ თავიანთი შვილის დანაშაულის გამო, მათ შეიძლება სხვაზე ნაკლებად არ ჰქონდეთ შეგნებული შვილის მიერ ჩადენილი დანაშაულის ანტისაზოგადოებრივი მნიშვნელობა, ნაკლებად არ ეცოდებოდეთ მსხვერპლი და მაინც არ უნდა დაეაკისროთ მათ პასუხისმგებლობა დანაშაულის დაფარვის ან განუცხადებლობის გამო, თუ ამ მოქმედებას საფუძვლად ედო მშობლიური გრძნობა.

ამ შემთხვევაში კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს დამნაშავეს და მისი ახლობლის განსაკუთრებული ნათესაური დამოკიდებულება. ზოგჯერ ივიწყებენ, რომ დედისათვის დამნაშავე შვილი მაინც შვილია და იგი ყოველნაირად ეცდება თავიდან ააცილოს მას სასჯელი, ხოლო შვილი, რაც უნდა მძიმე

დანაშაული ჰქონდეს ჩადენილი, ახლობლისაგან მოელის მხარდაკერას, იმედი აქვს, რომ იგი მას არ უღალატებს, არ შეუწყობს ხელს მის დასჯას. ასეთ დროს დამნაშავის ახლობელი მძიმე, ხშირად გამოუვალ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს. ერთი მხრივ, დედაშვილური დამოკიდებულება ავალებს დედას არ უღალატოს შვილს, მეორე მხრივ კი, მას სასჯელი მოელის, თუ შვილი დანაშაულში არ ამხილა. კანონმდებელი მოვალეა გამოიყვანოს ადამიანი ასეთი მძიმე, გაორებული მდგომარეობიდან.

თუ რა ტრაგიკული შედეგი შეიძლება მოჰყვეს ადამიანის ასეთ გაორებულ მდგომარეობას, ეს თავის დროზე შესანიშნავად გვიჩვენა ა. ყაზბეგმა „ხევისბერ გოჩაში“. როცა ხევის ჯარმა შემოსეული მტერი დაამარცხა და მოღალატეთა დასჯის ჯერიც დადგა, ხევის უზენაესი სამსჯავროს წინაშე, სხვებთან ერთად, წარდგა გუგუაძე, რომელსაც მშობელი ხალხის ღალატი ბრალდებოდა. გუგუა ამაოდ იმართლებდა თავს. მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად წინ წამოდგა ხევისბერის უსაყვარლესი ვაჟი ონისე და ხმამაღლა განაცხადა, რომ გუგუა მართალს ამბობდა, იგი ნამდვილად უბრალოა, ყველაფერი ჩემი შეცდომით მოხდა, მტრის მოახლოება მე გამომეპარა, გუგუა კი მოწინააღმდეგის რიგებში სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა და ხევის ღალატი გულშიაც არ გაუვლიაო. თავზარდაცემული გოჩა საკუთარი ხელით აღასრულებს სასჯელს და ხანჭლით გაუბობს გულს სამშობლოს მოღალატე შვილს. წამიც და, დამსწრენი საზარელი ტრაგედიის მოწმენი ხდებიან: მოხუცი გოჩა შეიშლება.

გოჩას ტრაგედია გამოწვეული იყო იმით, რომ ერთი მხრივ, მას, როგორც ხევის ვანმგებელს და უზენაეს მსაჯულს, ევალებოდა მოღალატეთა დასჯა და, მეორე მხრივ, სამშობლოს ღალატისათვის უსაყვარლესი შვილი საკუთარი ხელით სიკვდილით დასაჯა. გოჩა არ არის ზეკაცო. იგი ჩვეულებრივი მგრძნობიარე, მოსიყვარულე მამაა, ამიტომ ვეღარ აიტანა შვილის მკვლელობა და ვაგიჟდა. აქ ერთმანეთს შეეჯახა გოჩას პიროვნული და საზოგადოებრივი ინტერესები, რაც მისთვის ასე საბედისწეროდ დასრულდა. ამით ა. ყაზბეგმა, როგორც დიდმა ჰუმანისტმა, დაგვანახვა, რომ არ უნდა ჩავაყენოთ ადამიანი ისეთ მდგომარეობაში, როცა მისი პიროვნული და საზოგადოებრივი ინტერესები ასე მკვეთრად დაუპირსპირდება ერთმანეთს.

ინდივიდისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მისი ახლობლის დანაშაულის დაფარვის (ისევე, როგორც განუცხადებლობის და ცრუ ჩვენების) გამო არა მარტო მორალურად არის დაუსაბუთებელი, არამედ მიუღებელია აგრეთვე კანონის ეფექტიანობის თვალსაზრისითაც. აკრძალვა, რომელიც არ შეესაბამება ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებას, არ ემყარება მორალს, ცხადია; ვერ მიიღწევს დასახულ მიზანს. რაც უნდა მძიმე სასჯელი მოელოდეს დედას, ის მანც არ გაცემს თავის შვილს, იგი ამჯობინებს თვითონ დასაჯოს, ოღონდ შვილი დაიხსნას განსაცდელისაგან.

ყოველივე ის, რაც აქ ითქვა, ნათლად ადასტურებს, რომ ახლობელი ადამიანის დანაშაულის დაფარვა და განუცხადებლობა (ან ცრუ ჩვენება), თუკი ეს ხდება ნათესაური გრძნობის კარნახით, გამოირიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, თითქოს ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება ადამიანის მართლზომიერ ქცევას ემყარებოდეს. ახლო ნათესავის მიერ ჩადენილი დანაშაულის დაფარვა გამოირიცხავს მხოლოდ ინდივიდის ბრალს. ჩვენ არ შეგვიძლია ვუსაყვედუროთ მას, არ შეგვიძლია ვავკიცხოთ იგი დამნაშავესთან განსაკუთრებული ნათესაური

დამოკიდებულების გამო, რაც სასჯელისაგან განთავისუფლების საფუძველს ქმნის, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონმდებლობა ამის შესახებ არაფერს ამბობს. მაგრამ, ცხადია, უმჯობესი იქნება, თუკი ადამიანის ამ უფლებას პირდაპირ გაითვალისწინებს კანონი.

ამიტომ მიზანშეწონილია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე მუხლს (დანაშაულის დაფარვა) დაერთოს ასეთი შინაარსის შენიშვნა: „ამ მუხლით გათვალისწინებული მოქმედების ჩადენისათვის პასუხს არ აგებენ დამნაშავის ახლო ნათესავები, თუკი მათ ნათესაური დამოკიდებულება ამოძრავებდათ“.

ანალოგიური შენიშვნა უნდა გაუკეთდეს აგრეთვე საქართველოს სსრ-სისხლის სამართლის კოდექსის 206-ე (დანაშაულის განუცხადებლობა), 197-ე (შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემა) და 198-ე (მოწმის ან ექსპერტისაგან გამოცხადებაზე თავის არიდება ან მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმა) მუხლებსაც.

აქაგალოთ შრომითი კოლექტივის როლი სამართალარღვევითა პროუილაქტიკაში

პ. ნარმაია,

საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი

გასულ წელს თბერატიული ვითარება რესპუბლიკაში გართულდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ დამნაშავეობის პროფილაქტიკა დამაკმაყოფილებლად არ წარმოებდა საერთოდ, განსაკუთრებით კი მშრომელთა კოლექტივებში.

სადირექტივო ორგანოების დადგენილებით მშრომელთა კოლექტივები, მათი ხელმძღვანელები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოვალენი არიან ყოველდღიურად ზრუნავდნენ საბჭოთა კანონების დაცვისათვის, დანაშაულის თავიდან აცილებისათვის.

სსრ კავშირის კონსტიტუციის მეორე მუხლში ხაზგასმით არის აღნიშნული შრომითი კოლექტივების მნიშვნელობა, რომლებიც ხელს უწყობენ შრომის დისციპლინის განმტკიცებას, ზრდიან თავის წევრებს კომუნისტური ზნეობის სულისკვეთებით.

მშრომელთა კოლექტივის, როგორც ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და სოციალური ორგანიზმის პირველადი უჯრედის, შესაძლებლობაა თავის წევრთა აღზრდისათვის, მათზე ზემოქმედებისათვის ამოუწურავია, ასევე დიდია მისი როლი სამართალდარღვევითა აღკვეთაში, მშრომელთა სამართლებრივ აღზრდაში.

დამნაშავეობისა და შრომის დისციპლინის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაში საყურადღებო გამოცდილება აქვთ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო, ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნების, ენგურის ქალაქის კომბინატის და რესპუბლიკის მთელ რიგ სხვა საწარმოთა კოლექტივებს.

სამწუხაროდ, მშრომელთა კოლექტივების ზეგავლენის ძალა, მისი შესაძლებლობები ყველგან სრულად არ არის გამოყენებული. ბევრგან სამართალდარღვევითა თავიდან აცილებისა და მშრომელთა მართლშეგნების ამადლებისათვის განზორციელებულ ღონისძიებებს აკლია თანამიმდევრულობა, კონკრეტულობა და შემტევითობა. დიფერენციულად არ ხდება ადამიანებზე ზემოქმედების საშუალებებისა და ხერხების შერჩევა. ამითაც უნდა აიხსნას, რომ დამნაშავეთა საერთო რაოდენობიდან 60 პროცენტზე მეტს შეადგენენ პირები, რომლებიც დასაქმებული არიან შრომითს კოლექტივებში.

დამაფიქრებელია, რომ ბოლო ხანს მშრომელთა კოლექტივებში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღების მიუხედავად, ზემოთ აღნიშნული მაჩვენებელი სტაბილურია, ან სრულიად უმნიშვნელოდ მცირდება.

ტუდი პროფილაქტიკური საქმიანობის გამო საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობისადმი, ვაჭრობის, კვების, მსუბუქი მრეწველობის და მშენებლობის სამინისტროებისადმი დაქვემდებარებულ კოლექტივებში ხშირად არღვევენ კანონს, სჩადიან სისხლის სამართლის დანაშაულს.



შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელობა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის საქმიანობას მხოლოდ მაშინ სრულყოფს, თუ ღრმად გააანალიზებს იმას, თუ როგორ იცავენ მისი წევრები საბჭოთა კანონებს. ზოგან ამას არ ითვალისწინებენ, ზერეულედ ეკიდებიან სამართალდარღვევათა აღრიცხვას, შესწავლას, განზოგადებას, უმეტესწილად სჯერდებიან თავიანთი წევრების მიერ ჩადენილ ცალკეულ სისხლის სამართლის დანაშაულთა მარტოოდენ ფიქსირებას და ამის თაობაზე ინფორმაციის განხილვას.

საწარმოში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში ოპერატიული ვითარების, კოლექტივის წევრთა მართლშეგნების სრული სურათის შექმნისათვის კი საჭიროა ზუსტად აღირიცხოს კოლექტივის წევრთა მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულობანი, წვრილმანი გატაცების, წვრილმანი ხულიგნობის ე. წ. ადმინისტრაციული გადაცდომის ფაქტები და სხვ. აღრიცხვას ექვემდებარებიან აგრეთვე ის პირები, რომლებიც უმიზეზოდ ხშირად აცდენენ სამუშაო დღეებს, აგვიანებენ სამსახურში, ეძალებიან ალკოჰოლს, ხმარობენ ნარკოტიკებს და ა. შ.

სათანადო ანალიზი მნიშვნელოვნად გააადვილებს, თუ სამართალდარღვევები დაიყოფა შემდეგ ჯგუფებად: დანაშაულობანი, წვრილმანი ხულიგნობა, წვრილმანი გატაცება, გამოსაფხიზლებელში მიყვანა, გაცდენები, საწარმოო ტრავმატიზმი და სხვ. ეს მონაცემები შემდეგ შეიძლება განაწილდეს საამქროებისა და განყოფილებების მიხედვით და გაირკვეს, თუ რამდენი სამართალდარღვევა ცალკეულ ამ დანაყოფებში, მომუშავეთა საერთო რაოდენობის რამდენ პროცენტს შეადგენენ ისინი. ასეთი ანალიზი გვიჩვენებს, ამ მხრივ, რომელი საამქრო უფრო მეტად არის დაზიანებული.

საწარმოო კოლექტივში სამართალდარღვევათა ინტენსიურობის დასადგენად გამოიყვანება კოეფიციენტი ყოველ 100 მომუშავეზე. ეს საშუალებას იძლევა ვიცოდეთ, რამდენი სამართალდამრღვევია ყოველ 100 წევრიდან. ამის შემდეგ დგება ამ მაჩვენებლის დინამიკა წინა პერიოდებთან შედარებით.

სამართალდამრღვევი პირების მონაცემების ანალიზი გულისხმობს, რომ ყურადღება მიექცეს იმას, თუ რამდენია მათ შორის სკკპ წევრი, ალკა წევრი, კომუნისტისა და კომკავშირელის მიერ მართლწესრიგის დარღვევას განსაკუთრებული შეფასება უნდა მიექცეს და ღონისძიებებიც საგანგებო განხორციელებულს.

სამართალდარღვევათა აღრიცხვა, შესწავლა, ანალიზი, განზოგადება ძირითადად ეკისრებათ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა კადრების განყოფილებებს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ამხანაგური სასამართლოების, სახალხო რაზმეულების ხელმძღვანელებს. ისინი სამართალდამრღვევებზე ადგენენ ბარათებს, რომლებშიც მოცემულია დარღვევის ხასიათი, პიროვნების დახასიათება და მის მიმართ განხორციელებული ღონისძიებანი.

სასურველია დროდადრო ადგილობრივი აღრიცხვის მონაცემების შედარება შინაგან საქმეთა განყოფილების შესაბამის მონაცემებთან, რადგან თავიანთი წევრის მიერ ჩადენილ სამართალდარღვევის შესახებ კოლექტივები ყოველთვის არ ღებულობენ სათანადო ინფორმაციას.

პერიოდულად შედეგები წარედგინება კოლექტივის ადმინისტრაციას, პარტიულ კომიტეტს, პროფკავშირის ადგილკომისა და კომკავშირის კომიტეტს,

რომლებიც ხელმძღვანელობენ მთელ საქმიანობას შრომის კოლექტივში მართლწესრიგისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კარგ შედეგებს იძლევა პარტიულ კრებებსა და ბიუროს სხდომებზე ცვლებისა და ბრიგადების ხელმძღვანელების ანგარიშის მოსმენა იმის თაობაზე, თუ რა მუშაობას ეწევიან ისინი დანაშაულის პროფილაქტიკისათვის. ასევე გამართლებულია საამქროთა ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის კრებებზე საწარმოო დისციპლინის, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საკითხების განხილვა.

სწორად უნდა ჩაითვალოს იმ პროფკავშირული ორგანიზაციების პოზიცია, რომლებიც სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას უპირატესობას ანიჭებენ კოლექტივს, რომელსაც მაღალ საწარმოო მაჩვენებლებთან ერთად აქვს სანიმუშო მონაცემები შრომის დისციპლინის და მართლწესრიგის დაცვაში.

მშრომელთა კოლექტივი მოვალეა მაღალი მომთხოვნელობა გამოიჩინოს მუშაკის მიმართ არა მარტო მაშინ, როცა საქმე წარმოებისადმი მის დამოკიდებულებას ეხება, არამედ მაშინაც, როცა იგი უწესოდ იქცევა კოლექტივში, ოჯახში, თავშეუკავებლობას იჩენს ყოფა-ცხოვრებაში.

კომკავშირული ორგანიზაციის ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავია კოლექტივის ახალგაზრდა წევრების აღზრდა საბჭოთა კანონებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით. მან უნდა გამოიჩინოს ინიციატივა, განახორციელოს ღონისძიებანი ახალგაზრდობაში შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, მართლწესრიგის დარღვევის, დანაშაულის თავიდან აცილებისათვის. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, როგორც კი შეიტყობენ, რომ მათმა წევრმა დანაშაული ჩაიდინა, სავამოძიებო ორგანოებთან ერთად უნდა შეისწავლონ ის მიზეზები და პირობები, რომლებმაც განაპირობა დანაშაულის ჩადენა. ასეთივე ღონისძიებებია საჭირო მაშინაც, როცა საქმე ეხება კომკავშირის ასაკის ახალგაზრდას, რომელიც არ არის ალკა წევრი. სამართალდარღვევებთან ბრძოლა ეფექტიანი ვერ იქნება, თუ შეთანხმებულად არ იმუშავებენ ადმინისტრაცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. ამ მიზნით კი სასურველია შემუშავდეს პროფილაქტიკური ღონისძიებების ერთობლივი გეგმა.

მართლწესრიგის განმტკიცებაში საწარმოო კოლექტივების როლის ამაღლებას ხელს უწყობს ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულებისა და ამხანაგური სასამართლოების გამართული მუშაობა, ამიტომ მათი ავტორიტეტისა და ეფექტიანობის ზრდა პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური ზრუნვის საგნად უნდა იქცეს. მოსაწონია, როცა პარტიული კომიტეტისა და პროფკავშირის ადგილკომის სხდომებზე პერიოდულად განიხილავენ ხოლმე მათი მუშაობის საკითხებს და ხდება მთელი კოლექტივის ფართო ინფორმირება. ბევრგან პრაქტიკაში დამკვიდრდა სახალხო რაზმეულებისა და ამხანაგური სასამართლოების ანგარიშის მოსმენა. ეს იმიტომაც არის საჭირო, რომ როგორც შემოწმებამ გვიჩვენა, ბევრგან ამხანაგური სასამართლოების საქმიანობას ახასიათებს ფორმალიზმი, მათი მუშაობა ჯერ კიდევ არ არის გარდაქმნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 8 თებერვლის დადგენილების შესაბამისად. ზოგან არც იცნობენ ამხანაგური სასამართლოების ახალ დებულებას, რომელიც დიდ შესაძლებლობებს ქმნის მათი ნაყოფიერი ფუნქციონირებისათვის. კოლექტივში მომხდარი ყოველგვარი სამართალდარღვევა ამხანაგური სასამართლოს მსჯელობის საგნად უნდა იქცეს.

პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან იზრუ-



ნონ სახალხო რაზმელებისა და ამხანაგური სასამართლოების წევრთა სწავლებისათვის, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, მოაწყონ სასწავლო სემინარები, განამტკიცონ მათი კონტაქტები რაიონულ საბჭოებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან.

საწარმოო კოლექტივებში სამართალდარღვევებთან ბრძოლის ეფექტიანობის ინტერესები მოითხოვს, რომ საწარმოს, დაწესებულების ადმინისტრაციამ პერიოდულად გამოსცეს კვალიფიციურად შედგენილი ბრძანებები შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილების საკითხებზე, რომლებიც ამაღლებს საამქროებისა და განყოფილებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობას და უზრუნველყოფს სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის ორგანიზაციის გაუმჯობესებას.

პროფილაქტიკურ ღონისძიებათა კომპლექსის მიზანმიმართული განხორციელების შედეგად საწარმოო კოლექტივში იქმნება შრომის დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების, მოქმედი კანონების ყოველგვარი დარღვევებისადმი შეურიგებლობის ატმოსფერო, მაღალი პასუხისმგებლობის ვითარება. სათანადო რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს წვრილმანი გადაცდომაც კი, რადგან კოლექტივის წევრის მიერ, ვთქვათ, წვრილმანი ხულიანობის უყურადღებოდ დატოვება ხელსაყრელ პირობებს ქმნის ბოროტული ხულიანობის ჩასადენად, ხოლო სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცებების აღუკვეთებლობას უფრო მნიშვნელოვანი გატაცებები მოჰყვება ხოლმე.

დამნაშავეობის თავიდან აცილებისათვის მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საბჭოები, რომლებიც რესპუბლიკის ბევრ საწარმოსა და დაწესებულებაშია შექმნილი. საბჭოებში გაერთიანებული არიან პარტიული კომიტეტის, პროფკავშირის ადგილკომის, კომკავშირის კომიტეტის, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, საბჭოების დეპუტატები, შრომის ვეტერანები.

ჩვენი ქვეყნის მოწინავე საწარმოებში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით საბჭოებთან ჩამოყალიბებულია სამართალდარღვევათა აღრიცხვის, სამართლის პროპაგანდის, ახალგაზრდობასთან მუშაობის, წარსულში ნასამართლევი და კოლექტივისათვის აღსაზრდელად გადაცემული პირებისადმი კონტროლის განხორციელებისა და სხვა სექციები.

საბჭოები მუშაობენ კომპლექსურ ღონისძიებათა წლიური და კვარტალური გეგმების მიხედვით. თვეში ერთხელ იწვევენ სხდომას, რომელზეც განიხილავენ სამართალდამრღვევ პირთა საკითხებს. მიღებული გადაწყვეტილება ეგზავნება ადმინისტრაციასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. ვისაც აქვს ალკოჰოლისადმი მიდრეკილება, იგზავნება ამბულატორიული მკურნალობისათვის. საბჭო ვრცელ ინფორმაციას აწვდის აგრეთვე მილიციის უბნის ინსპექტორებს და მართლწესრიგის საყრდენი პუნქტების საზოგადოებრივ საბჭოებს, რომელთა მომსახურების ზონაში ცხოვრობს დამრღვევი.

ასეთი საბჭო იქმნება დიდ კოლექტივში, სადაც არანაკლებ 100 მუშაკია, ამასთან ერთად გასათვალისწინებელია საწარმოს, დაწესებულების სტრუქტურა, იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციების რაოდენობა, რომლებსაც ევალებათ სამართალდარღვევათა თავიდან აცილება, ეკისრებათ პასუხისმგებლობა კოლექტივში სამართალდარღვევათა მდგომარეობისათვის. მსხვილ საწარმოებში

მიზანშეწონილია განყოფილებებთან, საამქროებთან და უბნებთან შეიქმნას საბჭოების ხელშემწყობი ჯგუფები, დიდ საამქროებში კი დამოუკიდებელი საბჭოები.

სოციალისტური საკუთრების გატაცებათა თავიდან ასაცილებლად მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაკის მიღებისას აუცილებელია კოლექტივებში დაიცვან ნორმა, რომელიც კრძალავს ასეთ სამუშაოზე იმ პირთა გაფორმებას, რომლებიც გასამართლებული არიან ანგარებითი დანაშაულისათვის, უფრო ვაზედულად უნდა დაისვას კოლექტივის წინაშე საკითხი, რათა უნდობლობა გამოეცხადოთ მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობაზე მომუშავე პირებს, რომლებიც სისტემატურად ლოთობენ, დაუდევრად, უყარათოდ ეკიდებიან მატერიალურ ფასეულობათა დაცვას. ამ მოტივით ისინი შეიძლება დათხოვნილ იქნენ კიდევ თანამდებობიდან. ამ მოთხოვნას ყველგან სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან. ხშირად მატერიალურ ფასეულობას აბარებენ იმ პირებს, რომლებიც გასამართლებული არიან სახელმწიფო ქონების გატაცებისათვის და ნდობას არ იმსახურებენ.

მარნეულის რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში მატერიალურად პასუხსაგებ სამუშაოზე წარმოების უფროსად მიიღეს წინათ ანგარებითი დანაშაულისათვის სამჯერ ნასამართლევი გ. თეთრაშვილი. ამავე სამმართველოს ხეტყის მიმღები პუნქტის გამგედ დაინიშნა ანგარებითი დანაშაულისათვის ასევე სამჯერ ნასამართლევი ს. პანიანი.

სოციალისტური საკუთრების გატაცებათა, უყარათობისა და მფლანგველების წინააღმდეგ საჭიროა უფრო აქტიურად ამოქმედდენ სახალხო კონტროლიორები; ისინი მოვალენი არიან პერიოდულად შეისწავლონ მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის, შენახვის, ჩამოწრის მდგომარეობა და შემოწმებათა შედეგები მოახსენონ ადმინისტრაციას, მასალები გამოაქვეყნონ პრესაში.

სამართალდარღვევათა თავიდან აცილების მიზანს უნდა დაექვემდებაროს მშრომელთა სამართლებრივი აღზრდა, რომელიც აუცილებელია განხორციელდეს სხვა ისეთ გამაფრთხილებელ და აღმზრდელობითს ღონისძიებებთან კომპლექსით, როგორც არის შრომის დისციპლინის დამრღვევათა საქციელის განხილვა კოლექტივის საერთო კრებებზე, ამხანაგური სასამართლოების სხდომებზე, მუშათა სინდისის სამსჯავროზე.

მხედველობაშია მისაღები, რომ სამართლებრივი აღზრდის ეფექტიანობა იმაზეა დამოკიდებული, რომ საბჭოთა კანონების პროპაგანდა წარმოებდეს დიდფერენციულად. საჭიროა სამართლებრივი პროპაგანდის დაგეგმვისას გავითვალისწინოთ ამა თუ იმ საამქროსა და განყოფილებაში შრომის დისციპლინის დაცვის მდგომარეობა, ის, თუ რამდენად არის გავრცელებული სამართალდარღვევები კოლექტივში.

საწარმოო კოლექტივში მართლწესრიგის განმტკიცებაში დიდი როლის შესრულება შეუძლია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ოპერატიულ გამოყენებას. მრავალტირაჟიანმა გაზეთებმა და ძირეულმა პრესამ სისტემატურად უნდა ვააშუქონ სამართალდარღვევებთან ბრძოლის მდგომარეობა, გამოაქვეყნონ მასალები ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულებისა და ამხანაგური სასამართლოების საქმიანობის შესახებ, დარაზმონ მთელი საზოგადოებრიობა დანაშაულების წინააღმდეგ, მკაცრად გააკრიტიკონ ისინი ვინც არღვევს დისციპლინას, ლოთობს, ხელიგნობს ან სხვა დანაშაულს სჩადის.

სამართლებრივ აღზრდაში, სამართალდარღვევებთან ბრძოლაში შეიძლება ეფექტიანად იქნეს გამოყენებული ადგილობრივი რადიოკვანძები. მიკროფონთან მართლწესრიგის დაცვისა და კანონების შესრულების პრაქტიკულ საკითხებზე უნდა ისაუბრონ ხელმძღვანელმა სამეურნეო, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა მუშაკებმა, ამხანაგური სასამართლოს წევრებმა, ადმინისტრაციულ ორგანოთა მუშაკებმა. სარგებლობას მოუტანს საქმეს, თუ მოქმედი კანონმდებლობის ცალკეულ საკითხებზე საჭიროების მიხედვით გადაიცემა ფირზე ჩაწერილი ტექსტი.

კარგი იქნება დამკვიდრდეს პრაქტიკა, როცა ადგილობრივი რადიოკვანძის მეშვეობით გადაიცემა ინფორმაცია განვლილ დღე-ღამეში მომხდარ სამართალდარღვევათა შესახებ.

ადგილობრივი რადიოთი შეიძლება გადაიცეს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების შედეგებიც, სასამართლოს განაჩენები, კერძო განჩინებები, წარდგინებები კოლექტივის წევრის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეთა გამო, ამხანაგური სასამართლოების დადგენილებები, აგრეთვე ცნობები ადგილობრივ ბიბლიოთეკაში არსებული და ახლმიღებული იურიდიული ლიტერატურის, იურიდიულ ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერის შესახებ, რაც დაეხმარება მშრომელებს სამართლებრივი კულტურის ამაღლებაში.

კოლექტივის წევრთა მხრივ სამართალდარღვევების თავიდან აცილებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველდღიურ მუშაობას საგამოძიებო ორგანოების მიერ თავდებქვეშ გადაცემულ და თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან დაბრუნებულ პირებთან, აგრეთვე იმათთან, ვინც შემჩნეულია შრომის დისციპლინის და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში.

შემოქმედების საერთო ღონისძიებებთან ერთად კარგი იქნება პრაქტიკაში დავამკვიდროთ ამ კონტიგენტისადმი წარმოების მოწინავეთა და შრომის ვეტერანთა შეფობა. საჭიროა სისტემატურად ვიზრუნოთ ამ პირთა შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, იმისათვის, რომ ჩავუნერგოთ მათ პატივისცემა საბჭოთა კანონებისადმი, რწმენა კოლექტივისადმი.

საამქროების, უბნებისა და განყოფილებების უფროსებმა, ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და შეფებმა მუშა-მოსამსახურეთა კრებას პერიოდულად უნდა მოახსენონ ამ კონტიგენტთან გაწეული მუშაობის შედეგები. კონტროლის ასეთ ფორმას გამაფრთხილებელი მნიშვნელობა აქვს და საჭირო ეფექტსაც იძლევა.

იმის გამო, რომ ამ კონტიგენტთან მუშაობა ხშირად ფორმალური ხასიათისაა, მათი გარკვეული ნაწილი განმეორებით სჩადის დანაშაულს და სხვა სამართალდარღვევებს.

ქ. რუსთავის მექანიკურ-სარემონტო ქარხნის ზენკალმა, არაერთხელ ნა-სამართლემა ნ. სოკოლოვმა 1978 წლის 16 მარტს უზომოდ მთვრალმა ოთხჯერ ნასამართლევ უსაქმურ ვინმე ვ. ვოლოგაშკინთან ერთად მოაწყო ყაჩაღური თავდასხმა, რის შედეგადაც თავის ბინაში მოკლეს მოქ. ა. შინკარენკო.

1978 წელს განმეორებით ჩაიდინა დანაშაული (ბოროტი ხულიგნობა) წინათ მსჯავრდებულმა ქ. რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის ელექტროშემღებელმა ა. ბაბაჩინსკიმ.

მშრომელთა კოლექტივი თვითონ უნდა იყოს იმის ინიციატორი, რომ მოეწყოს სახალხო სასამართლოს გამსვლელი სესია მათი წევრების მიერ ჩადენილ დანაშაულობათა საქმეების გამო. საჭიროა მათ სასამართლოს შემადგემლო-

ბასთან ერთად იზრუნონ პროცესის მოსამზადებლად, საზოგადოებრივ ბრალმდებლად და საზოგადოებრივ დამცველად დადგენილი წესის დაცვით გამოყონ კოლექტივში დაფასებული და ავტორიტეტის მქონე პირები.

უფრო მეტ ყურადღებას საჭიროებს დამანაშავეობის პროფილაქტიკა არასრულწლოვანთა შორის. ყველაზე ეფექტიანად ეს სწორედ სასწავლო და საწარმოო კოლექტივებში შეიძლება განხორციელდეს. ამიტომ საჭიროა შეურიგებელი ბრძოლა გამოყოფილებით ზოგიერთი ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკის მანკიერ პოზიციას, როცა ისინი დაუსაბუთებლად უარს ეუბნებიან სამუშაოზე არასრულწლოვანთ მათი შრომის „არარენტაბლობის“ მოტივით. კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან მოაგონონ ასეთ ხელმძღვანელებს მთავრობის მიერ არასრულწლოვანთათვის დაწესებული ჯავშნის შესახებ, რომლის მიხედვითაც წარმოების მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის 3-5 პროცენტს არასრულწლოვნები უნდა შეადგენდნენ. არავის არა აქვს უფლება შელახოს მოზარდთა შრომითი უფლებები და პრივილეგიები.

სამართალდამრღვევთა მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა მუშა-ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლეებზე მოდის. ეს შრომითი კოლექტივებისაგან მოითხოვს საწარმოში დასაქმებული ამ კონტიგენტის მიმართ გამოიჩინონ განსაკუთრებული ყურადღება და მზრუნველობა, დაინტერესდნენ მათი საწარმოო მაჩვენებლებითაც და აკადემიური წარმატების დონითაც.


სამართალდარღვევებთან აქტიური ბრძოლის ვითარების შექმნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა კოლექტივის საზოგადოებრივ აზრს, რაც ორგანულ კავშირშია კოლექტივის წევრთა მართლშეგნებასთან, ე. ი. მათი იდეების, შეხედულებების, წარმოდგენების, შეფასებებისა და განწყობილებების ერთობლიობასთან და გამოიხატება მათ დამოკიდებულებაში კანონებისადმი, სამართლისადმი, ადამიანთა ქცევისადმი, ადმინისტრაციის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობისადმი.

საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედების ძალა ის არის, რომ იგი მშრომელთა კოლექტივის, სამჭროს, ცვლის, უბნის, ბრიგადის კოლექტივის ერთიან ნება-სურვილს გამოხატავს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მართებული გამოთქმით — „იმ კოლექტივის აზრს, იმ კოლექტივის ზემოქმედებას, რომლის გარემოცვაშიც ადამიანს ყოველდღიურად უხდება ყოფნა, ზოგჯერ უფრო მეტის გავლენა შეუძლია, ვიდრე ოფიციალურ დადგენილებას“¹.

სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის მიზნებისათვის და შრომითი დისციპლინის განმტკიცებისათვის, ასევე სოციალისტური თანაცხოვრების წესების განმტკიცებისათვის ბევრგან წარმატებით იყენებენ მუშაკთა მორალური წახალისების საშუალებებს, საზოგადოების წინაშე მუშაკის დამსახურების და სხვა პირადი ღირსებების აღიარებას კოლექტივის მიერ დიდი მორალური კმაყოფილება მოაქვს არა მარტო მისთვის, არამედ იგი აღმზრდელით ზეგავლენას ახდენს კოლექტივის სხვა წევრებზეც, ხოლო როცა მშრომელთა კოლექტივი კიცხავს თავისი წევრის ანტისაზოგადოებრივ საქციელს, მის ისეთ უარყოფით თვისებებს, როგორც არის მომხვეჭელობა, არაკეთილსინდისიერება, კოლექ-

¹ ლ. ი. ბრეჟნევი, ლენინის კურსით. სიტყვები და სტატიები, ტ. 4, 1974 წ. გვ. 294.



ტივის საზოგადოებრივი აზრი ამით აიძულებს დამრღვევს შეიგნოს კომუნისტური ზნეობისა და კანონის ნორმების მოთხოვნათა შესრულების აუცილებლობა, ხოლო, თუ ესეც არ გასჭრის, ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებით რომ ვთქვათ, „...ბოროტ უსაქმურებსა და წუნის მკეთებლებზე, ლოთებსა და შრომის დისციპლინის დამრღვევებზე როცა დარწმუნება არ მოქმედებს, უნდა მივიღოთ გადაწყვეტილი ზომები“².

ჩვენს რესპუბლიკაში სულ უფრო ფართოვდება და ღრმავდება მწვავე და გლობალური ბრძოლა ყოველგვარ ნეგატიურ მოვლენებთან. ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა კოლექტივების საზოგადოებრივი აზრის ეფექტიანად გამოყენებას, მის წევრთა პასუხისმგებლობის ამაღლებას, დამნაშავეობის პროფილაქტიკას, რაც რესპუბლიკაში მართლწესრიგის განმტკიცების აუცილებელი პირობაა.

² ლ. ი. ბრეჟნევი თხზ., ტ. 33. 294.



„სისხლის სამართლის პოლიტიკა და სისხლის სამართალი“ (ვერნის საერთაშორისო სიმპოზიუმის შესახებ)

მ. შპრახელიძე

სისხლის სამართლის პოლიტიკის პრობლემათა ფართო მასშტაბით კვლევა-ძიება ჩვენს ქვეყანაში 20-30-იან წლებში გაიშალა, მაგრამ შემდეგ იგი თანდათანობით შენეულა და შეწყდა კიდევ. ინტერესმა ამ პრობლემათა შესახებ მხოლოდ მას შემდეგ გაიღვიძა, რაც 60-იანი წლებში სერიოზული ორგანიზაციული და მეცნიერული ბაზა შეიქმნა საბჭოთა კრიმინოლოგიის განვითარებისათვის. ამ პერიოდთან დაკავშირებული იდგამს სისხლის სამართლის პოლიტიკის პრობლემათა კვლევა-ძიება, თუმცა, თითო-ორთა ნაშრომი, რომელიც დღემდე გამოქვეყნებული ამ დარგში, უპირატესად სისხლის სამართლის პოლიტიკის კერძო საკითხებს ეძღვნება, ზოგადი პრინციპები და კანონზომიერებანი კი საკმაოდ ინტენსიურად არ შეისწავლება.

ამასობაში სისხლის სამართლის პოლიტიკის პრობლემათა მონოგრაფიულ შესწავლას ხედი მიჰყვება უცხოეთის თანამედროვე გამოჩენილმა კრიმინოლოგებმა და კრიმინალისტებმა (ნეიფომა და ლიუტოვმა — ბულგარეთში, ბუს-ჰოლცმა, ლექსანმა და ჰარტმანმა — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მილუტჩოვიჩმა — იუგოსლავიაში, ლერნელმა — პოლონეთში, ვიშკიმ, ვინერმა, ვერმეშმა და ხორვატმა — უნგრეთში, შუბერტმა — ჩეხოსლოვაკიაში, კაიხერმა, ვიურტენბერგერმა, მეცგერმა, იემეკმა და შრედერმა — გერმანია-

ის ფედერაციულ რესპუბლიკაში, რაძინო-ვინმა, მანაიშმა და ფრიმენმა — ინგლისში, უექსლერმა, მაულერმა, ბასიონიმ და შვარცმა — ამერიკის შეერთებულ შტატებში)². მათი გამოკვლევების შედეგები, რომელთაგან ზოგიერთი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია, უთუოდ დიდ თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებას წარმოადგენს დადებითი თუ უარყოფითი გამოცდილების გათვალისწინებისა და სამართალშემოქმედებითი პროცესების შემდგომი ოპტიმალური მართვის თვალსაზრისით. უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამიტომ იწვევდა ინტერესს ახალგაზრდა პენალისტთა საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც ვარნაში გაიმართა 1977 წლის 23-28 მაისს თემაზე — „სისხლის სამართლის პოლიტიკა და სისხლის სამართალი“.

ახალგაზრდა პენალისტთა საერთაშორისო სიმპოზიუმი მოეწყო ბულგარეთის სისხლის სამართლის ასოციაციის, მეცნიერ მუშაკთა კავშირისა და იურისტთა კავშირის ინიციატივით. იგი ჩატარდა სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის ეგიდით, როგორც ამ ასოციაციის პირველი ახალგაზრდული მეცნიერული ღონისძიება. სიმპოზიუმმა 25 ქვეყნის 100-მდე დელეგატი შემოიკრიბა, მათ შორის — 40-ზე მეტი წარმომადგენელი 8 სოციალისტური ქვეყნიდან. მონაწილეთა ასაკი არ უნდა ყოფილიყო 85 წელზე მეტი. თუმ-

¹ იხ. **А. С. Шляпочников**, Ленинские принципы уголовной политики Советского государства, «Советское государство и право», 1968, № 4; «Эффективность уголовно-правовых мер борьбы с преступностью (под ред. проф. Б. С. Никифорова)», М., 1968; **А. А. Герцензон**, Уголовное право и социология (Проблемы социологии уголовного права и уголовной политики), М., 1970; «Эффективность применения уголовного закона (ответственные редакторы: Н. Ф. Кузнецова и И. Б. Михайловская)», М., 1973; «Основные направления борьбы с преступностью» (под ред. проф. И. М. Гальперина и проф. В. И. Курляндского), М., 1975; **П. Н. Панченко**, Советская уголовная политика и ее принципы (в свете задач, стоящих перед наказанием), в кн.: «Вопросы назначения наказания и освобождения от уголовной ответственности и наказания», Иркутск, 1976.

² ყველა ნაშრომის დასახელება გაძნელებდა, მაგრამ საგანგებო მოხსენების დირსია ორი მათგანი, რომელთა გამოქვეყნება საეტაპო მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ამერიკის შეერთებულ შტატების იურისპროდენციაში. ესენია: 1. **Robert S. Redmont**, Some Basic Considerations Regarding Penal Policy, «Journal of Criminal Law, Criminology and Police science», Vol. 49, No. 5, 1959, Pp 426 on; 2. **Heinz, Gettleman, Seeskin**, Legislative Politics and the Criminal Law, «Northwestern University Law Review» vol. 64, July-August, № 3.



ცა ეს მოთხოვნა არ იყო მკაცრი და პრაქტიკულად სიმპოზიუმზე თითქმის ყველა ასაკის დელეგატი დაუშვეს.

საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, საკავშირო პროკურატურის ინსტიტუტის დირექტორი ვ. კლოჩკოვი (დელეგაციის ხელმძღვანელი), სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის გენერალური მდივნის მოადგილე, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მართლმსაჯულების თეორიულ პრობლემათა სექტორის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ვ. სავიცი, ამავე ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ო. დუბოვიკი, საკავშირო პროკურატურის ინსტიტუტის თანამშრომლები ნ. ბელიაევა და დ. ტურინი, აგრეთვე ამ სტრუქტურის ავტორი. დელეგაციას მეცნიერ ტურისტად ახლდა შორეული აღმოსავლეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი ვ. ნომოკონოვი.

სიმპოზიუმში მიმდინარეობდა ყოლიო-კიურის სახელობის მეცნიერთა საერთაშორისო სახლში, რომელიც შავი ზღვის თვალწარმტაც ნაპირზე დგას და აღჭურვილია საერთაშორისო ფორუმების ჩასატარებლად საჭირო უახლესი მოწყობილობით. სამუშაოდ გამოიყენებოდა რუსული, ბულგარული, ფრანგული და ინგლისური ენები.

23 მაისს გაიმართა წინასწარი საორგანიზაციო თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის ხელმძღვანელები, ბულგარეთის ორგანიზატორები და სიმპოზიუმის დელეგატები. გადაწყდა შექმნილიყო საქმიანი პრეზიდიუმი სხვადასხვა ქვეყნის 12 წარმომადგენლის შემადგენლობით. მათი მოვალეობა იყო, თათო სესიის მომზადება და თავმჯდომარეობა, ამასთან დაკავშირებული ყველა სხვა საორგანიზაციო საკითხის მოგვარება. საბჭოთა დელეგაციის მხრივ ამ ფუნქციათა შესრულება მე დამეკისრა. შეიქმნა აგრეთვე სარედაქციო კომისია წაითხულ მოხსენებათა ტექსტების მოსამზადებლად სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის საგანგებო-გამოცემისათვის³. საბჭოთა წარმომადგენლად კომისიაში არჩეულ იქნა ო. დუბოვიკი.

24 მაისს დილით სიმპოზიუმის დელეგატები მიგვიწვიეს ბულგარეთის ეროვნული კულ-

ტურის დიდ დღესასწაულზე, რომელიც მიმდინარეობდა სლავური დამწერლობის შემოღებისადმი და დაკავშირებულია X საუკუნის ბულგარულ მწიგნობართა — კირილესა და მეთოდეს სახელებთან.

ამავე საღამოს სიმპოზიუმში საზეიმოდ გაიხსნა. მასში მონაწილეობდნენ: სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის მხრნიზ — პ. ბუზა (პრეზიდენტი), ი. ნენოვი, ვ. კლოჩკოვი, მ. სანტოსი, ჰ. მუსტაფა (ვიცეპრეზიდენტები), შ. ბასიონი (გენერალური მდივანი), ვ. სავიცი, რ. ოტენშოფი, ლ. ვიშკი, გ. გრებინგი (გენერალური მდივნის მოადგილეები); ბულგარეთის ორგანიზატორები — რესპუბლიკის მთავარი პროკურორი ი. ვაჩკოვი (თავმჯდომარე), კ. ლუტოვი, მ. სპასოვი, ი. ტროიმენოვი (წევრები).

საზეიმო გახსნაზე სიტყვები წარმოთქვეს აშხ. ი. ვაჩკოვა, პროფ. პ. ბუზამ, პროფ. შ. ბასიონიმ, პროფ. ი. ნენოვმა, რომლებმაც დაახასიათეს სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის მოღვაწეობა, საერთოდ, და ახალგაზრდა პენალისტთა საერთაშორისო სიმპოზიუმის მიზანდასახულობა, კერძოდ.


როგორც პროფ. ი. ნენოვმა განაცხადა, სიმპოზიუმში ფართო შესაძლებლობას აძლევს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ახალგაზრდა ოურისტებს განიხილონ სისხლის სამართლის პოლიტიკისა და სისხლის სამართლის მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც საინტერესოა თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით. მათ შეუძლიათ საერთოდ უკეთ გაეცნონ სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებს და სამართლებრივ-პოლიტიკურ ტენდენციებს მსოფლიო მასშტაბით. ამასთანავე სიმპოზიუმმა ხელი უნდა შეუწყოს მათს დაახლოებას, ურთიერთგაგებას და შემდგომ თანამშრომლობას.

პროფ. პ. ბუზამ აღნიშნა საბჭოთა კავშირის, ბულგარეთისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების დიდი წვლილი ასოციაციის მუშაობაში, მათი აქტიური და ნაყოფიერი თანამშრომლობა ასოციაციის წევრ 60 ქვეყანასთან.

საზეიმო სტუმრის დამთავრებისთანავე სიმპოზიუმში შეუდგა მუშაობას.

მონაწილეთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია ვ. კლოჩკოვის მიერ რუსულ და ფრანგულ ენებზე სპეციალურად სიმპოზიუმისათვის მომზადებულმა ბროშურამ „სისხლის სამართლის პოლიტიკა და თავისუფ-

³ ეს გამოცემა უკვე დაისტამბა სირაკუზაში (სიცილია). იხ. Quderni, Numero speciale dedicato al Simposio Internazionale su Politica Criminale e Diritto Penale, 1978.



ლებს აღკვეთის შეფარდების ძირითადი ტენდენციები საბჭოთა კავშირში⁴. მისი მემკვიდრეობით უცხოეთის იურისტებს შესაძლებლობა მიეცათ გასცნობოდნენ საბჭოთა სისხლის სამართლის პოლიტიკის უახლეს ტენდენციებს თავისუფლების აღკვეთის გამოყენების სფეროში.

მნიშვნელოვანი საკითხები გააუქმეს თავიანთ მოხსენებებში ო. დუბოვიკმა („სისხლის სამართლის პოლიტიკა და პიროვნების ქცევა“), და ნ. ბელიაევამ („შრომის უსაფრთხოების სისხლისსამართლებრივი დაცვა საბჭოთა კავშირში“). სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყნის ამ სრულიად ახალგაზრდა წარმომადგენლებმა გამოაშუაფრეს მეცნიერული მოწიფულობა და აზროვნების სიღრმე, საერთო მომზადების მაღალი დონე. ამით მათ ხელი შეუწყვეს საბჭოთა იურიდიული მეცნიერების პროგრესის შემდგომ ამაღლებას საერთაშორისო მასშტაბით და ახალგაზრდა მეცნიერ იურისტთა კადრების მომზადების საქმეში ჩვენი ქვეყნის წარმატებათა პროპაგანდას.


ჩემს მოხსენებაში, რომლის თემა იყო „საკანონმდებლო პოლიტიკა გაუფრთხილებლობით ქმედებათა დასჯადობის სფეროში“, შესაძლებლობა მომეცა ნიშპოზიუმის მონაწილეთათვის გამეცნო პროფ. თ. წერეთლის ხელმძღვანელობით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში ჩატარებული გამოკვლევის ზოგიერთი შედეგები. მოხსენების ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულება იყო მეჩვენებინა, თუ რაოდენ დაუშვებელია სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ამოცანათა გადაწყვეტა ბრალისმიერი პასუხისმგებლობის პრინციპის უფულებეფუფის სარჩევ. ამ მოთხოვნას მთლიანად შეესაბამება მოქმედი საბჭოთა სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა. იგი გამუდმებით აუხსტებს და სრულყოფს ბრალისმიერი პასუხისმგებლობას პრინციპს და მისი გამოყენების წესს იმ ახლად წარმოშობილი ნორმებისა და ინსტიტუტების მიმართ, რომელთა შემოღება კანონში წმინდა სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის მოსაზრებებით არის ნაკარნახევი.

მოხსენებაში გამოყენებული იყო ქართული ფსიქოლოგიური სკოლის მიღწევები განწყობის თეორიის დარგში, რომლის ფუძემდებელია აკად. დ. უხნაძე. განწყობის თეორია ადასტურებს, რომ განზრახი და გაუფრთხილებლობითი ქცევა სრულიად განსხვავებულ ფსიქოლოგიურ ნადაგზე აღმოცენდება და ამიტომ პრინციპულად სხვადასხვა სოციალურ-სამართლებრივ შეფასებას მოითხოვს. ეს გარემოება სულ უფრო მეტად პოპულარს ასახვას უკანასკნელი პერიოდის საბჭოურ კანონმდებლობაში. 1977 წლის 8 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება, რომლის ძალით, დანაშაულის გაუფრთხილებლობით ჩადენის დროს გაცილებით უფრო ფართოდ გამოიყენება თავისუფლების აღკვეთის პირში მისჯა შრომაში მსჯავრდებულის სავალდებულო ჩაბმით, ვიდრე განზრახვისას. უწინ ასე არ იყო. ამავე ბრძანებულებით შემოღებულია ნახევრად თავისუფალი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებანი იმ პირთათვის, ვინც დანაშაული გაუფრთხილებლობით ჩაიდინა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ძირითადი მომხსენებლის, ბულგარელი მ. პალიკარსკის გამოხვლა თემაზე — „სისხლის სამართლის პოლიტიკა და სისხლის სამართალი“. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მაგალითზე თვალნათლივ იყო ნაჩვენები, თუ რა წარმატებით ისხამს სორცს სისხლის სამართლის პოლიტიკის დენინური პრინციპები, რომლებიც ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ჩამოყალიბდა და რა განვითარება პოვეს მათ შემდგომში. მ. პალიკარსკის მოხსენებაში არსებითად მთელი თანამედროვე სოციალისტური სისხლის სამართლის პოლიტიკის კანონზომიერებანი და ტენდენციები იყო გაანალიზებული.

უადრესად საინტერესო აღმოჩნდა ბულგარეთის მეორე წარმომადგენლის ა. სტოინოვის მოხსენება — „სისხლის სამართლის პოლიტიკა და სტიმულაციური დონისძიებანი სისხლის სამართალიში“⁶. მასში განვოვადებული იყო დადებითი შედეგები, რასაც იძლევა იმ პირთა პასუხისმგებ-

⁴ იხ. В. В. Клочков, Уголовная политика и основные тенденции применения наказания в виде лишения свободы в СССР, М., 1977.
⁵ იხ. თ. წერეთლი, ბრალის ცნების განვითარება საბჭოთა სისხლის სამართალიში, „საბჭოთა სამართალი“, 1967, № 4.
⁶ ჩვენმა ამ თემაზე ერთადერთი საქურნალი სტატიაა გამოქვეყნებული. იხ. В. М. Галкин, Система поощрений в советском уголовном праве, «Советское государство и право», 1977, № 2, стр. 91.
 4. საბჭოთა სამართალი № 2



ლობისაგან განთავისუფლება ან პასუხისმგებლობის შემსუბუქება, რომელთაც სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდენეზაყოფილობით განაცხადეს დანაშაულის ჩადენის შესახებ, ან ზომები მიიღეს მიყენებული ზარალის ანაზღაურებლად (გამოსასწორებლად). ბულგარეთის ეს გამოცდილება უთუოდ გასათვალისწინებელია და შეიძლება ჩვენშიც გამოგვეჩვენოთ ზოგიერთ ისეთ შემთხვევაში, რომელშიც დღესდღეობით იგი არ გამოიყენება. მაგალითად, გაუფრთხილებლობითი დანაშაულის შემთხვევები ზედგამოჭრილია სამისოდ. ნიშანდობლივია, რომ სტიმულაციური ზომების ფართო გამოყენება გაუფრთხილებელ დამნაშევთა მიმართ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო პრინციპია ბულგარეთში, რის სასარგებლოდ დამაჯერებელი არგუმენტები წამოაყენა მ. სპასოვმა თავის მოხსენებაში — „გაუფრთხილებლობისათვის პასუხისმგებლობის ძირითადი პრინციპები ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით“. დამატებით მ. სპასოვმა ბულგარეთის კანონმდებლობის ოთხი სხვა პრინციპიც გააშუქა გაუფრთხილებლობის დასჯადობის სფეროში. ესენია: 1. გაუფრთხილებლობის დასჯადობა მხოლოდ სისხლის სამართლის განსაკუთრებულ ნაწილში სამისოდ დათქმის შემთხვევაში; 2. უმნიშვნელო გამოწკნისების გარდა პასუხისმგებლობა მხოლოდ რეალური ზიანის მიყენებისას; 3. პროფესიული გაუფრთხილებლობის მომეტებული დასჯადობა საყოფაცხოვრებო გაუფრთხილებლობასთან შედარებით; 4. გაუფრთხილებლობის პრინციპულად ნაკლები დასჯადობა განზრახვასთან შედარებით.

ბულგარელი მეცნიერის ზ. ტრაიკოვის მოხსენება მიქდენა მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის არაუფექტაიანობის დასაბუთებას.

დიდი ინტერესი გამოიწვია იუგოსლავიის წარმომადგენლების ვ. კაშპოვსკისა და დ. კრაპაცის მოხსენებებმა. მათს გამოხსენებებში ჩამოყალიბებული იყო სისხლის სამართლის პოლიტიკის ის პრინციპები, რომლებიც აისახა იუგოსლავიის 1976 წლის ახალ ფედერალურ სისხლის სამართლის კოდექსში⁷. როგორც აღინიშნა, იუგოსლავიის ახალი კანონმდებლობისათვის ამოსავალია მოქალაქის პიროვნება და დამნაშავის ხელახალი აღზრდის იდეა, საზოგადოებრივი და პირადი ინტე-

რების ურთიერთშერწყმა სისხლის სამართალში, მოქალაქის უფლებათა სისხლისსამართლებრივი დაცვის გაძლიერება.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა სიმპოზიუმზე წარმოდგენილი იყო ახალგაზრდა იურისტებით, რომლებიც პრაქტიკულ სარიბელზე მოღვაწეობენ. მოსამართლე ა. დიმიტრიუმ და პროკურორმა ე. ვასილიუმ დელეგატებს გაუზიარეს რუმინეთის გამოცდილება დანაშაულობასთან ისეთი ახალი ღონისძიებებით ბრძოლისა, რომლებიც არა დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, აგრეთვე დაახასიათეს ე. წ. სასამართლო კომისიები, რომლებიც 1968 წლიდან მოკიდებული მოქმედება და ჩვენს ამხანაგურ სასამართლოებს წაავგას.

აქტუალური პრობლემების ფართო წრე იქნა გაშუქებული უნგრეთის წარმომადგენლების გ. კალმანისა („სისხლის სამართლის პოლიტიკა და სასჯელის დანიშვნა“) და კ. გენცელის („რეციდივისტთა დასჯადობის მიზნები“) მოხსენებებში. უნგრეთის სისხლის სამართლის პოლიტიკის ერთ-ერთ ტენდენციად დაასახელეს თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული სასჯელების (მაგალითად, ჯარიმის) სულ უფრო ფართო გამოყენება. დასაბუთებული იყო აგრეთვე რეციდივის ცნების შემდგომი დიფერენციაციის აუცილებლობა. ი. ვინერის მოხსენებაში — „ეკონომიკური პოლიტიკა და სისხლის სამართალი“ — ნაჩვენებია იქნა ეკონომიკური და სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ურთიერთშერწყმელების ძირითადი ასპექტები.

პოლონელი მეცნიერის ე. ზიელინსკას მოხსენება მიქდენა სისხლის სამართლის პოლიტიკის ცვლილებებს პოლონეთის 1969 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მიღების შემდეგ. ყველაზე უფრო დამახასიეთებელ ტენდენციად პოლონეთში მან დაასახელა სერიოზული ღონისძიებების გამოყენება საშიშო დამნაშავებისადმი და, პირიქით, თავისუფლების აღკვეთასთან დაუკავშირებელი სასჯელების გამოყენება იმათ მიმართ, ვინც მცირე მნიშვნელობის დანაშაული ჩაიდინა. პოლონეთის მეორე წარმომადგენელმა მ. კალიტავსკიმ დელეგატებს გააცნო თავისი გამოკვლევების შედეგები დანაშაულზე შემოქმედების ღონისძიებათა დაგეგმვის დარგში. კალიტავსკის შემუშავებული აქვს დამნაშავის ინდივიდუალური ქცევის პროგნოზირების მეთოდიკა, რო-

⁷ ამ კოდექსის შესახებ იხ. М. А. Гельфер, Новый уголовный кодекс СФРЮ, «Социалистическая законность», 1977, стр. 73.

მელიც დამნაშავის ქცევის პრეკრიმინალურ და პოსტკრიმინალურ ფაქტორთა ანალიზზეა დამყარებული.

გერმანიის დამოკრატული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ა. არნოლდმა დაახასიათა ის სასიკეთო თვისებრივი ძვრები, რომლებიც შესაძლებელი გახდა დანაშაულობის მდგომარეობასა, სტრუქტურასა და დინამიკაში ქვეყნის სწორი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის წყალობით. უაღრესად საინტერესო იყო აგრეთვე არასრულწლოვანთა დამნაშავეობასთან ბრძოლის სამართლებრივ და საზოგადოებრივ ღონისძიებათა სისტემის გაცნობა, რომელიც ამ ქვეყანაში მოქმედებს და რომელთა შესახებ სიმ. პოზიემზე წარმოდგენილი იყო ე. კეზევერისა და გ. ჰირშფელდერის მოხსენებანი.

სისხლის სამართლის პოლიტიკის ტენდენციები ჩეხოსლოვაკიაში სიმპოზიუმის მონაწილეებს გააცნო ი. ბიხელმა, ხოლო ე. ლიჩკოვამ, რომელიც ერთ-ერთი პირველი პენოლოგია ჩეხოსლოვაკიაში, წაიკითხა მოხსენება „ზოგიერთი შენიშვნა პენიტენციური პოლიტიკის გამო თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებულ სასჯელთა აღსრულების სფეროში“. იგი ავითარებდა იდეას, რომ ინდივიდუური მიდგომა უნდა იყოს პენიტენციური პოლიტიკის ძირითადი და უმნიშვნელოვანესი პრინციპი. ე. ლიჩკოვას შემუშავებული აქვს კრიტერიუმების სისტემა მსჯავრდებულთა ლიფერენციაციისათვის.

ზემოთ ჩამოთვლილ მოხსენებათა წყალობით ნათელი სურათი შეიქმნა იმ ძირითადი ტენდენციებისა, რომლებიც სისხლის სამართლის პოლიტიკის დარგში შეიმჩნევა სოციალისტური ქვეყნების მასშტაბით. ძირითადი გეზი ამ ქვეყნებში — ეს არის სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტების განუხერხი ჰუმანიზაცია, დემოკრატიზაცია და პედაგოგიზაცია, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შემდგომი დიფერენციაცია და ინდივიდუალიზაცია. როგორც კანონმდებლობაში, ისე მისი გამოყენების პრაქტიკაში თანდათან იზღუდება თავისუფლების აღკვეთის სფერო და ფართოვდება არე სასჯელისა, რომლებიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან ამასთანავე, ძალას ჰკარავს მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთა მისი აუკარა არაფექტიანობის გამო. მცირემნიშვნელოვან დანაშაულთა დეკრიმინალიზაცია და დეპენალიზაცია—აი, კიდევ ერთი ტენდენცია, რომელიც ამ ბოლო დროს ჩრენ თავს სოციალისტურ ქვეყნებ-

ში. და მიუხედავად იმისა, რომ იგივე მისწრაფებანი არც თუ ხანგებით უცხოა ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყნისათვის, მაინც ყოველივე ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სიმპოზიუმის მონაწილეებზე. ექნებ იმიტომაც, რომ სხვა ქვეყნების წარმომადგენლები საკმაოდ ცუდად იყვნენ ინფორმირებული სოციალისტური სამართლის შესახებ. აშშ-ის წარმომადგენელი მწოდები-თაც კი გამოვიდა, რათა უფრო ფართოდ იქნეს გათვალისწინებული სოციალისტური ქვეყნების გამოცდილება ნაკლებად საშიშ დამნაშავეთა მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენებისა. ამავე დროს, კაპიტალისტური ქვეყნების არაერთი წარმომადგენლის მოხსენებაში გაისმა კრიტიკა მათს სამშობლოში დამკვიდრებული სისხლისსამართლებრივი პრინციპებისა, რომლებიც არ შეესატყვისებოდა თანამედროვე დემოკრატიულ და ჰუმანისტურ ტენდენციებს (ქ. ელერტი — ბელგია, ა. ბაირახტარი — თურქეთი, ტ. ბიტროვი და ე. ვიანო — ამერიკის შეერთებული შტატები).

ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ესპანეთის წარმომადგენელთა სახტ იაგო მირ პუების, იგნასიო ბარდუგო გომეცი-სა და ფრანსისკო მუნიოს კონდეს გამოსვლები. მათ მკაცრად გააკრიტიკეს ფრანკისტული რეჟიმის პერიოდის სისხლის სამართალი, შეტადრე პოლიტიკური პარტიების აკრძალვის ნაწილში, და დაახასიათეს იგი როგორც პოლიციური სამართალი. და მიუხედავად იმისა, რომ ფრანკოს სიკვდილის შემდეგ დასაბამი მიეცა პოლიტიკური ინსტიტუტების დემოკრატიზაციის პროცესს, რამაც ერთ-ერთი გამოხატულება პოვა 1978 წლის რეფორმებში, მაინც ეს ცვლილებანი და რეფორმები სრულად ვერ პასუხობენ პროგრესულ მოთხოვნებს; ისინი ფრაგმენტული და ლოკალური ხასიათისა არიან. „ჩვენი სამართლებრივი სისტემა — აღნიშნა ფრანსისკო მუნიოს კონდემ — მოწყვეტილია ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტებს და მარტოდენ დოგმატიკური მიდგომით კმაყოფილდება. მაგრამ აუცილებელია გლობალური მიდგომა“. საამისოდ, როგორც მან აღნიშნა, აუცილებელია მოქმედი კანონმდებლობის კრიტიკა. ფ. მ. კონდემ მოახდინა პერფორმანსი კ. მარქის საყოველ-თაოდ ცნობილი თეზისისა ა. ფოიერბახის შესახებ და განაცხადა, რომ „საპირისა არა მარტო განმარტება კანონებისა, არამედ მათი გარდაქმნა“. ეს იყო უჩვეულო შემთხვევა, როდესაც ესპანეთის ოფიციალური წარმო-

მადგენელი სამართლის პოლიტიკისადმი მიძღვნილ მეცნიერულ ფორუმზე მარქსისტულ პოზიციას ავითარებდა.

ესპანელთა გამოსვლები გამოირჩეოდა მეცნიერული მოხსენებებისთვის ერთგვარად უცხო პათოსით. მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ ესპანური ტემპერამენტისა და სახიათის გამოვლენება. იგი იყო სულის ძახილი სოციალურ თავისუფლებას დანატრებული ხალხისა. ამან უდიდესი ზემოქმედება მოახდინა მსმენელზე; აუღატორია მსურველედ შეეგება ესპანელთა გამოსვლები.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენლების პ. ახენზახისა და გ. გრეზინგის მოხსენებანი გამოირჩეოდნენ ილი ინფორმაციულობით და მაღალი პროცესიონალი კულტურით. მათ გააანალიზეს სისხლის სამართლის პოლიტიკის ტენდენციები, რომლებიც აისახა 1962-1975 წლების საკანონმდებლო რეფორმებში⁸. ერთ-ერთ ასეთ ტენდენციად დასახელებულ იქნა მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის სფეროს შეზღუდვა ჯარიმათა სფეროს გაფართოვების ხარჯზე. დიდძალ მასალაზე დაყრდნობით გ. გრეზინგმა დაწვრილებით დაახასიათა ჯარიმის პ. წ. ინტენსიური ანუ პროგრესული სისტემა⁹. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ეს სისტემა წარმატებით გამოიყენება შვეიცარია და ფინეთში, მაგრამ ვერ ამართლებს თავის დაწინაურებას დანიაში, ხადაც იგი დამოუკიდებლად კი არ გამოიყენება, არამედ ჯარიმის კლასიკური სისტემის პარალელურად.

როგორც გამოირკვა, ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში კვლავ იკიდებს ფეხს იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობის ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტის ღირსება-ნაკლოვანებანი თავიანთ მოხსენებებში გააშუქეს პ. სახენმა (საფრანგეთი) და ო. ტრესკანმა (ფინეთი). ცნობილია, რომ საბჭოთა კანონმდებლობა პრინციპულად უარყოფს იურიდიულ პირთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

სიმპოზიუმზე დიფერენცირებულად იქნა განხილული სისხლის სამართლის პოლიტიკის

განხორციელების ორი ძირითადი დონე — სამართალშემოქმედებითი და სამართალგამოყენებითი; გამოიკვეთა სისხლის სამართლის პოლიტიკის ცნების ექსტენსიური და რესტრიქციული გაგებანი. ზოგიერთი ავტორის გამოვლენაში სისხლის სამართლის პოლიტიკის ცნება არსებითად გაიფიქრებული იქნა დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის ცნებასთან, რომელიც პროფილაქტიკურ დონისაშემათა მთელს სიტემას მოიცავს (ი. ბიბელი—ჩხვოსლოვაცია, მ. კალიტოვსკი — პოლონეთი, პ. სახენი — საფრანგეთი). სხვა გამოსვლებში სისხლის სამართლის პოლიტიკა განისიხებოდა როგორც დანაშაულობასთან ბრძოლის (კრიმინალური პოლიტიკის) ერთ-ერთი ასპექტი (ა. ბარიასტარი — თურქეთი, მ. პალიკარსკი — ბულგარეთი). საბჭოთა დედებატმა ვ. კლოჩკოვმა სისხლის სამართლის პოლიტიკის სფერო შემდეგი საკითხებით შემოფარგლა: საზოგადოებრივად საშიშ ქმედობათა კრიმინალიზაცია და დეკრიმინალიზაცია, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელის, აგრეთვე მათი შემცვლელი საზოგადოებრივი თუ აღმინისტრაციული ღონისძიებების განსაზღვრა და რეალიზაცია; დამნაშავეთა გამოსწორება და შენახვა აღწერა, სასჯელმოსხილ პირთა სოციალური ადაპტაცია (რესოციალიზაცია).

გარდა მოხსენებებისა უნდა აღინიშნოს სიმპოზიუმის დედებატების, მათ შორის საბჭოთა წარმომადგენლების (ო. დუბოვიკი, დ. ტოურინი, ვ. ნომოკონოვი) აქტიური მონაწილეობა დისკუსიებში, რომლებიც სხვადასხვა საკითხებზე იმართებოდა სხდომათა დარბაზში თუ კულუარებში.

როგორც ერთ-ერთი სესიის თავმჯდომარეს, მეც მომიხდა კამათი საფრთხის შემქმნელი დელიქტებისა და დასჯადობის კოიტერიუმების შესახებ. უწინარეს ყოვლისა ვერ გავიზიარებ ბულგარელი კოლეგების თვალსაზრისს, რომლებიც პრინციპულად უარყოფენ საფრთხის შემქმნელი დელიქტების დასჯადობას გაუფრთხილებლობის შემთხვევებში; ეს კი გაუმართლებელი ჩანს, მაგალითად, ატომური ენერჯის წარმოება — გამოყენების სფეროში დაშვებული გაუფრთხილებლობისას. ჩემი კრიტიკული გამოსვ-

⁸ დაწვრილებით იხ. Hans-Heinrich Jescheck, Einführung zum Strafgesetzbuch, Stgff, 17 Aufl., Deutscher Taschenbuch Verlag, München, 1977, S. 5-19; В. Лясс, Проблемы вины и уголовной ответственности в современных буржуазных теориях, Издательство Ленинградского университета, Ленинград, 1977, стр. 61-68 (Реформа уголовного законодательства в ФРГ); Ф. М. Решетников, Реформа уголовного законодательства в ФРГ, «Советское государство и право», 1977, № 12, стр. 91.

⁹ იხ. Strafgesetzbuch, 17 Auflage, Deutscher Taschenbuch Verlag, München, 1977, §40.



ლა შიპართული იყო აგრეთვე ბელგიელი ჟაკ ვან-გელდერისადმი, რომელმაც მეტისმეტად დააკნინა ობიექტური მომენტის მნიშვნელობა სისხლისსამართლებრივი სასჯელის განსაზღვრისათვის¹⁰ და ძირითად კრიტერიუმად დამნაშავეის საშიშროება მიიჩნია. ასეთი შეხედულება არსებითად სოციოლოგიური სკოლის რეაქციული პრინციპების გამოხატველია და მისი განხორციელება ნიადაგს აცლის მოქალაქეთა ხელშეუხებლობის გარანტიებს.

26 მაისს სიმპოზიუმის მონაწილეთათვის მოეწყო ექსკურსია ზღვისპირა კურორტების დასათვალიერებლად. იმავე საღამოს ბულგარეთის მთავარმა პროკურორმა ი. ვაჩკოვმა დარბაზობა გამართა სტუმრების პატივსაცემად. ჩემთვის დიდი პატივი იყო, რომ სიმპოზიუმის ყველა მონაწილის სახელით სამადლობელი სიტყვის წარმოთქმა სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციისა და სიმპოზიუმის ორგანიზატორების მისამართით მე დამევალა.

27 მაისს შედგა სიმპოზიუმის საბოლოო სხდომა და მისი საზეიმო დახურვა. საბოლოო სიტყვები წარმოთქვა ვ. კამბოვსკიმ (იუგოსლავია), ლ. გარდოვიჩი (პოლონეთი), დე-იუნგემ (შვეიცარია), გ. კალმანმა (უნგრეთი), პალმენმა (ფინეთი), ჟაკ ვან-გელდერმა (ბელგია), ფ. კარომ ხაფრანგეთი), ხალვა ბაქირმა (ყვებეტე), ფოსპიერი (საბერძნეთი), შ. ზახიონი (შეერთებული შტატები) და ი. ნენოვმა (ბულგარეთი). გამოითქვა სურვილი, რომ ახლავარდა პენალისტთა საერთაშორისო სიმპოზიუმები სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის ტრადიციულ ღონისძიებად იქცეს. წამოყენებული იყო აგრეთვე კონკრეტული წინადადებანი შემდგომში ამ სიმპოზიუმების უკეთ ჩასატარებლად.

28 მაისს გამართა სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის დირექციული საბჭოს სესია. მასში მონაწილეობის მისაღებად ვარნაში დარჩნენ ვ. კლოჩკოვი და

ვ. სავიცი. საბჭოთა დელეგაციის დანარჩენი წევრები კი სამშობლოში გამოვეშურეთ.

ახლავარდა პენალისტთა საერთაშორისო სიმპოზიუმი მშენებრივად იყო ორგანიზებული. მისმა ორგანიზატორებმა — ბულგარელმა კოლეგებმა — ყველა პირობა შექმნეს ნაყოფიერი მუშაობისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართველ მეცნიერ იურისტთა დიდი ხნის მეგობრების, ცნობილი ბულგარელი კრიმინალისტების პროფ. ი. ნენოვისა¹¹ და პროფ. კ. ლიუტოვის¹² დაუცხრომელი მეცადინეობა, რომელთა მხრებზე გადაიარა სიმპოზიუმის თითქმის მთელმა ორგანიზაციულმა საქმიანობამ.

სიმპოზიუმი მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩატარდა. მას უდიდესი მნიშვნელობა ექნება სისხლის სამართლის პოლიტიკის დარგში მეცნიერული კვლევა-ძიების შემდგომი გაშლა-გაღრმავებისათვის, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერ და პრაქტიკოს მუშაკთა ძალების ინტეგრაციის საქმეში დანაშაულობასთან სამართლებრივად, ხელს შეუწყობს მათ შორის მეცნიერული და პირადი კონტაქტების გაფართოება-განმტკიცებას, რის გარეშეც დღეს უკვე მწელი წარმოსადგენა რამდენადმე ღირებულია მეცნიერული შედეგების მიღწევა.

სიმპოზიუმმა ცხადყო, რომ არა მარტო იმ სახელმწიფოებში, სადაც უამა დიდი პოლიტიკური გარდაქმნებისა (მაგ., ესპანეთი), არამედ მრავალ სხვა ქვეყანაშიც რფორმატორული სულისკვეთება სუფევს. იგრძნობა მისწრაფება, რომ თანამედროვე სისხლის სამართალი, რაც შეიძლება მეტად უწყვეტს ანგარიშს ინდივიდის პოლიტიკურ და სხვა მოქალაქეობრივ უფლებებს, უფრო გაბედულად ამზობდეს უარს ტრადიციულ, თუმცა დრომოჭმულ ინსტიტუტებზე, რომლებმაც გამოაშფავენს თავიანთი სოციალური არაფექტიანობა. სიმპოზიუმზე დადასტურდა, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკის პრინ-

¹⁰ მრავალმხრივ დასაბუთებული და სარწმუნო თვალსაზრისი ობიექტური მომენტის მნიშვნელობის შესახებ სისხლის სამართალში განვითარებულია პროფ. თ. წერეთლის საკანდიდატო დისერტაციაში. **Т. В. Церетели, Значение объективного момента для уголовной ответственности. Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Тбилиси, 1944** (თსუ-ის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდი).
¹¹ პროფ. ი. ნენოვი ორჯერ არის სტუმრად ნაყოფი თბილისში ქართველ კოლეგებთან საკონსულტაციოდ. იგი მონაწილეა პროფ. თ. წერეთლის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებულისა (იხ. ოფრიდული ძიებანი, თბ., „მეცნიერება“, 1977 წ.).

¹² პროფ. კ. ლიუტოვთან მეცნიერული ურთიერთობა 1958 წელს დაიწყო, როდესაც მან გამოაქვეყნა რეცენზია ვ. მაყაშვილის წიგნზე «Уголовная ответственность за неосторожность, М., 1957» («Правна мьсьль», 1958, № 3). პროფ. კ. ჯუტოვი მონაწილეა ხეშობ მოხსენებულ საიუბილეო კრებულის).



ციკლებისა და ზოგადეთეორიული საფუძვლების შემუშავება უადრესად პერსპექტიული მიმართულებაა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან განთავისუფლებას, სასჯელის პირობით შეფარდებას და სხვა ასეთი იურიდიული ინსტიტუტების ეფექტიანობის შესწავლას. ამის უარყოფა მართლაც ძნელია და ამიტომ სასურველია შეხებათა თემტიკა მომავალში ახლანდელზე მეტად აისახოს სამეცნიერო-კვლევით გეგმებში.

* * *

უცხოეთიდან, რაოდენ ნაცნობა და ახლობელიც უნდა იყოს მასპინძელი ქვეყანა, ყოველთვის გამოპყვება სოღმე ადამიანს თითო-ორიოლა მოგონება, რომელიც ყველაზე უფრო ძვირფასი და სამახსოვროა მისთვის. უმეტეს წილად ასეთ მოგონებათა საგანია მშობელი ხალხის ისტორიასთან და კულტურასთან დაკავშირებული ფაქტები. სიმპოზიუმზე მე შევხვდი ორ პიროვნებას, რომლებიც, მართალია მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც დაკავშირებული იყვნენ ქართულ სინამდვილესთან.

ერთი მათგანი იყო მწოდვე წლის თურქი მეცნიერი ქალი (ისტამბულის უნივერსიტეტი) ფუსუნ სოკოლუ, რომელსაც დედა ქართველი ჰყოლია. თურმე, დედამისს არათუ არ დავიწყებია ქართული, არამედ თითქმის ყოველ კვირას მშობლიურ ენაზე ემუხაიფება მასთან სტუმრად მოსულ და-ძმებს. სამწუხაროდ, თავად ფუსუნ სოკოლუმ არ იცოდა

ქართული, მაგრამ საქართველოსა და დღესეულა ენის სიყვარული მან აშკარად გამოამჟღავნა.

მეორე სამახსოვრო მოგონება დაკავშირებულია დასავლეთგერმანელ პროფესორთან ჰ. კიუნესთან. ჩვენ სზირად გვიხდებოდა თანამშრომლობა სიმპოზიუმის საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად, თუმცა ზოგჯერ გვიძნელდებოდა საერთო პოზიციის გამოძებნა. ხაოცარი სანახავი იყო, თუ როგორ შეიცვალა იგი, როდესაც გაიგო, რომ თბილისელი ვარ. პროფ. ჰ. კიუნე ქ. საარბრუქენის მკვიდრი აღმოჩნდა და საქმიოდ ინფორმირებული იმ გაცხოველებული კულტურული ურთიერთობის შესახებ, რომელიც ძმადნაფიც ქალაქებს — თბილისსა და საარბრუქენს აკავშირებს. მაგრამ მან სრულიად არაფერი არ იცოდა ქართულ მეცნიერულ მიღწევებზე სისხლის სამართლის დარგში. როდესაც შეიტყო, რომ საქართველოში იცნობენ და ფართოდ იყენებენ დასავლეთგერმანელ კრიმინალისტთა შრომებს, დიდად გაიკვირა და გაიხარა. ამან მეტი ურთიერთგაგება დაწერა ჩვენს შორის და კიდევაც გააადვილა შემდგომი თანამშრომლობა.

ვარნის სიმპოზიუმი მარად კეთილი მოხატონარი იქნება ჩემთვის და ყოველი მისი მონაწილისათვის, რადგან დაუვიწყარია დღეები, როდესაც დაძაბულ ფიქრს საამოდ ენაცვლდებოდა მშვენიერი ქვეყნის ბუნებით ტკბობა და მის სტუმართმოყვარე, მზრომელ ხალხთან შეხვედრებით გამოწვეული სისარულის განცდა.



სიმპოზიუმის სხდომის პრეზიდიუმში



იპრისკავი — ნობელის პრემიის ლაურეატი

ლ. ვედიანიშვილი

ბევრი ცნობილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე და მეცნიერი, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საზოგადოების განვითარების ისტორიაში, განათლებით იურისტი იყო. მათ შორის არიან მსოფლიოში ცნობილი ადამიანები — ნობელის პრემიის ლაურეატები, რომლებიც ან განათლებით იყვნენ იურისტები, ანდა დაკავშირებული იყვნენ იურისპრუდენციასთან.

ყოველწლიურად 5 დეკემბერს სტოკჰოლმში საზეიმო ვითარებაში შეეცაის მეფე ნობელის პრემიებს გადასცემს მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერებს, მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს, რომლებმაც მეცნიერული მიღწევებით, ლიტერატურული შემოქმედებით რუ მშვიდობისათვის ბრძოლით დაიხსახურეს ეს ჯილდო. პრემიების მინიჭებას წინ უსწრებს ლაურეატების კანდიდატების შერჩევის ხანგრძლივი და რთული პროცედურა.

გამოჩენილმა ვედიანიშვილმა და მსხვილმა მეწარმემ, დინამიტის გამომგონებელმა აღფრედ ნობელმა ვასული საუკუნის დასასრულს თავისი ქონება სტოკჰოლმის უნივერსიტეტს დაუტოვა მისი სახელობის პრემიების დასაწესებლად.

ა. ნობელმა თავისი „უცნაური“ ანდერძი 1895 წლის 27 ნოემბერს შეადგინა პარიზში. თავისი ხასიათით ნობელი პირქუში, მიუკარგბელი, ცინიკოსი, მეტად უცნაური და წინააღმდეგობით აღსავსე პიროვნება იყო. ერთი წლის შემდეგ 1896 წლის 10 დეკემბერს იგი გარდაიცვალა. დღით ადრე ნობელი მკვდარი ნახეს იატაკზე თავის ღამბორაკორიაში, რომელიც ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე იტალიის ქალაქ სან-რემოში მდებარეობდა და სადაც იგი სისტემატურად ატარებდა თავის ცდებს. ნობელის სიკვდილის შემდეგ, ანდერძის გამოქვეყნებამდე, მისი ნათესავები და საქმოსანი კოლეგები იმედს არ კარგავდნენ რომ ა. ნობელი მათ ფინანსურ ყურადღებას არ მოაკლებდა. სიკვდილის წინ ა. ნობელს ძალიან დიდი კაპიტალი ჰქონდა, იგი შეადგენდა 33,3 მილიონ შვედურ კრონს. დაახლოებით ამდენივე თანხით იყო შეფასებული მისი უძრავი ქონება.

ახე რომ, ნობელი XIX საუკუნის დამლევე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი კაპიტალისტი იყო. ამჟამად ნობელის მიერ დატოვებული კაპიტალი შეადგენს უკვე დაახლოებით 80 მილიონ შვედურ კრონსა და ამდენსავე თანხას პროცენტთან ქაღალდებით.

ყველა მეტად გავიარვებული იყო ნობელის იმ გადაწყვეტილებით, რომ ამოდენა კაპიტალი მთლიანად კაცობრიობისათვის გადაეცა. უნდა ვიფიქროთ, რომ ნობელს ამით სურდა საზოგადოების წინაშე თავისი რებალიტაცია მოეხდინა, როცა დაინახა, თუ რა საშინელი შედეგები მოჰყვა მის მეცნიერულ მოღვაწეობას.

თვით ნობელის ანდერძი, როგორც იურიდიული დოკუმენტი, საინტერესოა. მოგეყავს მისი სრული ტექსტი.

ანდერძი

მე, ქვემოთ ხელისმომწერი, აღფრედ ბერნარდ ნობელი, მოფიქრების შემდეგ ამით ვაცხადებ ჩემს საზოგადო ანდერძს იმ ქონების მიმართ, რომელიც შევიძინე ჩემი გარდაცვალების დროისათვის.

მთელი ჩემი დარჩენილი ქონება უნდა შემდეგნაირად განაწილდეს: ჩემმა ანდერძის აღმსრულებელმა კაპიტალი უნდა ფასიან ქაღალდებად აქციონ და შექმნან ფონდი, რომლის პროცენტებიც გაუნაწილდება პრემიების სახით იმათ, ვინც ვასული წლის განმავლობაში ყველაზე მეტი სარგებლობა მოუტანა კაცობრიობას. აღნიშნული პროცენტები უნდა გაიყოს სუთ თანასწორ ნაწილად, რომლის ერთი ნაწილი მიეუთვნება მას, ვისაც ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენა ან გამოგონება ეკუთვნის ფიზიკის დარგში; მეორე ნაწილი იმას, ვინც ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენა ან გაუმჯობესება შეასრულა ქიმიის დარგში; მესამე — ვისაც ყველაზე დიდი აღმოჩენა ეკუთვნის ფიზიოლოგიის ან მედიცინის დარგში; მეოთხე — ვინც შექმნის იდეალისტური მიმართულების ნაწარმოებს და მესუთე — ვინც ყველაზე მნიშვნელოვან წვდილს შეიტანს ერების შეკავშირებაში, მონობის მოსპობასა ან არაბუული არმიების შემადგენლობის შემცირებაში და ხელს შეუწყობს სამშვიდობო კონ-



ფერენციების ჩატარებას. ფიზიკოსებსა და ქიმიკოსებს პრემიებს მიანიჭებს შვედეთის მეცნიერებათა აკადემია, ფიზიოლოგისა, და მედიცინაში — სტოკჰოლმის კაროლინის ინსტიტუტი. ლიტერატურაში — სტოკჰოლმის აკადემია, მშვიდობისათვის მებრძოლებს კი ხუთი კაცისაგან შემდგარი კომიტეტი, რომელსაც ნორვეგიის სტორტინგი აირჩევს. ჩემი დაბეჭდვებითი სურვილია, რომ პრემიების მინიჭების დროს უურადღება არ მიეცეს კანდიდატების ეროვნებას, რათა პრემია ყველაზე ღირსეულმა მიიღოს, დამოუკიდებლად იმისა, სკანდინავიიდან არის იგი, თუ არა.

ეს ანდერძი უკანასკნელი და საბოლოოა, მას კანონიერი ძალა აქვს და აუქმებს ჩემს ყველა წინა ანდერძს, თუ კი ასეთი გამოჩნდა ჩემი სიკვდილის შემდეგ.

დაბოლოს, ჩემი სურვილია, რომ გარდაცვალების შემდეგ გამოცდილმა ექიმმა დაადგინოს სიკვდილის ფაქტი და მხოლოდ შემდგომ დაიწვას ჩემი გვამი.

აღფრედ ბერნარდ ნობელი,
პარიზი, 1895 წლის 27 ნოემბერი.

საჭიროა მცირეოდენი შენიშვნა გავაკეთოთ ამ ანდერძის თაობაზე. ცხადია, რომ ა. ნობელი, როგორც პიროვნება, კაპიტალისტური კლასის პარაზი იყო. იგი არაფრის წინაშე უკან არ იხევდა თავისი კაპიტალის ვასაზრდელად. ერთდროულად იგი იყო ძალიან ნიჭიერი ინჟინერ-გამომგონებელი. მან დაახლოებით 250 პატენტი მიიღო სხვადასხვა გამოგონებებისათვის. უპრეტენდენტო და განსაკუთრებული იყო ის აქტი, რომელიც მან თავისი ანდერძით შეასრულა მეცნიერების განვითარების ისტორიაში.

ნობელმა სავსებით წინასწარგანზრახვითა და მოფიქრებით დააწესა სამეცნიერო პრემიები მეცნიერების სრულიად გარკვეულ დარგებში. კერძოდ, მის მიერ შეტანილი დარგები — ფიზიკა, ქიმია, ფიზიოლოგია — მედიცინა (ანუ ადამიანის ბიოლოგია) ფუნდამენტური მეცნიერებანია. მხოლოდ ეს დარგები ადგენენ იმ ძირითად კანონებს, რომლებსაც ჩვენს უსავსევრო სამყაროში ყველა მოვლენა ემორჩილება.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ა. ნობელს, როგორც მაღალი რანგის ინჟინერს, შეგნებული არ ჰქონოდა მათემატიკის როლი, მისი მნიშვნელობა, მაგრამ მან მათემატიკა არ შეიტკა პრემიების ნუსხაში, ვინაიდან მათემატიკა, მიუხედავად მისი უდიდესი საყოველთაო მნიშვნელობისა, არ წარმოადგენს ფუნდამენტურ მეცნიერებას, რომლის მიზანია ბუნების ძირითადი კანონების დადგენა.

ახე ჩაუყარა საფუძველი ა. ნობელმა თავისი ქველმოქმედური საქციელით მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე საპატიო და დამსახურებულ სამეცნიერო ჯილდოს.

ნობელის პრემიის ლაურეატები არიან მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები, ლიტერატორები და საზოგადო მოღვაწეები, მათ შორის — იურისტებიც.

ნობელის პრემიის ლაურეატებს შორის, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია იურისპრუდენციასთან, პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი, ძველი რომის ისტორიისა და სამართლის სპეციალისტი თეოდორ მომზენი (1817-1903). მას 85 წლისას — 1902 წელს მიეკუთვნა ნობელის პრემია ლიტერატურაში. ეს რიგით მეორე პრემია იყო ლიტერატურაში, პირველი 1901 წელს მიეკუთვნა ცნობილ ფრანგ პოეტს ფრანსუა სალი-პრუდონს.

მომზენისათვის, როგორც ისტორიკოსისა და იურისტისათვის, ნობელის პრემიის მიეკუთვნება იშვიათ გამოჩაყლის წარმოადგენს.

როგორც წესი, ნობელის კომიტეტი ცნობას პრემიის მინიჭების შესახებ პრესაში აქვეყნებს ყოველგვარი დასაბუთებისა და ანსხა-განმარტების გარეშე. დღემდე მომზენის მაგალითი პრემიის ისტორიაში ერთადერთია. პოეტებისაგან, ნოველისტებისა და დრამატურგებისაგან განსხვავებით მხოლოდ მომზენმა შითათება, რომ მას პრემია მიენიჭა ისტორიაში დამსახურებისათვის. ეს მიუთითებს მომზენის უდიდეს დამსახურებაზე საზოგადოების წინაშე.

თეოდორ მომზენი დაიბადა შარლოტენბურგში, გერმანიის, მდვდლის ოჯახში. 1848 წლიდან სიკვდილამდე იგი მუშაობდა ხანმართლის პროფესორად ლაიფციგის, ციურიხის, ბრესლაუს და ბერლინის უნივერსიტეტებში. როგორც პოლიტიკოსი, მომზენი პრუსიის პროგრესული პარტიის მიმდევარი იყო, რომლისაგანაც არჩეული გახლდათ დეპუტატად ჯერ პრუსიის ლანდტაგში და შემდეგ გერმანიის რაიხსტაგში.

მომზენს სახელი გაუთქვა მისმა კაპიტალურმა ნაშრომმა — „რომის ისტორიამ“ (არის რუსული თარგმანიც), რომელიც დაწერილია მეტად საინტერესოდ, პოპულარული ენით და უსაზრმაზარ ფაქტობრივ მასალას შეიცავს. შრომაში აღწერილია მოვლენები ჩვენი წელთაღრიცხვის 46 წლამდე.

„რომის ისტორია“ დაწერილია 1848-49 წლების რევოლუციის გავლენით. ფაქტობრივად აქ სახატულია სურვილები XIX საუკუნის 50-იანი წლების გერმანული ბურჟუაზიისა, რომელიც დანტერესებული იყო ფეო-

დალური გადმონაშთების მოსპობითა და გერმანიის გაერთიანებით. მომწენმა „რომის ისტორიაში“ დაახაზულა და განავითარა დემოკრატიული მონარქიის იდეა და ძირითადად მოგვცა სამხედრო-პოლიტიკური ისტორია სოციალური ისტორიის ელემენტებით. მომწენი განსაკუთრებულ როლს ანიჭებს დიდი ადამიანებს — ალექსანდრე მაკედონელს, შანიბალს, იულიუს კეისარს და სხვ.

მომწენმა ძალიან მდიდარი და ძვირფასი მეცნიერული მემკვიდრეობა დატოვა, მის კალამს 1500-ზე მეტი ნაშრომი ეკუთვნის რომის ისტორიის სხვადასხვა საკითხზე. გარდა „რომის ისტორიის“ ოთხტომეულისა, პირველ რიგში აღსანიშნავია „რომის ხანელმწიფო სამართალი“ სამ ტომად და „რომის სისხლის სამართალი“. ამ შრომებში მომწენმა დაწვრილებით განიხილა რომისა და მისდამი დღევმდებარეული პროვინციების დაწესებულებები, სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეთა და სამიპერიო ხელისუფლების იურიდიული საფუძვლები.

თავის შრომებში მომწენი გარდა იურისპრუდენციისა ეხება რომის ისტორიის თითქმის ყველა საკითხს, ეგრძოდ ნუმიზმატიკას, მეტროლოგიას, ქრონოლოგიას, ლინგვისტიკას და სხვ.

თეოდორ მომწენის შრომებს დღემდე არ დაუკარგავთ მნიშვნელობა.

ცნობილ და ღირსეულ იურისტებს შორის, რომლებიც ნობელის პრემიის ლაურეატები გახლენ, აუცილებლად უნდა დავასახელოთ აგრეთვე გამოჩენილი ფრანგი იურისტი რენე კასენი (1887-1976). მას 1968 წელს მიეკუთვნა ნობელის პრემია მშვიდობის საქმეში დამსახურებისათვის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დეკლარაციის შემუშავებაში აქტიური მონაწილეობისათვის. ეს დეკლარაცია 1948 წელს იქნა მიღებული.

რენე კასენი იყო იურიდიული, ეკონომიკური და პოლიტიკური მეცნიერებათა დოქტორი. 1924-1928 წლებში იგი საფრანგეთის წარმომადგენელია ერთა ლიგაში. 1942-1944 წლებში რენე კასენი აქტიურად მონაწილეობდა სერტაშორისო კონფერენციებსა და თათბირებში, რომელთა შედეგადაც შეიქმნა იუნესკო. ხოლო 1946-1957 წლებში მუშაობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებების კომისიაში, რომლის თავმჯდომარეც იყო 1955-1957 წლებში. იგი არაერთხელ ეყოფილა საფრანგეთის წარმომადგენელი იუნესკოს ცენტრალური კონფერენციების სესიებზე და გაერთიანებული ერების გენერალურ ასსამბლეაზე. რენე კასენი იყო საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოს წევრი და საფრანგეთის სახელმწიფო განათლებით იურისტები იყვნენ ნობელის პრემიის ლაურეატები, ცნობილი პოეტები ფრანგი სენ-ჟან პერსი და ბერძენი სეფერისი, რომლებსაც ლაურეატობა ლიტერატურის დარგში მიენიჭათ.

სენი იყო საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოს წევრი და საფრანგეთის სახელმწიფო საბჭოს საპატიო თავმჯდომარე.

განათლებით იურისტები იყვნენ ნობელის პრემიის ლაურეატები, ცნობილი პოეტები ფრანგი სენ-ჟან პერსი და ბერძენი სეფერისი, რომლებსაც ლაურეატობა ლიტერატურის დარგში მიენიჭათ.

სენ-ჟან პერსი დაიბადა 1897 წელს კუნძულ გვადელუპაზე, ვესტინდოეთში, ძველი ფრანგი კოლონიისტების ოჯახში. იურიდიული განათლება მიიღო ბორდოსა და პარიზის უნივერსიტეტებში, რის შემდეგაც ლიბლომატიურ სამსახურში იყო. პერსი უმღერის ბუნების მშვენიერებასა და ადამიანის სულიერ სიმდიდრეს, უპირისპირებს რა მათ საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის უდიდესი დამოკიდებულებებს. ფაშისტური ოკუპაციის დროს პეტენის ადმინისტრაციამ სენ-ჟან პერსი დაითხოვა სამსახურიდან და ჩამოართვა საფრანგეთის მოქალაქეობა, ხოლო მისი ნაწარმოებები განადგურებულ იქნა. პოეტი საფრანგეთიდან გაიქცა ჯერ ინგლისში, ხოლო შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც იგი წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამღებელი გახდა. სენ-ჟან პერსი ითვლება პოპულარულ ფრანგ პოეტად, რომელიც პირველ რიგში თავის სამშობლოს დიდებას უმღერის, ბოლო წლების მძაბი ნაწარმოებებიდან გამოირჩევა პოემები: „ორიენტალები“ (1957 წ.), „ქრონიკა“ (1960 წ.), „ჩიტები“ (1963 წ.), ნობელის პრემია მას 1960 წელს მიენიჭა.

გეროგის სეფერისი (1900-1971) იურისპრუდენციის ეუფლებოდა ათენისა და პარიზის უნივერსიტეტებში. პერსის მსგავსად ისიც დიპლომატიურ საქმიანობას ეწეოდა. ნობელის პრემია მიეკუთვნა 1968 წელს „ლირიკული პოეზიისათვის, რომელიც სრულყოფილად გამოსახავს ელინური სამყაროს სულს“.

ისტორიაში კარგად არის ცნობილი ეგრეთწოდებული ბრიან-კელოგის პაქტი, რომელიც 1928 წელს მიიღეს პარიზის კონფერენციაზე. ეს პაქტი მიმართული იყო საბჭოთა კავშირის, როგორც სახელმწიფოს ცნობის წინააღმდეგ და ფეხქვეშ თელავდა ერთა ლიგის პრინციპებს. ბრიან-კელოგის პაქტი მიზნად ისახავდა საბჭოთა სახელმწიფოს სრულ იზოლაციას.

ამ პაქტის ორივე ავტორი, რეაქციული მოღვაწეები, ამერიკელი სენატორი ფრენკ კელოგი და ფრანგი არისტიდ ბრიანი განათლებით იურისტები იყვნენ. ა. ბრიანი საფ-

რანგეთის იუსტიციის მინისტრიც კი იყო 1914-15 წლებში, ვიფენის კაბინეტში. იგი აქტიურად იბრძოდა საფრანგეთის იმპერიალიზმის ჰეგემონიისათვის ევროპაში. ცხადია, რომ ეს დახასიათებაც საკმარისია ბრიანისა და კელიოგის პიროვნებათა გაგებისათვის. მიუხედავად ამისა, ნობელის კომიტეტმა შესაძლებლად ჩათვალა ამ „მოღვაწეებისათვის“ მიენიჭებინა მშვიდობის ნობელის პრემია. ა. ბრიანს იგი მიენიჭა 1926 წელს, ფ. კელიოგს კი 1929 წელს.

ასეთივე ვითარება შეიქმნა ამერიკელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწის ელიუს რუტის მიმართაც. ე. რუტი, განათლებით იურისტი, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრი იყო 1899-1904 წლებში და სახელმწიფო მდივანი — 1905-1915 წლებში. ე. რუტი ატარებდა ამერიკის მონოპოლიებისადმი ლათინური ამერიკის დამორჩილების პოლიტიკას. იგი მხარს უჭერდა ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობას პირველ მსოფლიო ომში.

1917 წლის ივნის-ივლისში რუტი ჩამოვიდა რუსეთში, როგორც ამერიკის სპეციალური მისიის ხელმძღვანელი. იგი ცდილობდა დახმარებოდა დროებით მთავრობას რევოლუციური მოძრაობის ჩახშობაში, ამასთანავე ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა რუსეთი არ გამოსულიყო ომიდან.

პოლიტიკურად ბრიანის, კელიოგისა და რუტის უშუალო კოლეგაა კიდევ ერთი იურისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი.

ვილსონი თმას ვუდრო ვილსონი (1856-1924) ცნობილი ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე იყო. მან დაამთავრა პრისტონის უნივერსიტეტი და იქვე 1900-1902 წლებში მუშაობდა სამართლის პროფესორად, 1902-1910 წლებში ამავე უნივერსიტეტის რექტორია. შემდეგი ორი წელი ვ. ვილსონი ნიუ-ჯერსის შტატის გუბერნატორი, 1912 წელს კი არჩეულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთა დემოკრატიული პარტიისაგან. პრეზიდენტობის პირველ წლებში მისი ინიციატივით მიღებულ იქნა რამდენიმე კანონი, ეგრეთწოდებულ კლეატონის ანტიტრესტული კანონი (1914 წ.) და კანონი 8 საათიანი სამუშაო დღის შესახებ (1916 წ.) ამ კანონებით ვილსონმა თითქმის ზოგი რამ დაუთმო მუშათა კლასს, მაგრამ ძირითადად იგი მაინც ყოველთვის ამაგრებდა მონოპოლისტური კაპიტალის პოზიციებს. მისი პრეზიდენტობის დროს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ინტერვენცია მოახდინეს შორეულ აღმოსავლეთში, ლათინურ ამერიკასა და ცენტრალურ ამერიკაში. ვუდრო ვილსონის პრეზიდენტობის დროს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 1917 წლის 6 აპრილს ომი გამოუცხადა კაიზერის გერმანიას. ამ აქტის ძირითადი მიზანი ის იყო, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსაც მიეღოთ მონაწილეობა ომისშემდგომი სამყაროს ხელახალ განაწილებაში.

შემოთ მოყვანილი მასალა ცხადყოფს, რომ ზოგიერთი უცხოური გაზეთისა და საზოგადო მოღვაწის ეპიტეტები „ნობელი-მშვიდობა“, „ნობელი-ჯინამიტი“ „ნობელი-ომი“ ზოგჯერ საფუძველს არ არის მოკლებულნი.



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კავშირდამყოფი

ზესტაფონის და ქ. თბილისის ლენინის რაიონებში ამხანაგური სასამართლოებისა და ამხანაგური სასამართლოების მუშაობის საზოგადოებრივი საბჭოების საქმიანობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა იმსჯელა ზესტაფონისა და ქ. თბილისის ლენინის რაიონებში ამხანაგური სასამართლოებისა და ამხანაგური სასამართლოების მუშაობის საზოგადოებრივი საბჭოების საქმიანობის შესახებ. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ამ რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად გარკვეულ მუშაობას ვეწვიან სოციალისტური მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცების თაობაზე სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლაში ამხანაგური სასამართლოების როლის ასამაღლებლად.

აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე განხილულია რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე ქუჩის კომიტეტებთან არსებული ამხანაგური სასამართლოების მუშაობის საკითხები, განხორციელებულია ღონისძიებანი ამხანაგური სასამართლოების ტექნიკური მომსახურების გასაუმჯობესებლად.

ამხანაგური სასამართლოები ძირითადად დროულად და სწორად განიხილვენ საქმეებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცების, შრომის დისციპლინის და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევათა გამო.

ზესტაფონისა და ქ. თბილისის ლენინის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებით შექმნილია ამხანაგური სასამართლოების მუშაობის საზოგადოებრივი საბჭოები, რომლებიც დებულებას შესაბამისად ამოწმებენ ამხანაგურ სასამართლოების საქმიანობას, დახმარებას უწევენ მათ არჩევნების ჩატარებასა და ანგარიშის ჩაბარებაში, აწყობენ ამხანაგური სასამართლოების წევრებისათვის ლექციებს, საუბრებს, სემინარებს, მოქმედი კანონმდებლობის შესახებ.

დადგენილებაში ამასთან ერთად აღნიშნულია, რომ ზესტაფონისა და ქ. თბილისის ლენინის რაიონების ამხანაგური სასამართლოების საქმიანობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება ახალი დებულებით წაყენებულ მოთხოვნებს.

ზოგიერთ საწარმოსა და დაწესებულებაში ირდევია ამხანაგური სასამართლოების არჩევან წესი; ბევრი ამხანაგური სასამართლო არ ცვაეს საქმის განხილვის ვადებს, ფორმალურად ატარებს სხდომებს, დაუღევრად აღგენს სხდომის ოქმებს და გადაწყვეტილებებს, საქმის განხილვის შედეგებს არ ატყობინებს იმ ორგანოს, საიდანაც გადმოგზავნილია მისაღები დარღვევის შესახებ (ქ. თბილისის რკინიგზის მე-2 სავაგონო უბნის, ელმავალ-ვაგონმშენებელი ქარხნის № 1 და № 2 საამქროების, „სამტრესტის“ ზესტაფონის საწარმოო გაერთიანების ამხანაგური სასამართლოები).

ზოგიერთ საწარმოსა და დაწესებულებაში ამხანაგური სასამართლო საერთოდ არ არის შექმნილი ან უმოქმედოდ არის. მაგალითად, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა აღრიცხვის სამუშაოების ცენტრალიზაციისა და მექანიზაციის გაერთიანებაში, სადაც 191-მდე მუშა-მოსამსახურეა, ამხანაგურა სასამართლო შექმნილი არ არის, ხოლო ლენინის რაიონის ავტოსატრანსპორტო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოში, სადაც ვხვდებით სამართალდარღვევებს, ამხანაგურ სასამართლოს 1977-78 წლებში არც ერთი საქმე არ განუხილავს.

ამხანაგური სასამართლოები იშვიათად იჩენენ ინიციატივას. თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში, მიუხედავად იმისა, რომ ხშირია შრომისა და საწარმოო დისციპლინის დარღვევის, წვრილმანი გატაცება ფაქტები, 1977-1978 წლებში ამხანაგური სასამართლოს ინიციატივით ამ კატეგორიის მხოლოდ ერთი საქმეა განხილული, ხოლო ქ. თბილისის რკინიგზის მე-2 სავაგონო უბნის, გაერთიანება „საქტრეკოტაის“, „სამტრესტის“ ზესტაფონის საწარმოო გაერთიანებისა და სამკვრელო ფაბრიკის ამხანაგურ სასამართლოებში — არც ერთი.



ამხანაური სასამართლოები საქმეთა განხილვის დროს ყოველთვის არ ავლენენ სამართალდარღვევება მიზეზებსა და ხელშეწყობ პირობებს, გადაწყვეტილებები სათანადოდ არ არის მოტივირებული, ზემოქმედების ზომები კი ლიბერალურია. თბილისის გაერთიანება „საქტრიკოტაჟის“ ამხანაურმა სასამართლოებმა (გაერთიანებაში 4 ამხანაური სასამართლო) დებულებების მოთხოვნათა დარღვევით 17 მუშაკს წვრილმანი გატაცებისათვის საზოგადოებრივი გაიციხვა და ამხანაური გავრთილება შეუფარდეს. ასეთივე დარღვევებს უშვებს თბილისის ელ-მაგალსაშენებელი ქარხნის ამხანაური სასამართლოც.

ბევრი საწარმოს და დაწესებულების ადმინისტრაცია და პროფკავშირული ორგანიზაცია უგულვებელყოფს ამხანაური სასამართლოების როლს შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცების, სოციალისტური საკუთრების დაცვის, წუნთან, მოწყობილობისა და ხელსაწყო-იარაღების დაზიანებასთან ბრძოლის საქმეში და დამრღვევებს დისციპლინური წესით სჯის (ხესტაფონის პურკომბინატი და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო, თბილისის ფოლად-თუქსამსხმელო ქარხანა).

ამ რაიონების პროკურატურისა და სასამართლო ორგანოები ჯერჯერობდა ვერ აღასვენ ამხანაური სასამართლოების მნიშვნელობას და მათ განსაზღვრულ გადასცემენ უმნიშვნელო რაოდენობის საქმეებს. მაგალითად, ქ. თბილისის ლენინის რაიონის პროკურატურამ და სახალხო სასამართლომ 1977-78 წლებში ამხანაურ სასამართლოებს გადასცა მხოლოდ თითო-თითო საქმე, ზოგჯერ შინაგან საქმეთა ორგანოები ოპერატიულად და სწორად არ წყვეტენ სამართალდარღვევის მიმართ მასალების ამხანაური სასამართლოსათვის გადაცემის საკითხს. მაგალითად, გაერთიანება „საქტრიკოტაჟის“ ამხანაურ სასამართლოს ქ. თბილისის ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებამ 10 თვის დაგვიანებით გადაუგზავნა მასალები წვრილმანი გატაცების შესახებ.

სუსტია ამხანაური სასამართლოების საქმიანობისადმი პროკურატურის ორგანოების ზედამხედველობა.

პროფკავშირულ ორგანიზაციებს, ადმინისტრაციულ ორგანოებს, აგრეთვე საწარმოთა და დაწესებულებათა იურიდიულ სამსახურს სათანადო კავშირი არა აქვთ ამხანაურ სასამართლოებთან, საქმით დახმარებას არ უწევენ ამხანაურ სასამართლოებს, არ ზრუნავენ მათი როლის ამაღლებისათვის.

ეს ნაკლოვანებები იმის ბრალიც არის, რომ სახალხო დემუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები საჭირო ხელმძღვანელობას ვერ უწევენ ამხანაურ სასამართლოებსა და ამხანაური სასამართლოების მუშაობის საზოგადოებრივ საბჭოებს, არ ისმენენ მათ ანგარიშებს, არ განაზოგადებენ ამხანაური სასამართლოების მუშაობის პრაქტიკას, არ ზრუნავენ ამხანაური სასამართლოების წევრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ამხანაურ სასამართლოებთან მჭიდრო კონტაქტი არა აქვთ საბჭოების სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივ კომისიებს, აღმასკომებთან არსებულ ადმინისტრაციულ კომისიებს, აგრეთვე დემუტატებს.

ამხანაური სასამართლოების მუშაობის საზოგადოებრივი საბჭოები არ ზრუნავენ ამხანაური სასამართლოების მუშაობის კოორდინაციისათვის, არ იყენებენ დებულებით მინიჭებულ უფლებებს და აღმასკომებში არ შეაქვთ წინადადებები აქტიური მუშაობისათვის ამხანაური სასამართლოების თავმჯდომარეებისა და წევრების წახალისების შესახებ, არ ცდილობენ, რომ ამხანაური სასამართლოების საქმიანობა და დადებითი გამოცდილება ცნობილი გახდეს პრესის, რადიოს, ტელევიზიის და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავისი დადგენილებით დაავალა რესპუბლიკის სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს: ადგილობრივ პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად შეიმუშაონ ამხანაური სასამართლოების საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებანი; უზრუნველყონ, იქ სინდე ეს აუცილებელია, ამხანაური სასამართლოების შექმნა, მის შემადგენლობაში აირჩიონ ინციტაციანი მუშაკები, რომლებსაც კოლექტივში ნდობა და ავტორიტეტი აქვთ მოპოვებული; სისტემატურად განაზოგადონ ამხანაური სასამართლოების მუშაობა, ფართოდ გაავრცელონ საუკეთესო ამხანაური სასამართლოების დადებითი გამოცდილება, წახალისონ აქტიური მუშაობისათვის ამხანაური სასამართლოების თავმჯდომარეები და წევრები, განაზოგადონ ამხანაური სასამართლოების მუშაობის საზოგადოებრივი საბჭოების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებანი იმისათვის, რომ ამ საბჭოებმა გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და კანტროლი ამხანაური სასამართლოებისადმი, მეტი მეთოდური და სამართლებრივი დახმარება აღმოუჩინონ მათ; მოსთხოვონ ამხანაურ სასამართლოებს, რომ წელიწადში ერთხელ აღმასკომებს წარუდგინ-



ნონ მონაცემები განხილული საქმეების რაოდენობის, ხასიათისა და გამოყენებული ზემოქმედების ზომების შესახებ.

რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს დაევალოთ შეისწავლონ მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და დაწესებულებებში ამხანაგური სასამართლოების საქმიანობის პრაქტიკა და მიღონ ზომები, რათა საწარმოებისა და დაწესებულებების ადმინისტრაციამ უფრო აქტიურად ჩააბას ამხანაგური სასამართლოები სამართალდარღვევებთან ბრძოლაში.

პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახალხო სასამართლოების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ მათ უფრო ფართოდ გამოიყენონ სამართალდარღვევების პროფილაქტიკის საქმეში ამხანაგური სასამართლოები, განუხრებლად დაიცვან მოქმედი კანონმდებლობა ამხანაგური სასამართლოებისათვის საქმეთა გადაცემის დროს.

იუსტიციის სამინისტროს დაევალოს გააუმჯობესოს დანმარება ამხანაგური სასამართლოებისადმი, ხოლო პროკურატურის ორგანოებს ზედამხედველობის გაძლიერება ამხანაგური სასამართლოების საქმიანობაში კანონიერების დაცვისადმი.

საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკურ საბჭოებს რჩევა მიეცა უზრუნველყოს ამხანაგური სასამართლოების საქმიანობისადმი საფაბრიკო, საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების ხელმძღვანელობის გაუმჯობესება.

დადგენილება ითვალისწინებს, რომ უფრო მეტად იქნეს გამოყენებული პრესა, რადიო-ტელევიზია და ინფორმაციის სხვა საშუალებები ამხანაგური სასამართლოების მუშაობის გაშუქებისათვის.

ზესტაფონისა და ქ. თბილისის ლენინის რაიონების სახალხო დებუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალოთ 1979 წლის 1 აგვისტომდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წარუდგინონ ინფორმაცია ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.





იურიდიული ჟურნალი

ფურცლებზე

№ 3


СОЦИАЛИСТИЧЕСКАЯ ЗАКОННОСТЬ

ს. შიშკოვი — პროკურატურის ორგანოების კადრებთან მუშაობის შემდგომი სრულყოფის ამოცანები. **ნ. სალიშჩევი, ე. კოვეშნიკოვი** — ახალი კანონი სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ. **ნ. გორშენევა, ვ. ფინკელი** — გზა გადავლდობით უხარისხო მშენებლობას. **ა. დემიანჩენკო** — შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული დავების გა-

დაწყვეტა სასამართლოებში. **ნ. ფედოროვი, ვ. ბერდიჩევსკი** — პროკურატურა და პროფკავშირები შრომის კანონების დაცვის სადარაჯოზე. **ნ. რიბაკონი** — მკაცრად დავიცავთ კანონი სამართლებრივი ნორმების გამოცემისას. **მ. ვასიკოვა** — გავაუმჯობესოთ ბრალდებისა და დაცვის ეფექტურობის მუშაობა. **ვ. ბლოხინი, ნ. ტარნაევი** — საზოგადოებრივი მხანაგური სასამართლოების მუშაობა. **ს. დასკალოვა** — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის კანონი სასამართლო წყობილების შესახებ. **ვ. ტინონოვი** — საჩივრის განხილვა და პირადი მიღება. **ა. ნოვაკი** — ზრუნვა ახალგაზრდობის მიმართ. **ს. ულიცი** — პირის ვიღამდე ვანთავისუფლება სამეურნეო-შრომითი პროფლაქტივიდან ავადმყოფობის გამო. **გ. სევესტიანოვი** ავტომანქანის მძღოლების სამუშაო დრო და დასვენების დრო. **ი. როვალი, ი. პოლოვეცკი** — მეტი ყურადღება იურისკონსულტის კვალიფიკაციის ამაღლებას. **რ. კალისტრატოვა** — საბჭოთა იურისტი ქალების ორგანიზაცია. **სსრ კავშირში დედობისა და ჩვილი ბავშვების დაცვის სასახური. ე. ხოლოდკოვსკაია, ი. ბობროსკა** — რა მასალეზა საჭირო სასამართლო-ექსპერტიზის ჩასატარებლად. **ა. რომაშვი** — დოკუმენტის გამოკვლევის ფსიქიატრიული მეთოდისა მექანიზებული აღრიცხვის დროს. **კ. შარქსი** — გამოძიებაში დაშვებული რა შეცდომები უშლის ხელს სასამართლოს ავტოსტრანსპორტო დანაშაულის საქმეთა განხილვისას. **ა. ლანდო, ს. უიანაევი** — იურიდიული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკა. **სსრ კავშირის პროკურატურის კანონის პროექტის განხილვა. გ. კრავცი, ა. სუხოღები** — საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლების სწავლება. **გ. ჩუბუკოვი** — შთავსებითი მუშაობა კოლმეურნეობაში. **ა. მაკაროვი** — სამეცნიერო-ტექნიკურ მუშაობათა მასალების გამოყენების მტიციებულებათა მნიშვნელობა. **მ. ვეტევი** — გავაძლიეროთ ბრძოლა თამბაქოს წვეის აკრძალვისათვის. **გ. მოუისკი** — ბიბლიოთეკის მუშაობა მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის ამაღლებაში. **ი. ანდოვი** — „მოწყენილი“ ვაგონები. **ლ. ლაზიევა** — ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრება (სამართლებრივი ასპექტები, სტრუქტურა და მოღვაწეობა) **ტ. ორეშკინა** — ამერიკის შეერთებულ შტატებში რეციდიული დანაშაულის მიზეზები. ახალი კანონმდებლობაში. **სსრ კავშირის პროკურატურაში. სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროში. საპროკურორო უედამხედველობის პრაქტიკიდან. პ. ლუპინსკაია, მ. შაქრიანი** — სასამართლო სსრ კავშირში. **ა. ლარკოვი, ი. სოკოლსკი** — პასუხისმგებლობა თანამდებობრივი დანაშაულისათვის (ა. სეტროვის წიგნზე). **ს. ოსტროვოვი, ლ. გიორგიევი** — ბუღალტრული ცოდნის გამოყენება დანაშაულის გამოძიებასა და თავიდან აცილებაში (პ. პოპოუნასის წიგნზე). **იურისტის ტერმინოლოგიური ლექსიკონი.**

№ 4

მოწინავე — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები — ზალხის ნებისყოფის გამოხატულება. **სარედაქციო** — პროკურატურის ამოცანები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მართლწესრიგის დაცვისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის სკიოთხის განხილვასთან დაკავშირებით. **ა. შლიანჩინიკოვი** — ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ლენინური იდეები. **ვ. შახმატოვი** — ვ. ი. ლენინის იურიდიული მოღვაწეობის შესახებ. **ი. კოროლიოვი** — ოჯახის დაცვა სახელმწიფოს მხრივ. **პ. სელდუგინი** — უმაღლესი საბჭოების დებუტატების მონაწილეობა საკანონმდებლო საქმიანობაში. **ნ. ვიშნევეცკაია** — მკაცრად დავიცავთ კანონი დებუტატის სტატუსის შესახებ. **გ. ბელოშაპკო** — სამართალდამცველი და მკონტროლებელი ორგანოების თანამშრომლობა სამეურნეო კანონმდებლობის დარღვევების წინააღმდეგ. **ვ. სმირნოვი** — ზიანის ანაზღაურება, რაც მიყენებულია უხარისხო პროდუქციის დამზადებითა და გამოშვებით, **ტ. სამოხი-**



ნ. ბ. ველიკორდნი — გამომძიებლების პროფესიული ჩვევების სრულყოფა. ნ. კუნავინი — სახალხო მსაჯულბთან მუშაობა. ა. ვაფურაჟანოვი — მოსწავლეებს — კანონის ცოდნა. ი. ლიპუნოვი — პასუხისმგებლობა სოციალისტური ქონების წვრილმანი გატაცებისათვის. ვ. ვოლენკო, ვ. გეიხმანი — შრომის ხელშეკრულების მოშლა უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგებთან, ვ. ლუკიანოვი — ვაგუფრთხილდეთ სახალხო დოვლასი. ვ. უიგულენკოვა, ვ. შერსტიუკი — სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება სახლმფლობელობის დავების საქმეებზე. ა. ბალაშოვი — შემთხვევის ადგილზე ერთობლივი ვასვლის ორგანიზაცია. მ. როსტოვი — სანადირო თოფის ტყვიანობის ექსპერტიზა. ი. დუბაშევი — კერძო ბრალდების საქმეთა განხილვის წესი. ი. კოსტანიოვი — ზუსტად განისაზღვროს ფუნქციები და უფლებამოსილება. ი. კორეცკი — გაიმიჯნოს ზედამხედველობა და ხელშეკრულებლობა ი. ტოკარევი — ავამილოთ სამართლებრივ საშუალებათა ზეგავლენა. ტ. ფირსოვა — ზედამხედველობა კანონმდებლობის შესრულებისადმი არასრულწლოვანების შესახებ. ი. საშენკო — დავიკვთა კონონდებლობა შედავათიანი ტურისტული საგზურების გაცემის წესის შესახებ. დ. კუდინოვი — ექვიპიტანის დაკეგება. მ. შუბი — საქირთა ტიპიური ხელშეკრულება საბინაო კოოპერატიული ამხანაგობისა დამკვეთთან. მ. ბურმისტროვი — გამომძიების ვადების შესახებ. ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ვ. პანატიოვი — ეკონომიკის სფეროში დამნაშავეობასთან ბრძოლა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში. ვ. კუხნეცოვი — საერთაშორისო სიმპოზიუმში ბავშვის ინტერესების სამართლებრივი დაცვის შესახებ. ი. ბელიავსკია — ორგანიზებული დანაშაული იაბონიაში. გ. პროდლა — ერთი მკვლეული თემა პალატაში, მეორე ღორდთა პალატაში. ახალი კანონმდებლობაში. სსრ კავშირის პროკურატურაში. სსრ კავშირის ოუსტიციის სამინისტროში. საპროკურორო ზედამხედველობის პრაქტიკა. დ. კონიახინი — საბჭოთა სამართლის წყაროები. ა. პიგოლიჩინი — სამართალი და ჩვენი ცხოვრება (ს. ალექსეევის წიგნზე).

№ 1



ი. იუხო (მინსკი) — ბელორუსიის სსრ იურიდიული მეცნიერება 60 წლისთაგზე. ა. ვოლოჯკო (მინსკი) — ბელორუსიის სსრ საკონსტიტუციო მშენებლობა განვითარებული სოციალიზმის პერიოდში. დ. პრინოლიკო (მინსკი) — სსრ კავშირის და მოძმე სოციალისტური ქვეყნების კონსტიტუციური განვითარების პრობლემები. ი. ბროვკა (მინსკი) — ბელორუსიის სსრ მონაწილეობა საერთაშორისო სამართალ-შემოქმედებით მოღვაწეობაში. დ. პავლოვა (მინსკი) — ბელორუსიის სსრ ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები დიდი სამამულო ომის წლებში. ვ. ჩიგირი (მინსკი) — საბინაო კანონმდებლობის სისტემატიზაცია და კოდიფიკაცია. ი. გორდელიკი (მინსკი) — ბელორუსიის სსრ და სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის სრულყოფა. ი. ტოშკევიჩი (მინსკი) — დანაშაულთა ერთობლობა (კვალიფიკაციის საკითხები) მ. ტეპანენკო (მინსკი) — მოქალაქეთა მიერ მიწათსარგებლობის პრობლემები. ნ. გაპანოვიჩი (მინსკი) — ადამიანის ნიშნები, როგორც ამოცნობის ობიექტი კრიმინალისტიკაში. ვ. ტიხინია — კრიმინალისტიკის საგები და მეთოდები სამოქალაქო პროცესში. ტ. გირსენოვი — სისხლის დონორობის სამართლებრივი საკითხები. გ. ვორობეი — ბელორუსიის სსრ ცაქის და ცაქის პრეზიდიუმის მაკონტროლებელი ფუნქციები. ვ. სოროკინა (მინსკი) — რუსეთის თვითმპყრობელობის პოლიტიკა დასავლეთის ერობის მიმართ. ე. კალინინა (მინსკი) — ინდური სამართლის სათავეები. ხ. დროზიაჩკო, ვ. დოროგინი, მ. კოშლოვი, მ. პეტროჩენკო (მინსკი); ი. გრევცოვი, დ. კასკი, ვ. კოშლოვი, ე. კუხნეცოვი, ა. ეკიმოვი, ი. რაკიტსკაია, (ლენინგრადი) — სახელმწიფოსა და სამართლის თეორია. ი. კამელიუშვი, ა. იაკოვლევი — ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის დემოკრატიული ფორმები (ა. ლევიეროვის წიგნზე) ვ. ტარხოვი, გ. ბარანოვა, ვ. პანტელენკო, ვ. რიბაკოვა (სარატოვი) ბელორუსიის სამოქალაქო სამართალი. ნ. იურკევიჩი (მინსკი) — საბჭოთა საოჯახო სამართალი (გ. პიტეევის წიგნზე) ა. ნაუშოვი, ვ. მინაილოვი, ა. სიზი, დ. სოკოლოვი, ნ. სვიდლოვი (ვოლოგრადაი); მ. აპანავიჩუხი, ვ. პავლონისი, ი. ნოვიუხი (ვილნიუსი) ბელორუსიის სსრ სისხლის სამართალი. ვ. არსენევი — ამოცნობა სამართალწარმოებაში (პროცესუალური და ფსიქოლოგიური პრობლემები); ამოცნობა საგამომიებთ და სისამართლო პრაქტიკაში (ტაქტიკა). (ნ. კაპანოვიჩის წიგნზე). პოლიტიკურ მეცნიერებათა ასოციაციის XI მსოფლიო საერთაშორისო კონგრესისათვის. 1978 წლის პირველ ნახევარში ევროპის სოციალის-



ტური ქვეყნების იურიდიულ ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების სისტემატური საძიებელი.

№ 2

ს. მალიონინი, ა. პაშკოვი — აღმართა უფლებები და მათი სწავლება სსრ კავშირში.

ვ. ვასილენკო — სოციალისტური ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციის 30 წლისთავი. ტ. ტრუზნიკოვი (მოსკოვი) — ეკონომიკური ურთიერთდახმარე საბჭოს წევრი ქვეყნების პასუხისმგებლობა წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების ხელშეკრულებებზე. ე. მაგნიცკაია — შრომაში ჩაბმის კონსტიტუციური პრინციპები და შრომითი რესურსების განაწილება.

ა. კრავცოვი — სოციალისტური წარმოება და სამოქალაქო სამართალი. ვ. ჩირკინი (მოსკოვი) განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის შესწავლა (ახალი პრობლემები).


ვ. კოროტკისი — 1978 წლის ტირნოვის კონსტიტუციის შექმნის ისტორია (ბულგარეთის პირველი კონსტიტუციის 100 წლისთავისათვის). ა. პრუდინსკი — შრომის ხელშეკრულება და წარმოების სტაბილური კადრების შექმნა. ე. დავიდოვა — ეპრობის მუშაკთა შრომის მოწესრიგება შრომის კანონმდებლობით. ო. ოგინიკოვი — სამართლის სპეციფიკურ კანონზომიერებათა შესახებ. ს. ზაბლოვი — (მინსკი) ადგილობრივი საბჭოების მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამართლებრივი მოწესრიგება. პ. გორბუნოვი (კუბინი) — ხელშეკრულება, როგორც სამეურნეო ინიციატივის სამართლებრივი ფორმა. ი. პანკრატოვი, ი. ბრაგა (მოსკოვი) — სსრ კავშირის კონსტიტუცია და კანონმდებლობის სრულყოფა სოფლის მეურნეობის შესახებ. ვ. ტაივი — (ხარკოვი) — დანაშაულის ობიექტი უხარისხო პროდუქციის გამოშვების დროს. მ. ავდევი (მოსკოვი) — პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და სისხლის სამართლებრივი ტერმინოლოგია. ლ. ზახოვი, ა. ჩუჩაევი — (კაშიატკის პეტროპავლოვსკი) მოკლევა ნაოსნობაში მყოფ სსრ კავშირის გემებზე. პ. სავიცი (სვერდლოვსკი) — საფრანგეთში ჩინოვნიკების მომზადების სისტემა. ა. პაშკოვი, ო. ხმირნოვი — (მოსკოვი), კ. ურუინსკი (კალინინი) — ყაზახეთის სსრ შრომის კანონთა კოდექსის მეცნიერულ-პრაქტიკული კომენტარი. ვ. შიგელოვი (ტომსკი) — საბჭოთა სამოქალაქო პროცესი. ე. შრონინი (მოსკოვი) — პოზიტიური სამართლის თეორია რუსეთში.

№ 3



ი. ორლოვსკი — სსრ კავშირის კონსტიტუცია და მოქალაქეთა შრომის უფლებების დაცვა. ე. ნეგეროვი — მშენებლობათა მოთხოვნების გათვალისწინებით. ა. სიტნიკოვი — უპირისპიწოდება 2,2 პროცენტით. რა იმალება ამის მიღმა? კ. კრაუჩკოვი — აქტიურად გამოვიყენოთ არსებული შესაძლებლობანი. ვ. ვორონინი — მიყვარს — საქონლის ხარისხის რეალური გარანტია. მ. ლევინი — მართვის ავტომატიზებული სისტემა სოფლის სამსახურში. ნ. ტარვადი — რომელი ფანერით დავამზადოთ ყუთები? ვ. გელბრასი — რეალიზაცია — საწარმოს მუშაობის მთავარი მაჩვენებელი. ვ. სტეპანენკო, ლ. შკრაბი — გავითვალისწინოთ გაერთიანების მოთხოვნები. ი. სამოილოვიჩი — კომერციული აქტი. ცალმსრები დოკუმენტა? მ. ზინინი — გეგმა, ხელშეკრულება და მისი რეალური შესრულება.

ი. ვერნიკინი, ე. ტრეშჩევა — წარმომადგენლობა საარბიტრაჟო პროცესში. ა. პერვუშინი — კონტრაქტაციის ხელშეკრულება სამეურნეობაშორისო კოოპერაციის პირობებში. თ. ახოვა, ზ. ზამენგოვი — საწარმოო გაერთიანება ერთიანი საწარმო-სამეურნეო კომპლექსი. ნ. ლოპატინა — დავეგმვა საწარმოო გაერთიანებებში. ე. ტორკანოვსკი — ტექნიკურ სიახლეს — სამართლებრივი რეგულირება. გ. გორდინი — ექსპერტიზით დადგინდა... ე. სუხანოვი — სამეურნეო კავშირურობის ორგანიზაცია ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში. ი. სარქისბეგოვა — შედგავთბი მომუშავე ქალებს. ვ. რომანოვი — კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა მატერიალური პასუხისმგებლობა. ა. არიფულინი — ქონებრივი სანქციები დეფექტების აღმოფხვრის დაყოფნებისათვის. ვ. ვასილენკო — მკითხველები წინადადებას იმდენად გვიჩვენებ. ვ. ულიტანინი — პრეტენზიონის დღე. გ. ციპკინი — ერთსლოვანი კომპლექტი. ა. ბელიავსკი — აქტუალური, მეცნიერული, კონკრეტული. არბიტრაჟის პრაქტიკა. უცხოური პრესა გვიმოწმებს. ვასილენკო მკითხველთა შეკითხვებს.



№ 4

ფ. კოტოვი — შრომისა და გამარჯვების ხელწოდებები. ა. ლაზენიკოვი — სულტანგულოველ ხოლოკებთან შეხვედრა. ა. ლებედი — სრულყოფილი სამეურნეო კავშირები. ვ. პარფენოვი — მოჭირნეობა — მეურნეობაობის კანონი. კ. ურუხინკი — გავლენისა და მემკვიდრეობის დროის ყოველ წუთს. ვ. ნაუშოვი — დროის უზუსტესი საათით. ზ. ციხულენკო — დავაზინაოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტია. ვ. სოლომინი — ხელშეკრულების ფასი. ი. მაკარენკოვი — ტვირთი მიღწარით მიდის. ფ. მაზურევი, გ. პოლომკოვი — იურისტის შტატი მეურნეობაში. ს. ვიდეგოფი, ვ. კოვკუნი — აქტიური პოზიცია. ნ. ვესევი — კოლმეურნეობის ათასები... მარბარის ფხენილი. ნ. კოსიაკოვი — დავიცვათ და სრულყოფილი გავრთიანებათა უფლებები ი. ტინჩუი — საწარმოთა გავრთიანების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება მ. რინგი — გავრთიანებაში მეცნიერებისა და წარმოების კავშირის სამართლებრივი ორგანიზაცია. ა. გორდონი, ვ. კონსტანტინოვა — მიწოდება თუ იჯარა. ვ. ტრონი — ელექტროენერჯის მოწოდებელთა პასუხისმგებლობა. მ. ხაზინი — როგორ დალუპეს მანქანა. ი. ეკონიკოვი, გ. ვოსკანიანი — ეკონომიკური ურთიერთდამხმარე საბჭოს წევრი, ქვეყნების თანამშრომლობის გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამები. ნ. დედოკოვი — მტკიცებულობანი არასათანადოდ დაცული იმპორტული საქონლის გადაზიდვისას. ბ. ჩუბაისი — მათთვის ვინც მუშაობს და სწავლობს. ი. პოლოვეცი — სამართლებრივი მუშაობის ეფექტიანობის კრიტერიუმი. მ. ეშელიანოვა — მომავალი იურისტებს — სტანდარტზაციის საფუძვლების ცოდნა. ი. შვანია — მოჩვენებითი წვრალიზანი. მ. ალექსანდროსკი — ავანაზღაურით ნატურით ზენორმატული მსხვერვა. ნ. ჩიუიკი — პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე. ვ. ეგიაზაროვი — საქირო წიგნი. არბიტრაჟის პრაქტიკა. ვუპასუხებთ მკითხველთა შეკითხვებს. უცხოეთის პრესა გვიმოწმებს.

№ 3

РАТОНСЬКЕ ПРАВО

ვ. ხვილობი — საბჭოთა ქალი — კომუნისტური მშენებლობის აქტიური მონაწილე. ე. მელნიკი — წიგნის „კ. მარკსი, ფ. ენგელსი, ვ. ლენინი ქალთა საკითხის შესახებ“. ი. ხა-

ბუროვი — რუსეთისა და უკრაინის მშრომელთა ურთიერთ დახმარება საბჭოთა სოციალისტური სამართლის შექმნასა და განვითარებაში. ა. კუპჩინი — უკრაინის სსრ 1919 წლის კონსტიტუციის ფუძემდებლური პრინციპები. ვ. კულბინსკი — უკრაინის სსრ 1919 წლის კონსტიტუცია და კანონმდებლობის შექმნა. ადგილობრივი საბჭოების შესახებ. ი. ანტონიუკი — ავამდღოთ ინსტრუქციითა აპარატის საქმიანობის ეფექტიანობა. ნ. ერმოლინა — საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოღვაწეობა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებაში. ვ. იუდინი — ხელშეკრულების დადება პროდუქციის მიწოდების შესახებ. პ. პუშნინიკი — იურისკონსულტთა მონაწილეობა ხელშეკრულების მომზადებასა და დადებაში. მ. შუღა — სრულყოფილი კოლმეურნეობებში ავრთქიმურ სამუშაოთა შესრულების შიდასამეურნეო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები. ვ. იაროსლავსკი — უზრუნველყოფით დაზარალებულის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა. ი. კაუტი — საქმეების განხილვა უკრაინის სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 317-ე მუხლის საფუძველზე საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების გაწყვეტის შესახებ. ა. ბოლახოჩენკო — გავლენისა და სისხლის სამართლის საქმეებზე პროტესტების ხარისხი. ა. გერასუნი — ფართოდ გამოვიყენოთ დანაშაულთა გამოძიებისას ფიზიკურ-ტექნიკური ექსპერტიზა. ნ. ზიხი — აფექტში ჩადენილი დანაშაულის საქმეებზე დაცვის მეთოდოლოგია. ნ. შალიშკო — ატმოსფეროს ჰაერის გაბინძურებისაგან დაცვის სამართლებრივი საკითხები. ვ. დემიდენკო, ა. სობჩენკო — შეთავსებით მუშაობის სამართლებრივი მოწესრიგების ზოგიერთი საკითხი. ე. კოვალენკო — გატაცების საქმეებზე სისამართლო-ეკონომიკური ექსპერტიზა წინასწარი და სასამართლო გამოძიების სტადიაში. პ. ზიხინარჩუი — საოლქო სასამართლოს მუშაობა მოსამართლეთა პროფესიული დონის ამაღლებისათვის. ნ. დემიჩენკო — საკოლმეურნეობათაშორის იურიდიული ჯგუფის საქმიანობა. ი. ლიტჩინენკო — ოლქის შინაგან საქმეთა ორგანოების და ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების ურთიერთთანამშრომლობა. ვ. მილო — საბჭოთა კანონმდებლობის პრობაგანდა რაიონულ გაზეთში. ი. პეტრიში — მოსამართლის ანგარიში ამომრჩეველთა წინაშე. ა. კორცევი — დანაშაული არ მოხდა. ვ. კისილი — სოციალისტური კუბის საოჯახო კოდექსი. ნორმატული აქტები. უკრაინის სსრ უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკიდან. საბროკურორო ზედამხედველობის პრაქტიკიდან. რეცენზიები. ქრონიკა.

ოფიციალური გასკლა



დ ა ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1978 წლის 11 აგვისტოს ბრძანებით იუსტიციის უფროსი მრჩეველი, პეტრა სულდოს ძე ბატიშვილი, დანიშნულია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორად, ხუთი წლის ვადით.

პეტრე სალდოს ძე გათიკოევი დაბადებული 1928 წელს, სკკპ წევრია 1968 წლიდან. 1961 წელს დაამთავრა ქ. სარატოვის იურადიული ინსტიტუტი. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1947 წელს, იყო სამხედრო — ტექნიკური საავიაციო სკოლის კურსანტი, 1948-1949 წლებში მუშაობდა ავიაშემსრულებელად, 1949-1952 წლებში მფრინავთა საავიაციო სასწავლებლის კურსანტია, 1952-1954 წლებში — საავიაციო სკოლის მფრინავი-ინსტრუქტორი, 1954-1957 წლებში — ქ. ორჯონიკიძის საშუალო სკოლის ფიზდღერდის მასწავლებელი.

1961 წლიდან, იურიდიული ინსტიტუტის

დამთავრების შემდეგ, პ. ს. გათიკოევი მუშაობას იწყებს ცხინვალის რაიონის პროკურატურის გამომძიებლად, 1962-1963 წლებში იგი არის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორის თანაშემწე, 1963-1965 წლებში კი — ქ. ცხინვალის პროკურორი. შემდეგ პ. გათიკოევი ორი წელი მუშაობს ქ. ცხინვალის საქალაქო იურიდიულ კონსულტაციაში ადვოკატად, 1968 წელს კი ირჩევენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სახმართლოს წევრად. 1975 წლიდან იგი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორის მოადგილეა. არის საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის წევრი.

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის 1978 წლის 18 ოქტომბრის ბრძანებით

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის განყოფილების უფროსი კონსულტანტი გიორგი ფილიპონის ძე საბუაშვილი დანიშნა ამავე განყოფილების უფროსად.

გ. ფ. საბუაშვილი დაიბადა 1940 წელს, 1966 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო ქ. ბათუმში საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლად. 1969 წლიდან გ. საბუაშვილი სამუშაოდ გადადის რსფსრ-ს პროკურატურის ორგანოებში — ჩიტის ოლქის პროკურატურის გამომძიებლად საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 1972 წლიდან იგი მუშაობს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის განყოფილების უფროს კონსულტანტად, არის სკკპ წევრობის კანდიდატი.

ში — ჩიტის ოლქის პროკურატურის გამომძიებლად საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 1972 წლიდან იგი მუშაობს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის განყოფილების უფროს კონსულტანტად, არის სკკპ წევრობის კანდიდატი.

შ ა ხ ა ლ ი ს ე ბ ე ბ ი

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, იუსტიციის ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველის რ. ა. რუდენკოს 1978 წლის 20 დეკემბრის № 729-ის ბრძანებით სამსახურებრივი მოვალეობის სამაგალითო შესრულებით, პროკურატურის ორგანოებში აღრიცხვისა და სტატისტიკური ანგარიშგების საქმეში აქტიური საქმიანობისათვის ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვდა:

კოკი თეოფანეს ძე ნარმანია — იუსტიციის უფროსი მრჩეველი, საქართველოს სსრ პროკურატურის სტატისტიკის განყოფილების უფროსი.

საქართველოს სსრ პროკურატურის 1978 წლის 4 ნოემბრის № 174 § 1 ბრძანებით სამსახურებრივი მოვალეობის სამაგალითო შესრულებისათვის და დიდი ოქტომბრის სო-



ციალისტური რევოლუციის 61-ე წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ:

I. ფასიანი საჩუქრებით

შოთა ბესარიონის ძე ძიძიგური — იუსტიციის უმცროსი მრჩეველი, აფხაზეთის ასსრ პროკურატურის საგამომიებო განყოფილების პროკურორი;

გიორგი ვახტანგის ძე გეგეჭკორი — იუსტიციის უფროსი მრჩეველი, თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი;

გიორგი არჩილის ძე გოკიელი — იუსტიციის უმცროსი მრჩეველი, საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომიებო სამმართველოს პროკურორი;

ზურაბ შალვას ძე ვაბუნია — იუსტიციის მრჩეველი, საქართველოს სსრ პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისადმი ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი;

ტარიელ აღუქსანდრეს ძე კვაშალი — იუსტიციის მრჩეველი, საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი;

გიორგი ბუღიას ძე ხაბულიანი — იუსტიციის უმცროსი მრჩეველი, საქართველოს სსრ პროკურატურის განსაკუთრებით პნიშენლოვან საქმეთა გამომიებელი;

შალვა მიხეილის ძე ხახანაშვილი — იუსტიციის უფროსი მრჩეველი, საქართველოს სსრ პროკურატურის სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვისადმი ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი.

II. საჩუქრებით დაჯილდოვდნენ

ანზორ კონსტანტინეს ძე ბალუაშვილი — იუსტიციის უფროსი მრჩეველი, ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის პროკურორის მოადგილე;

კონდრატე დავითის ძე ჭენია — I კლასის იურისტი, აფხაზეთის ასსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი;

ობრაგიმ დამდამეთ-ოღლი ისქიანდაროვი — II კლასის იურისტი, დმანისის რაიონის პროკურატურის გამომიებელი;

არონ მიხეილის ძე პუხაევი — იუსტიციის უმცროსი მრჩეველი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურატურის უფროსი გამომიებელი;

ბორის ლევის ძე ტრაბტენბერგი — I კლა-

სის იურისტი, საქართველოს სსრ პროკურატურის არასრულწლოვანთა საქმეების განყოფილების პროკურორი;

ნოდარ ბიძინას ძე ჩხვიმიანი — III კლასის იურისტი, ლენტეხის რაიონის პროკურატურის გამომიებელი;

III. მიეცათ ფულადი პრემია 75 მანეთის ოდენობით:

ლიდა ივანეს ასულ ზარუბინას — იუსტიციის მრჩეველს, საქართველოს სსრ პროკურატურის კადრების განყოფილების პროკურორს;

რაჟდენ ვახილის ძე იმნაძეს — იუსტიციის მრჩეველს, საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორს;

ნურო ილიას ძე კოკუაშვილს — იუსტიციის უმცროს მრჩეველს, საქართველოს სსრ პროკურატურის სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვისადმი ზედამხედველობის განყოფილების პროკურორს;

ლილა ივანეს ასულ შეწირულს — III კლასის იურისტს, ქ. ბათუმის პროკურატურის უფროსი გამომიებელს.

IV. გამოცხადდა მადლობა

ჭემალ მიხეილის ძე გვაგვალიას — უმცროს იურისტს, აფხაზეთის ასსრ ვალის რაიონის პროკურორის თანამეწევეს;

გელა გიორგის ძე დვალძეს — II კლასის იურისტს, ქ. თბილისის საქარხნო რაიონის პროკურატურის გამომიებელს;

ლავრტ ირაკლის ძე დულაშვილს — იუსტიციის უმცროს მრჩეველს, გურჯაანის რაიონის პროკურორს;

ოთარ იულონის ძე სეფაშვილს — I კლასის იურისტს, სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისადმი ქ. თბილისის პროკურატურის ზედამხედველობის განყოფილების პროკურორს;

ჭემალ ილიას ძე კვაბიძეს — იუსტიციის უმცროს მრჩეველს, ქ. ფოთის პროკურორს;

ვიტალი ვარლამის ძე შიქელაძეს — I კლასის იურისტს, აჭარის ასსრ პროკურორის თანამეწევეს;

ჭემალ აღუქსის ძე მინდორაშვილს — I კლასის იურისტს, ქ. თბილისის პროკურატურის უფროსი გამომიებელს;

რობერტს ტიხონის ძე შამრაის — III კლასის იურისტს, ქ. სოხუმის პროკურატურის უფროსი გამომიებელს.

ქვეყნის

თათბირი საქართველოს კომპარტიის მხარეაღმართ კომიტეტში

1979 წლის 12 იანვარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა ხელმძღვანელი სამეურნეო და იურიდიული სამსახურის მუშაკთა თათბირი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ პარტიის ზოგიერთი რაიკომების მდივნები, სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, პარტიის საოლქო და საქალაქო კომიტეტების აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილებათა გამგეები. პროკურატურის ორგანოების და სახელმწიფო არბიტრაჟის თანამშრომლები.

თათბირზე განიხილეს „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის საწარმოებში სამართლებრივი სამსახურის როლის ასამაღლებლად ირკუტსკის ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 5 აპრილის დადგენილების შესაბამისად სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხი.

მომხსენებელი ვაიკეთა საქართველომ სსრ იუსტიციის მინისტრმა ა. შუშანაშვილმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სკკპ XXV ყრილობის მითითებათა შესასრულებლად უკანასკნელ ხანს განხორციელდა ღონისძიებანი სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი საქმიანობის დონის ასამაღლებლად. სამინისტროებში, უწყებებში, საწარმოებში, ორგანიზაციებში და დაწესებულებებში სულ უფრო ფართოდ იყენებენ სამართლებრივ საშუალებებს საგვგამო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის, სოციალისტური საკუთრების ხელყოფის აღკვეთისათვის, აგრეთვე სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტების გადაჭრით აღმოფხვრისათვის, საწარმოთა, ორგანიზაციათა და მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის.

დღეისათვის სახალხო მეურნეობაში 1200-ზე მეტი იურისტი მუშაობს. ეს საკმაოდ დიდი ძალაა. მათი საქმიანობის გააქტიურების მეოხებით სამინისტროებსა და ორგანიზაციებში განმტკიცდა სოციალისტური კანონიერება, გაუმჯობესდა საწარმოთა ეკონომიკური მაჩვენებლები. სამართლებრივი საშუალებები უფრო ეფექტიანად არის გამოყენებული სო-

ციალისტური საკუთრების დაცვის, პროდუქტის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლაში.

ამასთან ერთად თათბირზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ სამინისტროებსა და უწყებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში იურიდიული სამსახურის და ორგანიზაციებში შეესაბამება მოთხოვნებს, რომლებსაც შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება ირკუტსკის ოლქის შესახებ.

კულტურის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების, მედიკოსების და წყალთა მეურნეობის სამინისტროებში, აგრეთვე მთელ რიგ სახელმწიფო კომიტეტებში და სხვა უწყებებში დღემდე არ არის შექმნილი იურიდიული განყოფილებები. ამის მიზეზია ის არის, რომ ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი ჯეროვნად არ აფასებს იურიდიული სამსახურის როლსა და მნიშვნელობას, არ ასრულებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 16 მარტის № 149 დადგენილებას „სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“.

კამათი გამოიწვიოდა ამხანაგებმა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფ. ნ. წერეთელმა, რუსთაისი მეტალურგიული ქარხნის იურიდიული განყოფილების უფროსმა ა. დაუთაშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრის მოადგილემ ნ. ნასარიძემ, პარტიის მცხეთის რაიკომის მდივანმა ა. ანთაძემ, საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსის მოადგილემ ს. სამაშვილმა, საქართველოს სსრ პროფსაბჭოს სამართლებრივი ინსპექციის უფროსმა ვ. ბახტაძემ და თბილისის საგალანტერიო-სატრიკოტაჟო გაერთიანების იურისკონსულტმა გ. იმერლიშვილმა ილაპარაკეს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესების გზებზე და მეთოდებზე.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგემ გ. ვევეტაძემ. თათბირმა შეიმუშავა და მიიღო რეკომენდაციები სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი, რომელსაც თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. კარანაძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორი თ. ნინიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგე პ. ბერძენიშვილი, საქართველოს აღვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. როინიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრები.

მოხსენება — „საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის გამოყენების ზოგიერთი საკითხის შესახებ“ გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე გ. დევედარიანი.

მომხსენებელმა პლენუმის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა რესპუბლიკის სასამართლოების მიერ საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკაზე და მოიყვანა კონკრეტული მაგალითები შესწავლილ მასალებიდან. ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს, თქვა მომხსენებელმა, სასამართლოები ძირითადად სწორად იყენებენ შესაბამის მთქმელ კანონმდებლობასა და სსრ

კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1969 წლის 4 დეკემბრის № 10 დადგენილებას, რომელშიც ზოგიერთი ცვლილება შეიტანა საქვეშინო პლენუმის 1973 წლის 12 იანვრის № 3 დადგენილებამ. მაგრამ საქმეთა განხილვის დროს ხშირად წამოიჭრება ხოლმე ისეთი სადავო საკითხები, რომელთა გადაწყვეტა სხვადასხვა ხასიათის სირთულესთან არის დაკავშირებული.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობდნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ჩორგოლაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრები შ. ჩიკვაშვილი და ნ. წერეთელი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები ა. ლულუნიშვილი და გ. ცირამუა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მსაჯული ლ. ჭეიჩანაშვილი, საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე ვ. შარაშენიძე, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ა. შუშანაშვილი.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე პროტესტები სისხლის სამართლის კონკრეტულ საქმეთა გამო.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ პროკურორი ა. ბარაბაძე.


აკვეალტო საპროკურორო ვაღმანაშვილი გიორგი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

1979 წლის 24 იანვარს გაიმართა საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელზეც განიხილეს საქართველოს სსრ პროკურატურის 1978 წლის მუშაობის შედეგები და პროკურატურის ორგანოების ამოცანები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XV პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით.

კოლეგიას დაესწრნენ: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე გ. გვეტაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივნი ნ. ენდელაძე, საქართველოს სსრ შინაგან საქმე-

თა მინისტრი კ. კეთილაძე, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ა. შუშანაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. კარანაძე, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურორი ბ. გორდევი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარე პ. ტალანოვი.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ პროკურორმა ა. ბარაბაძემ. მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს პროკურორებმა: კ. ვარდაიამ (აფხაზეთის ასსრ), გ. ბორჩხაძემ (აჭარის ასსრ), თ. გათიკოვემა, (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი),



ვ. რაზმაძემ (ქ. თბილისი); საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომცემო სამმართველოს უფროსმა რ. ყიფიანმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა მ. ლეკვიციანი, საქართველოს სსრ პროკურატურის პარტიული კომიტეტის მდივანმა ხ. მაჭავარიანმა, პროკურორებმა გ. ძაგანიამ (ქ. რუსთავი), ა. ბაქრაძემ (მცხეთა). კოლეგიის სხდომაზე გამოვლენენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. კოლბინი და სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილე ვ. ნაიდინოვი.

მომხსენებელმა და გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოებმა 1978 წელს განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი კანონრების დაცვისადმი ზედამხედველობის ამაღლებისა და დამნაშავეთაისთან ბრძოლის გაძლიერებისათვის. ამას ხელი შეუწყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის გადაწყვეტილებებმა, აგრეთვე პარტიული კომიტეტის საგანგებო ყურადღებამ რესპუბლიკაში სოციალისტური კანონირების განმტკიცების საკითხებისადმი. მაგრამ ყოველივე ეს არ აღმოჩნდა საკმარისი. კოლეგიაზე ითქვა, რომ საქართველოს სსრ პროკურატურის საქმიანობაში ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ნაკლია. ცუდად სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის მოთხოვნები რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებში საქმიანობის მკვეთრი გაუმჯობესების შესახებ. ბევრი ქალაქისა და რაიონის პროკურორი არ აანალიზებს დამნაშავეთაის მდგომარეობას, არ სწავლობს და არ განაზოგადებს დანაშაულის ჩადენის ხელშეწყობ მთხვეებსა და პირობებს, ნაკლებად ზრუნავს, რათა გაუმჯობესდეს პროფილაქტიკური მუშაობა ცალკეულ საწარმოში, მშენებლობაზე, მეურნეობაში, კოლმეურნეობაში. ბრძოლა ოპერატიული ვითარების გასაჭარსადღებლად ყოველთვის არ არის მიხანდასახული.

რესპუბლიკის პროკურატურის აპარატი სთანადო ზეგავლენას ვერ ახდენს, რათა დაქვემდებარებულმა პროკურატურებმა ეფექტიანად მოაწყონ მუშაობა. კადრების მნიშვნელოვანი განახლების პირობებში აშკარად საკმარისი ყურადღება არ ექცევა საპროკურორო ზედამხედველობის ძირითადი მიმართულებების მიხედვით მუშაკებისათვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენას. შესუსტებულია ოპერატიული კონტროლი მეტი წილი დაქვემდებარებული პროკურატურებისადმი,

ორგანიზატორული მუშაობის ნაკლებად სწორად აღვილებზე გზავნიან უამრავ დავალებას, მოითხოვენ მოხსენებებს, ცნობებსა და სხვა ინფორმაციებს.

რესპუბლიკის პროკურატურამ ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყო დამნაშავეობის წინააღმდეგ სამართალდაცვითი ორგანოების ერთანმებული მოქმედება, ღონისძიებთა ერთობლივი დაგეგვა და განხორციელება. სერიოზული ნაკლოვანებებია საკოორდინაციო სამუშაოს საქმიანობაში.


ამ სერიოზულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს მოჰყვა ის, რომ რესპუბლიკაში დამნაშავეობა არ მცირდება. მისი დონე ჯერ კიდევ მაღალია. დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა არ არის ამ მხრივ აფხაზეთის ასს, აჭარის ასს რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქ. თბილისსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

ყოველ მეოთხე-მეხუთე დანაშაულს სჩადის ის, ვინც ანტისაზოგადობრივ, პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა. მაღალია დანაშაულის რეციდივი. ეფექტიანი არის ღონისძიებანი, რომლებიც მათი თავიდან აცილებისათვის ხორციელდება.

აფხაზეთის ასს, აჭარის ასს რესპუბლიკებში, ბევრი ქალაქსა და რაიონში ჩადენილი დანაშაული, მათ შორის მძიმეც, გაუხსნელი რჩება. ეს იმის ბრალია, რომ ჩადენილი დანაშაულების თაობაზე განცხადებებისა და შეტობინებების განხილვისა და გადაწყვეტის დროს ირღვევა კანონირება. დაბალია გამოძიების ხარისხი. გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოები შეთანხმებულად ვერ მოქმედებენ. სუსტია მათ მიმართ საპროკურორო ზედამხედველობა, ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი დანაშულის დაფარვის ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკა.

არ უმჯობესდება საგამომცემო მუშაობის მაჩვენებლები. ბევრი დანაშაული გამოძიებულია დაგვიანებით და არასრულყოფილად, დარღვეულია კანონი სამართალში მიცემულ პირთა საპატიმრო ვადების შესახებ. არის მუქალაქეთა უსაფუძვლო დაკავების, დაპატიმრებისა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შემთხვევები.

პროკურორები კანონის დარღვევის გამოვლენისას ყოველთვის არ ახდენენ მწვავე რეაგირებას. რესპუბლიკის პროკურატურის საგამომცემო სამმართველო სათანადო ზეგავლენას ვერ ახდენს ადგილებზე საგამომცემო აპარატის საქმიანობის გაუმჯობესებაზე, სრულყოფილად ვერ ეხმარება მათ რთულ სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებაში.



სუსტად ხორციელდება საპროკურორორ ზედამხედველობა შინაგან საქმეთა ორგანოებში. გამოძიებისა და მოკვლევისადმი ხშირად პროკურორები პრინციპულად არ აყენებენ კანონიერების დარღვევისათვის ამ ორგანოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხს.

შეფოთებას იწვევს დამნაშავეობა არასრულწლოვანთა შორის. ყოველი მეოთხე არასრულწლოვანი მსჯავრდებული არ მუშაობდა ან არ სწავლობდა. ბევრი დანაშაული მათ ჩაიდინეს ჯგუფურად და მთვარალებში. არ სრულდება კანონის მოთხოვნები იმ პირთა მიმართ, რომლებმაც მოზარდები დანაშაულებრივ საქმიანობასა და ლოთობაში ჩაითრევს.

კანონიერების დარღვევასთან ბრძოლა ყოველთვის არ არის შეტევიით ხასიათისა. საერთო საპროკურორორ ზედამხედველობა ხშირად ხორციელდება კანონიერების მდგომარეობის გათვალისწინებლად. სითანადო ყურადღება არ ექცევა დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მოწვევებისა და პირობების გამოვლენას, კონკრეტული დამნაშავე პირების დადგენას. მოქმედი კანონმდებლობის პროპაგანდისათვის საკმარისად ვერ აყენებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს.

რესპუბლიკის პროკურატურა სუსტად აკონტროლებს დაქვემდებარებულ პროკურატურებს. ამით აიხსნება, რომ მთელ რიგ საქარბოებში, ორგანიზაციებში, კოლმეურნოებებსა და საბჭოთა მეურნეობებში სითანადო ყურადღება არ ექცევა სოციალისტური საკუთრების დაცვას, ბრძოლას უყაირათობის, სახელმწიფო ანგარიშებში წანამატების, უხარისხო პროდუქციის გამოშვების წინააღმდეგ. ირღვევა ხოლმე შრომის კანონმდებლობა, კერძოდ, ვხდებით სამუშაოდან მშრომელთა უკანონო დათხოვნის ფაქტებს.

სითანადო დონეზე ვერ დგას საპროკურორორ ზედამხედველობა სასამართლოებში სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების განხილვისადმი. ბევრი პროკურორი დროულად, საკასაციო ვადებში არ აპრეტენსტებს სასამართლოს უკანონო და უსაფუძვლო განაჩენებს, რის შედეგადაც სასამართლოს შეცდომები ხშირად სწორდება მსჯავრდებულთა საჩივრებით ან საზედამხედველო წესით. რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელები იშვიათად გამოდიან სასამართლოებში სახელმწიფო ბრალმდებლებად.

საგანგებო ყურადღება არ ექცევა სახელმწიფო ქონების გატაცების საქმეთა გამო

ზარალის ანაზღაურებას. სუსტად იყენებენ სამოქალაქო-სამართლებრივ საშუალებებს იმ მატერიალური ზარალის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად, რომელიც სახელმწიფომ განიცადა უყაირათობის, სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის შედეგად. ამით აიხსნება, რომ 1978 წელს რეალურად ანაზღაურებელი იყო გატაცებითა და გაფლანგვით მიყენებული ზარალის მხოლოდ 20 პროცენტი.

არსებითი შეცდომები მოსდით ხოლმე მოქალაქეთა საჩივრებსა და განცხადებებში დაყენებულ საკითხთა გადაწყვეტის დროს, რაც იწვევს მოქალაქეთა განმეორების საჩივრებს. არღვევა საჩივართა განხილვის ვადები.

ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ნაკლოვანებები კადრების შერჩევის, გადანიშნულებისა და აღზრდის დარგში. არის სასახურებრივი დისციპლინის დარღვევის, ამორალური საქციელის შემთხვევები. ცალკეული მუშაკები არღვევენ კანონიერებას და ბოროტ მოქმედებასაც კი ჩადიან. არ არის მიღებული საჭირო ზომები პროკურორთა და გამოძიებელთა პროფესიული ოსტატობის ასაძაღვლებლად. პროკურატურის ორგანოების დაკომპლექტების დროს ყოველთვის არ ითვალისწინებენ ძველი და ახალი კადრების გამოცდილების შეგნამების აუცილებლობას.

პროკურატურის ორგანოებში არსებული სეროიზული ნაკლოვანებები მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ ხარვეზებია მუშაობის ორგანიზაციაში, დაგვევაში, შესრულების შემოწმებასა და კონტროლის განხორციელებაში. რესპუბლიკის პროკურატურის, აფხაზეთის ასს, აჭარის ასს რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურატურების მიერ დასახული ბევრი ღონისძიების შესრულება ხშირად არ არის განმტკიცებული საჭირო ორგანიზატორული მუშაობით. სუსტია მათი ვავლენა ადგილებზე საქმის მდგომარეობისადმი. რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილებების მუშაობაში ყოველთვის არ არის უზრუნველყოფილი სითანადო შეთანხმებულობა, ორგანიზებულობა. დაქვემდებარებული პროკურატურებში შემოწმების ხარისხი ხშირად დაბალია. აპარატის საქმიანობაში არ არის აღმოფხვრილი ფორმალისმიის ელემენტები.

კოლეგიამ მიიღო ვრცელი დადგენილება, რომელშიც დასახულია დამნაშავეობასა და კანონიერების დარღვევასთან ბრძოლის ვადიერების კონკრეტული ღონისძიებები.



იუსტიციის დაწესებულებებისა და სასამართლო ორგანოების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

1978 წლის 15 მარტს, ქ. თბილისში, ძეგრიანის სახელობის კულტურის სახლის სხდომათა დარბაზში, გაიმართა საქართველოს სსრ იუსტიციის დაწესებულებებისა და სასამართლო ორგანოების მუშაკთა აქტივის რესპუბლიკური თათბირი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ: სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრი ვ. ტერეხილოვი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ვილაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. კოლბინი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე გ. გვებაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი კ. კეთილაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს, მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები.

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ა. შუშანაშვილმა თავის მოხსენებაში პრინციპული პარტიული პოზიციებიდან შეაფასა სასამართლო ორგანოებისა და იუსტიციის დაწესებულებათა მუშაობა, აღნიშნა, თუ რა ხარვეზები და ნაკლოვანებები აქვთ მათ საქმინობაში, რა არის მათი მიზეზები, დასასრულს კი ჩამოაყალიბა ამოცანები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად იუსტიციის სამინისტროს, ადგილებზე მისი ორგანოების ყველა რგოლის საქმიანობის გაუმჯობესებას.

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სამართალდამცველი ორგანოების გამართულ მუშაობას, თქვა მან, არამედ მოქმედი კანონმდებლობის სისტემატიზაციას, სამართლებრივი ინფორმაციის მეცნიერულ დონეზე დაყენებას.

1979 წლის დამდევისათვის ძირითადად დამთავრდა საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულების 38 ტომის დასაბეჭდავად მომზადება. ამავე პერიოდში გამოიცა კრებული საკანონმდებლო აქტებისა, რომლებიც ეხება ქალთა უფლებებს, გამოსაცემად მზად არის კრებული „არასრულწლოვანი და კანონი“, გაწეულია მეტად რთული შრომატევადი და პასუხსაგები მუშაობა. სამართლის სხვადასხვა დარგიდან ამოკრფილია ნორმატიული მასალა, ივი წესრიგში მოყვანილია

და სისტემატიზებული. ეს, ცოდნისა და მონდომების გარდა, დიდ შრომასაც მოითხოვდა.

სამუშეობაროდ, მათი დროული გამოცემა არ ხერხდება. ჩვენ, აღნიშნა მომხსენებელმა, ძალიან გვაკვირვებს პოზიცია საქართველოს მინისტრთა საბჭოს გამსახკომისა, რომელსაც დავალებული აქვს კრებულების გამოცემა. მან ამ წლის ბოლომდე უნდა დაამთავროს 38 ტომის გამოცემა, რაც ალბათ ვერ მოხერხდება, ვინაიდან უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მხოლოდ 5 ტომია გამოსული. ეს სამუშაო თუ ასეთი ტემპით გაგრძელდა, ალბათ 10 წლის შემდეგ თუ დამთავრდება. ეს კი ნიშნავს, რომ კანონთა კორპუსის მომზადება, რაც მომავალ წელს უნდა დაიწყოს, ჩავარდნის საშიშროების წინაშე დგება, რასაც არავინ არ გვაპატიებს, რადგან კანონთა კორპუსის გამოცემა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებით არის გათვალისწინებული.

ა. შუშანაშვილი დაწვრილებით შეეხო სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობის საკითხებს. თქვა, რომ ბევრი სასამართლო ჯერ კიდევ არ უთმობს სათანადო ყურადღებას საქმეების კანონით დაწესებულ ვადებში განხილვას, კერძო განჩინებათა გამოტანას, სასამართლო პრაქტიკის განზოგადებას, სწორი დასჯითი პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას.

განსაკუთრებით ზერელედ განიხილავნ სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს, რის გამოც ბევრი გადაწყვეტილება საკასაციო ინსტანციაში უქმდება. დასასრულ მომხსენებელმა გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოს სსრ იუსტიციის დაწესებულებები და სასამართლო ორგანოები წარმატებით გაართმევენ თავს დაკისრებულ რთულ და საპატიო ამოცანებს.

თათბირზე თანამოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. ედიშერაშვილმა. მან აღნიშნა, რომ რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების მაჩვენებელი უკანასკნელ ხანს გაუმჯობესდა, მაგრამ მიღწეული არ არის მთელი საქმიანობის თვისებრივი გარდაქმნა. სასამართლოების მიერ განხორციელებულ დამნაშავეობის პროფილაქტიკის ღონისძიებებში ჯერ კიდევ ბევრია ფორმალისმი. ზოგჯერ სასამართლოები მთელი პასუხისმგებლობით არ ეცილებიან პირის დამნაშავედ ცნობის საკითხს.

ამის შემდეგ ვ. ედიშერაშვილმა წამოაყენა

წინადადება, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს სასამართლოების საქმიანობის მკვეთრად გაუმჯობესება და აღუთქვა თათბირის მონაწილეებს, რომ საქართველოს მართლმსაჯულების ორგანოები ყოველ ღონეს იხმარენ დაკისრებული მივალეობის წარმატებით შესრულებისათვის.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ მ. არღუნმა აღნიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს მუშაობის კრიტიკა სამართლიანია და აქედან უკვე გამოტანილიც არის ჯეროვანი დასკვნები. ახლა აფხაზეთში, ისე როგორც მთელ საქართველოში, კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის ერთიანი ფრონტა შექმნილი, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. მან მოიყვანა კონკრეტული მონაცემები ავტონომიურ რესპუბლიკაში მცდარი დასჯითი პოლიტიკის, საქმეთა განხილვის გაჭინურების ფაქტები, თქვა, რომ პროფილაქტიკურ მუშაობას არ ექცევა სათანადო ყურადღება. მ. არღუნმა ილაპარაკა ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებების და მათი გამოსწორების შესახებ. აღუთქვა აქტივს, რომ აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს მუშაეები ძალას არ დაზოგვენ სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

სამსრუტო ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის იუსტიციის განყოფილების უფროსმა ხ. გაგლოევმა გააანალიზა განყოფილების მუშაობა. მან დიდი ყურადღება დაუთმო სასამართლოებისადმი ორგანიზაციული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ამოცანებს. მოიყვანა ავტონომიური ოლქის სასამართლოების მუშაობის კონკრეტული მონაცემები. ხ. გაგლოევმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანს უმჯობესდება სანოტარო კანტორების, იურიდიული კონსულტაციებისა და საქესპერტო დაწესებულებების საქმიანობაც. მაგრამ ბევრი არსებითი ნაკლოვანება ჯერ კიდევ არ არის დაძლეული, სერიოზული სიძნელეებია სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში. კიანურდება სასამართლოსათვის განკუთვნილ ნაგებობათა მშენებლობა. ჯერ კიდევ გადაუჭრელია ჩვენ მიერ არაერთგზის დასმული საკითხი თარჯიმნებისა და არქივარიუსების შტატების გამოყოფის შესახებ. ორატორმა ყურადღება გაამახვილა სახალხო მეურნეობის იურიდიული სამსახურის, სამართლებრივი პროზაგანდის, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საკითხებზე, მოიყვანა კონკრეტული მასა-

ლები, რომლებიც ცხადყოფს, რომ ამ უბანზე მუშაობა არსებითად გაუმჯობესდა.

ქ. თბილისის საქალაქო სასამართლო, თქვა, ამ სასამართლოს თავმჯდომარემ შ. მახარაძემ, იმ დროს შეიქმნა, როცა რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაიწყო კლიმატის აშკარა გაჯანსაღება. ამაში თავისი წვლილი შეაქვს ქალაქის სასამართლოსაც. შ. მახარაძემ თათბირის წინაშე დააყენა მთელი რიგი პრინციპული საკითხები, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს. სახელდობრ, მოუგვარებელია პატიმართა საზადრაგო სამსახურის საქმე, რაც იწვევს საქმეთა განხილვის ვაჭიანურებას. სერიოზულ შემფოთებას იწვევს საქმეთა ზიირი შეცვლა და გაუქმება. საწარმოებსა და დაწესებულებებში უხეშად იწვევა შრომის კანონმდებლობა და მათ წინააღმდეგ მარტორდენ სასამართლოების გადაწყვეტილებებით ბრძოლა სათანადო შედეგს ვერ მოიტანს.


ქ. თბილისის საქარზნო რაიონის ადვოკატმა გ. სუსარევმა თათბირის მონაწილეებს გააცნო ადვოკატთა წინაშე დასახული ამოცანები და მათი აღმოფხვრის გზები.

ქ. თბილისის მეორე სანოტარო კანტორის სახელმწიფო ნოტარიუსმა ლ. შალამბერიძემ აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანს გაუმჯობესდა სახელმწიფო ნოტარიუსებისადმი ორგანიზაციული და მეთოდოკური ხელმძღვანელობა. სა-ნოტარო კანტორები უფრო კეთილმოწყობილია, მაგრამ მათი საქმიანობა მაინც არ შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს. იუსტიციის სამინისტროს, თქვა მან, დამატებითი ღონისძიებები დასჭირდება სახელმწიფო ნოტარიუსისა და მდივნის მორალური წახალისებისათვის, სახელმწიფო ნოტარიუსებისათვის ნორმალური სამუშაო პირობების შექმნისათვის, კრებულის „ნოტარიატის შესახებ“ გამო-საცემად, შტატების მოსაწესრიგებლად.

ქ. რუსთავის სასამართლოს თავმჯდომარემ თ. ყაჭიიშვილმა აღნიშნა, თუ რა სიძნელეებს აწყდებიან მუშაობაში და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ დაძლიონ ისინი. შემდეგ იგი შეეხო მოქმედ კანონმდებლობის სისტემატიზაციის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის ფართო ჩაბმის აუცილებლობას, აღმსრულებლებთან მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს.

კამათში მონაწილეობდა აგრეთვე საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე ვ. იოსელიანი.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრმა გ. ტრებლოვმა. თათბირმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.



სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციისადმი მიკვნილი იურიდიული სრულიად საკავშირო კონფერენცია

1978 წლის 3-6 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართა იურისტთა სრულიად საკავშირო კონფერენცია, რომელიც სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების პირველ წლისთვის მიეძღვნა. კონფერენციის ძირითადი თემა იყო „საბჭოთა იურიდიული მეცნიერების შემდგომი განვითარების ამოცანები სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ახალი კონსტიტუციების შესაბამისად“.

უადრესად წარმომადგენლობითი ეს ფორუმი, რომლის საქმიანობაში მონაწილეობდა 1000-ზე მეტი სწავლული თუ პრაქტიკოსი იურისტი, შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, ფილოსოფიისა და სამართლის განყოფილების გამგემ, აკადემიკოსმა **ო. ფედოსეევმა**. პირველსავე დღეს პლენარულ სხდომაზე მოისმინეს შემდეგი მოხსენებანი: „სსრ კავშირის კონსტიტუცია და საბჭოთა საერთო-სახალხო სახელმწიფოს განვითარების კანონზომიერებანი“ (მომხსენებელი — პოლიტიკურ მეცნიერებათა საბჭოთა ასოციაციის თავმჯდომარე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი **გ. შახნაზაროვი**); „სსრ კავშირის კონსტიტუცია და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საკითხები“ (მომხსენებელი — სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე, იუსტიციის პირველი კლასის სახელმწიფო მრჩეველი **ა. რეკნუოვი**); „სსრ კავშირის კონსტიტუცია და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა“ (მომხსენებელი — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი, არმიის გენერალი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი **ნ. შჩოლოკოვი**); „იურიდიული განათლებისა და იურიდიული უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერული საქმიანობის განვითარება ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიხედვით“ (მომხსენებელი — სსრ კავშირის უმაღლესი და სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილე პროფ. **ე. ეგოროვი**); „სსრ კავშირის კონსტიტუცია: კანონმდებლობისა და მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის სრულყოფის ზოგიერთი პრობლემა“ (მომხსენებელი — სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **ა. სუხარევი**); „სსრ კავშირის კონსტიტუცია და საბჭოთა იურიდიული მეცნიერების განვითარება“ (მომხსენებელი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ვ. კულრაიციევი**); „განვითარებული სოციალისტური საზოგადოების სამართალი და მისი სისტემა“ (მომხსენებელი — სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სერდლოვსკის იურიდიული ინსტიტუტის სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კათედრის გამგე პროფ. **ს. ალექსეევი**).

პლენარული სხდომის შემდეგ კონფერენციამ მუშაობა განაგრძო ათ სექციაში, რომლებიც დარგობრივი ან პრობლემური პრინციპით იყო გამოყოფილი. სექციების მუშაობაში მონაწილეობდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი დოც. **მ. ლეკვეიშვილი**, პროფესორები **გ. ინჭიკაშვილი**, **დ. ალექსიძე**, **ა. ფალიაშვილი** და **ლ. ჯომარჯიძე**; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი თ. შავგულიძე, დოც. **მ. უგრეხელიძე**.

იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა, დოც. **მ. ლეკვეიშვილმა** მოხსენება წაიკითხა თემაზე — „სსრ კავშირის კონსტიტუცია და იურიდიულ დისციპლინათა სწავლების ზოგიერთი საკითხი უმაღლესი სასწავლებლებში“. მოისმინეს დოც. **მ. უგრეხელიძის** მოხსენება — „საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიხედვით“.

დასკვნით პლენარულ სხდომაზე მოისმინეს სექციების მუშაობის ანგარიში და შეიმუშავეს რეკომენდაციების ვრცელი ნუსხა.

კონფერენციამ არა მარტო შეაჯამა საბჭოთა იურისტების მუშაობის კონსტიტუციამდელი პერიოდის უმნიშვნელოვანესი შედეგები, არამედ ახალი მნიშვნელოვანი მიჯნები დასაბნა საბჭოთა იურიდიული მეცნიერების, სამართალმეცნიერების, სამართლის შეფარდება-გამოყენებისა და სამართლებრივი აღზრდის შემდგომი რუკის მიმართულებით.

კონფერენციის მთელი მასალა ვათვალისწინებულა გამოიცეს ოთხ ტომად.

რების განვითარება“ (მომხსენებელი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ვ. კულრაიციევი**); „განვითარებული სოციალისტური საზოგადოების სამართალი და მისი სისტემა“ (მომხსენებელი — სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სერდლოვსკის იურიდიული ინსტიტუტის სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კათედრის გამგე პროფ. **ს. ალექსეევი**).

პლენარული სხდომის შემდეგ კონფერენციამ მუშაობა განაგრძო ათ სექციაში, რომლებიც დარგობრივი ან პრობლემური პრინციპით იყო გამოყოფილი. სექციების მუშაობაში მონაწილეობდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი დოც. **მ. ლეკვეიშვილი**, პროფესორები **გ. ინჭიკაშვილი**, **დ. ალექსიძე**, **ა. ფალიაშვილი** და **ლ. ჯომარჯიძე**; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი თ. შავგულიძე, დოც. **მ. უგრეხელიძე**.

იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა, დოც. **მ. ლეკვეიშვილმა** მოხსენება წაიკითხა თემაზე — „სსრ კავშირის კონსტიტუცია და იურიდიულ დისციპლინათა სწავლების ზოგიერთი საკითხი უმაღლესი სასწავლებლებში“. მოისმინეს დოც. **მ. უგრეხელიძის** მოხსენება — „საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიხედვით“.

დასკვნით პლენარულ სხდომაზე მოისმინეს სექციების მუშაობის ანგარიში და შეიმუშავეს რეკომენდაციების ვრცელი ნუსხა.

კონფერენციამ არა მარტო შეაჯამა საბჭოთა იურისტების მუშაობის კონსტიტუციამდელი პერიოდის უმნიშვნელოვანესი შედეგები, არამედ ახალი მნიშვნელოვანი მიჯნები დასაბნა საბჭოთა იურიდიული მეცნიერების, სამართალმეცნიერების, სამართლის შეფარდება-გამოყენებისა და სამართლებრივი აღზრდის შემდგომი რუკის მიმართულებით.

კონფერენციის მთელი მასალა ვათვალისწინებულა გამოიცეს ოთხ ტომად.

სასჯავლ-მეთოდოლოგიური სემინარი

ქ. მოსკოვში, პროკურატურის ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ასააღლებელ ინსტიტუტში სსრ კავშირის პროკურატურამ მოაწყო რესპუბლიკის პროკურორების უფროსი თანამშრომლების ადგილიანი სასწავლო-მეთოდოლოგიური სემინარი.

სემინარი გახსნა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილემ, იუსტიციის პირველი კლასის სახელმწიფო მრჩეველმა ვ. ნაიდიონოვმა, რომელმაც გააკეთა მოხსენება „სტატისტიკა პროკურატურის ორგანოების მართვისა და მუშაობის სწორი ორგანიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა“.

სსრ კავშირის პროკურატურის სტატისტიკის განყოფილების უფროსის ხ. ტურინის გამოსვლის თემა იყო „პროკურატურის ორგანოებში სტატისტიკური საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები“.

საპროკურორო და საგამოძიებო მუშაობაში სისხლისსამართლებრივი სტატისტიკის ეფექტიანი გამოყენების საკითხებზე საინტე-

რესო მოხსენებები წაიკითხეს სსრ კავშირის პროკურატურის განყოფილებათა უფროსებმა ი. ჩერმენსკიმ, ვ. შუკოვმა. პროფესორებმა ვ. ოსიენკომ, ვ. შეპილოვმა და სხვ.

სემინარზე მოხსენება თემაზე: „დანაშაულობათა აღრიცხვისა და გახსნის სისრულის შემოწმების მეთოდოლოგია (საქართველოს პროკურატურის გამოცდილების მიხედვით)“ გააკეთა საქართველოს სსრ პროკურატურის სტატისტიკის განყოფილების უფროსმა კ. ნარმაიამ.

სემინარზე დადებითად შეფასდა საქართველოს სსრ პროკურატურის სტატისტიკის განყოფილების მუშაობა.

პროკურატურის ორგანოებში ობერატიული აღრიცხვიანობის, სისხლისსამართლებრივი სტატისტიკის, ანალიზური საქმიანობის აქტიუალური საკითხებზე სულ მოხმინეს 40-ზე მეტი მოხსენება და ინფორმაცია.

ვ. ხახუაზვილი

მკითხველები გვიჩვენენ, გვთავაზობენ

შურნალ „საგმომთა სამართლის“ მკითხველთა კონფერენციის ანგარიში

ახალი, კომუნიზმის მშენებელი ადამიანის აღზრდა, ჯანსაღი მორალურ-პოლიტიკური კლიმატის შექმნა მუდამ იყო და არის კომუნისტური პარტიის ყურადღების საგანი. მისთვის ზრუნვა ყველა პარტიული და სახელმწიფო ორგანოს ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა.

ამ მხრივ, ბოლო წლებში, განსაკუთრებით დიდი მუშაობა გასწია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომლის ღონისძიებებმა ძირითადად უზრუნველყო პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება, თვითდამშვიდების მაიმებლობის და დაუსჯელობის აღმოსფეროს ლიკვიდაცია, თუმცა მიღწეული საკმარისი არ არის და ერთი წუთითაც არ შეიძლება გვეუფლებოდეს თვითკმაყოფილების გრძნობა. კვლავაც საჭიროა შეუენელებელი ბრძოლა, როგორც ქვეყნის ეკონომიური პოტენციალის ზრდისათვის, ისე სულიერი სამყაროს სიჯანსაღისათვის, წარსულის ყოველგვარ მიხინჯ

გამოვლინებათაგან ადამიანის შეგნების სრული განთავისუფლებისათვის.

სოციალისტური საზოგადოებაში შეუწყნარებელია სოციალისტური მორალის ნორმებისაგან რაიმე გადახვევა. საბჭოთა ადამიანებს არაფერი არ უნდა უშლიდეს ხელს ცხოვრებასა და მუშაობაში. იმისათვის, რომ აღმოიფხვრას მეშინაური, წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის რეციდივები, აუცილებელია ადამიანთა იდეურ-ზნეობრივი და კულტურული დონის ამაღლება. სკკ XXV ყრილობაზე სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ამბობდა: „მოძვე-ქელობა, კერძომესაკუთრული ტენდენციები, ხულიგნობა, ბიუროკრატიზმი და ადამიანისადმი გულგრილობა ეწინააღმდეგება თვითჩვენი წყობილების არსს.“ იგი მოითხოვდა, რომ ასეთი მოვლენების წინააღმდეგ მთელი სიმეკაცრით იქნეს გამოყენებული შრომითი კოლექტივების აზრი, კრიტიკული ბეჭდვითი სიტყვა, დარწმუნების მეთოდებიც და ბოლოს კანონის ძალაც.



კანონიერების განმტკიცებისათვის, სამარ-
თალდარღვევითა წინააღმდეგ ბრძოლაში აუ-
ცილებელია ადმინისტრაციული ორგანოე-
ბის სრულყოფილი, ეფექტიანი მუშაობა. ამ
საქმეში დიდი როლი ენიჭება სამართლებ-
რივი ნორმების ფართო პრობაგანდასა და
ახსნა-განმარტებას, მათი შესრულებისადმი
სისტემატურ კონტროლსა და ზედამხედვე-
ლობას.

ამიტომ გასაგებია, თუ რა დიდი ამოცა-
ნები დგას ქართულ ენაზე ერთადერთი პერი-
ოდული იურიდიული გამოცემის, ეურნალ
„საბჭოთა სამართლის“ წინაშე.

ეურნალ „საბჭოთა სამართლის“ მკითხველ-
თა კონფერენცია, რომელიც ქართული იუ-
რიდიული ეურნალის აღდგენის მე-20 წლის
თავის გამო გაიმართა, ფრიალ მნიშვნელოვანი,
დროული და საჭირო ღონისძიება იყო.

თბილისის ქალაქის სასამართლოს თავმ-
ჯდომარის მოადგილემ იურიდიულ მეცნიერე-
ბათა კანდიდატმა ავთანდილ კობახიძემ მიმოი-
ხილა ეურნალ „საბჭოთა სამართლის“ მუშა-
ობა 1976-1977 წლებში, ილაპარაკა მის დიდ
მნიშვნელობაზე სამართლებრივი აზრის გან-
ვითარებაში, გამოთქვა შენიშვნები და შემო-
იტანა წინადადებანი ეურნალის მუშაობის გა-
უმჯობესებისათვის.

„საბჭოთა სამართალი“, როგორც საქარტ-
ველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, რეს-
პუბლიკის პროკურატურისა და საქარტვე-
ლოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ორთვიური
ორგანო, თქვა მომხსენებელმა, დიდ როლს
ასრულებს რესპუბლიკაში სოციალისტური
კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკი-
ცებაში, დამწავეობისა და სამართალდარ-
ღვევითა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერე-
ბაში, მათს პროფლაქტიკასა და მიზეზების
აღმოფხვრავში. ეურნალში იბეჭდება რო-
გორც თეორიული, ისე პრაქტიკული ხასია-
თის სტატიები. იგი არა მარტო სისტემატურ-
ად აჭვეყნებს ახალ ნორმატიულ მასალას,
არამედ აქტიურად და დროულად ეხმაურე-
ბა დიდმნიშვნელოვან მოვლენებს და თარი-
ლებს. ეურნალი ვარკვეულ როლს ასრულებს
საკანონმდებლო აქტების სრულყოფაში და
განმარტება-კომენტარებში. ეურნალი სამა-
რთლის პრობაგანდის ყველაზე უფრო მასობრი-
ვი და ხელმისაწვდომი საშუალებაა და აქტი-
ურად ეხმარება ადმინისტრაციულ ორგანო-
ებს მუშაობის სრულყოფაში. ამასთანავე ეურ-
ნალი „საბჭოთა სამართალი“ ქარტველ მეც-
ნიერ იურისტთა ყველაზე უფრო რეალური
სარბიელია, სადაც არა მარტო ქვეყნდება
საჭირობოროტო საკითხებზე გამოჩენილ მეც-

ნიერთა და პრაქტიკოსთა ღრმაწინაარსიანი
სტატიები, არამედ თეორიულ მუშაობაში ებ-
მეზიან, გლინდებიან და იზრდებიან ახალვაზ-
რდა იურისტთა ნიჭიერი წარმომადგენლები.

მომხსენებელმა ილაპარაკა მუშაობაზე,
რომელიც ეურნალმა გასწია რესპუბლიკაში
სახელმწიფო და შრომის დისციპლინის გან-
მტკიცებისათვის, მავეე ტრადიციების აღ-
მოფხვრისა და ბიუროკრატისმის დაძლევი-
სათვის გაწადებულ ბრძოლაში.

ეურნალის ფურცლებზე სისტემატურად
ქვეყნდება წერილები საბჭოთა სისხლის სა-
მართლის, სამოქალაქო სამართლის, შრომის,
საერთაშორისო სამართლის, სისხლისა და სა-
მოქალაქო სამართლის პროცესის აქტიუალურ
საკითხებზე, მოსახლეობის სამართლებრივი
აღზრდისა და სამართლებრივი პრობაგანდის
პრობლემებზე; აგრეთვე სასამართლოს, პრო-
კურატურის, არბიტრაჟისა და შინაის ორგა-
ნოების საქმიანობის ამსახველი, ახლად გო-
მოცემული საკანონმდებლო აქტები და სხვა
ოფიციალური მასალები.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეურნალი
უფრო გააქტიურდა უკანასკნელი 5 წლის
მანძილზე, მას შემდეგ, რაც საქარტველოს
კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმ-
ძღვანელობამ შეურიგებელი ბრძოლა ვაჰაილა
არსებული ნეგატიური მოვლენების წინააღ-
მდეგ. ეურნალი ცდილობს დროულად გო-
მოემალუროს ამ პროცესებს და აქტიური
როლი შეასრულოს საზოგადოებრივი აქმოს-
ფერის გაჯანსაღებაში. ეურნალ „საბჭოთა
სამართლის“ მუშაობას რამდენჯერმე მისცეს
დადებითი შეფასება საკავშირო იურიდიულ-
მა გამოცემებმა“.

ღეტალურად მიმოიხილა რა ეურნალის ორი
წლის ნომრები, მომხსენებელმა გამოთქვა სა-
ეურადლებო შენიშვნები:

„რამდენადაც ეურნალი საქარტველოს სსრ
იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა
და უმაღლესი სასამართლოს ორგანოა, —
თქვა ახს. ა. კობახიძემ, — იგი უწინარეს ყოე-
ლისა მოწოდებულია ყოველწინარედ შეუწყოს
წელი ამ ორგანოებს პარტიის მიერ დასახულ
ამოცანათა შესრულებაში. სამწუხაროდ, ჯერ
კიდევ იშვიათად იბეჭდება კრიტიკული წე-
რილები ამ ორგანოებში არსებულ ნაკლოვა-
ნებებზე, საკმაო ეურადლება არ ეთმობა ამ
ნაკლოვანებათა მიზეზების გამომხეურებას
და მათი აღმოფხვრის გზების განსაზღვრას.

ორ წელზე მეტია შეიქმნა და მუშაობს
თბილისის საქალაქო სასამართლო, ეურნალს
კი ამ ორგანოს მუშაობაზე არც ერთი წერი-
ლი არ გამოუქვეყნებია, თუმცა სათქმელი



ბევრია, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი.

ეურნალოში ცოტა ქვეყნდება სასამართლო პრაქტიკის მასალები, აგრეთვე მასალები გამოძიების პრობლემებზე, სასამართლოებში სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისადმი საპროკურორო ზედამხედველობაზე.

ეურნალო იშვიათად ბეჭდავს მასალებს არასრულწლოვანთა დამნაშავეობის პროფილაქტიკაზე და მასთან დაკავშირებულ მტკივნეულ პრობლემებზე.

მკითხველთა უმრავლესობამ ალბათ იცის, რომ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ განიხილა ეურნალოს მუშაობა და მიიღო ვრცელი დადგენილება ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ეურნალოდ უკვე გადადგა სერიოზული ნაბიჯი ამ დადგენილების შესასრულებლად. გაფართოვდა ავტორთა წრე, ბოლო წელს 26 ახალი ავტორი გამოვიდა მის ფურცლებზე, მაგრამ კვლავ იშვიათად იბეჭდება პერიოდურებში მცხოვრებ იურისტთა წერილები, ჯერ კიდევ ვერ არიან სათანადოდ ჩამუშავებული ეურნალის მუშაობაში ცნობილი მეცნიერები, მწერლები და პრაქტიკოსი მუშაკები.

ზოგჯერ ეურნალო გადატვირთულია დიდი მოცულობის თეორიული სტატიებით, რაც საშუალებას უქარგავს დაბეჭდოს უფრო საყურადღებო პრაქტიკული ხასიათის წერილები აქტუალურ თემებზე.

ეურნალო მთელი შესაძლებლობით არ იყენებს ყველა უარს, ცოტა იწერება დადებითი მუშაობის გამოცდილებაზე, ძალზე იშვიათად იბეჭდება ფელეტონები, რეპორტაჟები სასამართლო დარბაზებიდან, სისტემატურად არ ეწყობა შემოქმედებითი დისკუსიები, მკითხველთა კონფერენციები“.

კამათში გამოსულმა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ა. ლულუნიშვილმა აღნიშნა ეურნალოს დიდი მნიშვნელობა და ღირებულება რესპუბლიკის იურისტებისათვის და გამოთქვა რამდენიმე შენიშვნა.

„უმაღლესი სასამართლოს მუშაკებს ასეთი სახის შენიშვნები გვაქვს ეურნალის მიმართ, — თქვა ამხ. ა. ლულუნიშვილმა, — მართალია, მასში გაშუქებული ზოგადი საკითხები, თეორიული წერილები სრულყოფილია, საჭიროა და ენაბრება პრაქტიკოსებს, მაგრამ იშვიათად გვხვდება პრაქტიკულ მუშაობასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემები, რა თქმა უნდა, მთლიანობაში წარმოდგენილი, დახასიათებული ზოგადი თეორიული მონაცემებით, თუ როგორ წყევტს ცალკეულ პრობლემებს პრაქტიკა და როგორ არის ის

წარმოდგენილი თეორიულად, მაგალითად, საკუთრების საკითხები, საბინაო საკითხები, სამუშაოზე აღდგენის და სხვ. ყველა ეს საკითხი პრობლემურია, ამდენად ყველასათვის საინტერესო. მათ შესახებ სასამართლოებში არის დავები. ეურნალი ამ საკითხებს უნდა შეეხოს“.

ა. ლულუნიშვილი თავის გამოსვლაში შეეხო აგრეთვე სამართლის სამსახურის ფუნქციას დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში. მიუთითა ეურნალს, რომ მან თავის ფურცლებზე იმსჯელოს იურიდიული სამსახურების უფლებათა შესახებ.

„ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, — თქვა თავის გამოსვლაში თბილისის კიროვის რაიონის სახალხო მოსამართლემ, ფილოლოგის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. შვანიამ, — რომ ეურნალ „საბჭოთა სამართალს“ დიდი მუშაობა აქვს გაწეული, მისი ნიმართულება და პოლიტიკური ხაზი მთლიანად შეესაბამება პარტიისა და მთავრობის სადღეისო მოთხოვნებს. თუმცა, პირთუნელად უნდა ითქვას ზოგიერთი ნაჯლის შესახებ, რომელთა გაოსწორებაც საჭიროდ მიგვჩანია ეურნალის შემადგომი გაუმჯობესებისთვის; ზოგ შემთხვევაში იგა უინტერესო მასალებს გვთავაზობს, ყოველდღისობაში პრაქტიკული, მტკივნეული საკითხები კი ჯეროვნად არ შეუქდება. ჩვენს სფეროში უამრავი პრობლემაა, რომელთა გადაჭრაც, გარკვეულწილად, ეურნალმა უნდა ითავოს.

ეურნალოში ბევრი თეორიული მასალა იბეჭდება, ჩვენ კი პირიქით ვფიქრობთ — ეს უნდა იყოს პრაქტიკული ხასიათის პერიოდული გამოცემა, სადაც ყველა თეორიული საკითხი პრაქტიკულ საქმიანობასთან იქნება დაკავშირებული.

პრაქტიკოსებმა, რომელთაც აქვთ ამის უნარი, უნდა გამოიხატონ დრო ეურნალოში აქტიური თანამშრომლობისათვის, რადგან ეს ეურნალი ჩვენს სახეა, საზოგადოება მეტწილად ამ ეურნალით გვიცნობს და აფასებს ჩვენს მუშაობას“.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ი. სურგულაძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ თანამედროვეობის პრობლემების სახიანოდ არ უნდა ხდებოდეს ისტორიიზმით გატაცება, მაგრამ ეურნალი ვალდებულია თავის ფურცლებზე ადგილი დაუთმოს მასალებს ისტორიულ თემებზეც. პარტიის ხელმძღვანელები მოითხოვენ, თქვა შემდეგ პროფ. ი. სურგულაძემ, წარსულს გასწავლობდეთ თანამედროვეობის პოზიციებიდან, წარსულის — მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძვლების მი-



ხედვით შესწავლა დიდად დაგვეხმარება მომავლის განვკურთხავს. წარსულის მარქსისტულ-ლენინური შესწავლა საფუძველია არსებულის მართებული შეცნობისა და მომავლის გათვალისწინებისა.

დასასრულ პროფ. ი. სურგულაძემ თქვა, რომ ყურნალი „საბჭოთა სამართალი“ კარგად უძღვება დაკისრებულ მოვალეობას, დადებითად ავლენს იურიდიულ ფრონტის მთელ რიგ საჭიროებებს საკითხებს და თეორიულად მართებულიად აშუქებს მათ.

ა. ხოჭოლავა — ადვოკატი: „იურიდიული მეცნიერება არ არის დაცილებული სხვა სოციალური დისციპლინებისაგან, მაგალითად მომიჯნავე სოციოლოგიისაგან, რომლებსაც თავიანთი ყურნალი არა აქვთ. ამიტომ გასაგებია, რომ ქართველი მკითხველი ბევრ რამეს იგებს ამ ყურნლიდან არა მარტო იურიდიულ, არამედ სხვა საკითხებზეც. ეს ყურნლის დამსახურებაა. ამ ყურნალია ამაღლა იურიდიული სფეროს მუშაკთა კულტურა. მას სოფს პერიოდი, როცა ყურნალი, გარკვეული დროის განმავლობაში, არ გამოდიოდა და მშინ არ იყო ასეთი ინტერესი არც მეცნიერული და არც სხვა საკითხებისადმი, რასაც ახლა იჩენენ ჩვენი პრაქტიკოსები თუ თეორეტიკოსები.

მე არ მიმაჩნია მართებულად მოსაზრება, თითქოს ყურნალი „საბჭოთა სამართალი“ მხოლოდ და მხოლოდ პრაქტიკული საკითხები უნდა აღძრას და გადაჭრას. თანამედროვე სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა ყველა დარგში დადასტურა, რომ ვერცერთი წოდებული პრაქტიკული მოღვაწეობა დიდ შეცდომებს უწყობს, თუ თეორიულ მონაცემებსა და წინამძღვრებს არ ეყრდნობა. მით უმეტეს, როცა იურიდიულ მეცნიერებაზე ვლაპარაკობთ, არ არის არც ერთი კაუსი, რომელიც თეორიული წინამძღვრიდან არ გამომდინარეობდეს. თეორია ხომ განვითარდებოდა, უფრო მეტ სიმძლავრე აყვანილი პრაქტიკაა“.

შემდეგ ა. ხოჭოლავა შეეხო განსახილველ პერიოდში ყურნლის ფურცლებზე სამოქალაქო საკითხებზე დამოკვეყნებულ მასალებს და განსაკუთრებით აღნიშნა თ. ლილუაშვილისა და რ. ცინცაძის სტატიები, რომლებშიც რთული პრობლემებია დასმული და საინტერესოდ განხილული.

ვ. დგებუაძე — ადვოკატი: „საქართველოში მაჩინა ყურნალი თავის ფურცლებზე ადგილი დუთმოს მასალებს სახალხო სასამართლოებას გადაწყვეტილებათა აღსრულების წესის შესახებ არცერთ ისე იშვიათად სხვადასხვა ორგანოები არ ცნობენ სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებას. მაგალითად,

ასეთი გადაწყვეტილებები წლობით შეუსრულებელი დევს რაისაბჭოს აღმასკომებში. ყურნალი ამ საკითხებში უნდა დაინტერესდეს.

ნ. წიქორიძე — ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე: „ყურნალი დროულად ეხმარება მიმდინარე მოვლენებს, ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკის კარგი პროპაგანდისტი. მასში ზომიერად არის შეტყუებული სხვადასხვა ხასიათის მასალები.

საჭიროდ მიგვიჩნია ყურნალი გამოაქვეყნოს მასალები სასამართლო პროცესში სახელმწიფო ბრალდებლისა და ადვოკატის მიერ საპროცესო ნორმებისა და სასამართლოში გამოსვლის ეთიკის განუხრულად დაცვის შესახებ, სახელმწიფო ბრალდებლისა და ადვოკატის მიერ საბრალდებო და დაცვიო სიტყვების აგებისა და წარმოთქმის კულტურის შესახებ. ეს განსაკუთრებით სჭირდება ახალგაზრდა იურისტებს, რომელთაც ამ საქმის პრაქტიკული გამოცდილება აკლიათ, და, ალბათ, ზოგიერთ გამოცდილ პრაქტიკოსსაც არ აწყენს.

ყურნალი არ იბეჭდება მასალები იურისკონსულტების მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შესახებ. ასეთი შინაარსის წერილების გამოქვეყნება საჭიროდ მიმაჩნია, რადგან პრაქტიკაში ხშირად გხვდებით შემთხვევებს, როდესაც იურისკონსულტი ვერ ერკვევა თავის უფლება-მოვალეობაში, საპროცესო ნორმებში და პროცესის მსვლელობისას ისეთი უშუამღვამლობას აყენებს ან ისეთი მოთხოვნით გამოდის, რომ უპირისპირდება თვით იმ ორგანიზაციას, რომლის ინტერესებსაც იგი წარმოადგენს. ეს ზოგჯერ შეუხვედრად მოსდით, რადგან კარგად არ არიან ორბენტირებული სამართლის ნორმებსა და თავის უფლება-მოვალეობაში“.

ც. კალაძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი: „ხელმძღვანელი ორგანოები დიდ ყურადღებას და ზრუნვას იჩენენ ქართული სალიტერატურო ენისა და ქართული ბეჭდვითი სიტყვის მოსავარებელი პრობლემების მიმართ. ცნობილია, რომ სალიტერატურო ენისათვის ზრუნვა სახელმწიფოებრივ საქმედ იქცა ჯერ კიდევ ამ 50 წლის წინ. ამიტომ, ისევე როგორც სხვა პერიოდული გამოცემები, ყურნალი „საბჭოთა სამართალი“ უნდა გამოირჩეოდეს კარგი ენობრივი ქსოვილით, დახვეწილი სტილით, მოწესრიგებული ორთოგრაფიით, ლაკონიური და მოქნილი ფრაზით.

ჯერჯერობით კი ყურნალი ვერ დგას თანამედროვე მკითხველის მოთხოვნილებათა

დონეზე, თუმცა აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით ზრუნვა ქურნალში მოთავსებულ სტატიებს აშკარად ეტყობა.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის სათანადო განყოფილება 1966 წლიდან თვალს ადევნებს „საბჭოთა სამართლის“ მუშაობას, კერძოდ მის ენობრივ მხარეს. განყოფილებას ქურნალიდან ამოკრეფილი დიდძალი მასალა დაუგროვდა. ზოგადი შთაბეჭდილება ასეთია, რომ ქურნალი თანდათან ხეწს და აუმჯობესებს თავისი სტატიებს ქართულს, თუმცა სამუშაო ჯერ კიდევ ბევრი რჩება.

შემდგომ ამხ. ც. კალაქემ ურადლება გაამახვილა ქურნალის ტიპიურ ენობრივ შეცდომებზე, გამოთქვა ფრიალ საჭირო მოსაზრებები ქურნალის მასალების სტილისტური დახვეწის თვალსაზრისით და თქვა: „საბჭოთა სამართალს“ ათასობით მკითხველი ჰყავს. ისინი ქურნალის საშუალებით მართო საჭირო ინფორმაციას როდი იღებენ, ეს ქურნალი, ამავე დროს არის ერთ-ერთი წყარო ადამიანების მიერ ენის შეთვისებისა, ენობრივი კონსტრუქციების დაუფლებისა. ამ სერიოზული მიზეზის გამო „საბჭოთა სამართლის“ ენა უნდა იყოს უზადო-მაქსიმალურად მოწესრიგებული, მოქნილი და შთამბეჭდავი“.

„მადლობა მინდა გადაუხადო ამხანაგებს, — თქვა კონფერენციის დასასრულს ქურნალის მთავარმა რედაქტორმა **ო. კაციტაძემ**, — რომელთაც გამოიწვიეს დრო, ერთხელ კიდევ სერიოზულად, გულდასმით გადაიკითხეს ქურნალის ორი წლის ნომრები და დღეს აქ გამოთქვეს საქმიანი შენიშვნები და წინადადებანი. მე ვფიქრობ, რომ გამოსულმა ორატორებმა სერიოზული პრეტენზიები წა-

უყენეს ქურნალის რედაქციას, **სარედაქციო კოლეგიას**, ჩვენს კოლექტივს.

გამოთქმული რიგი შენიშვნებისა, რა თქმა უნდა, განპირობებულია გარკვეული მიზეზებით, რაც მკითხველისათვის შეიძლება არ იყოს ცნობილი. თუ გნებავთ იმით, რომ წლების მანძილზე არ გვეყავდა კორექტორი, სტილისტი, თანამშრომელთაგან არც ერთი ფილოლოგი არ იყო და სხვა.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს ქურნალს მხოლოდ რედაქციის კოლექტივი აკეთებდეს. ქურნალს აკეთებს დიდი კოლექტივი — აღდგენიდან ოცი წლის მანძილზე ქურნალის ფურცლებზე გამოვიდა 571 ავტორი, თითოეულ მასალაზე იწერება რეცენზია, აი ვინ აკეთებს ქურნალს. ჩვენ ვალდებული ვართ ურადლებით მოვისმინოთ, გავითვალისწინოთ ყველა კრიტიკული შენიშვნა და ავამაღლოთ ქურნალის იდეურ-პროფესიული დონე. ეს მოხერხდება მხოლოდ და მხოლოდ ერთობლივი მუშაობით — რედაქციის კოლექტივის, რედაქოლეგიისა და პრაქტიკოს თუ სწავლულ იურისტთა შეთანხმებული ურთიერთობით“.

მკითხველთა კონფერენციაზე გამოვიდა ქურნალის რედაქციის წევრი, **იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ტყეშელაძე**, რომელმაც აღნიშნა, რომ განხილვა ნაყოფიერი აღმოჩნდა, წამოყენებულ იქნა ბევრი საგულისხმო მოსაზრება, რომელთაც რედაქცია და რედაქოლეგია მომავალში გაითვალისწინებენ.

გ. ტყეშელაძემ გამოთქვა აგრეთვე რამდანიმე შენიშვნა ქურნალის მუშაობის თაობაზე.

მ. გ. ლეკვიშვილი



გარდაიცვალა ღვაწლმოსილი იურისტი, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრი შალვა მისცილის ძე ლეკვიშვილი.

შ. ლეკვიშვილი დაიბადა 1902 წელს ქ. ქუთაისში გლეხის ოჯახში. გიმნაზიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ შ. ლეკვიშვილიმა მიიღო უმაღლესი განათლება და სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურებოდა ხალხს. დამთავრებული ჰქონდა რა ეკონომიკის, აგრონომიისა და იურიდიული ფაკულტეტები, იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა ამ სპეციალობებითა და უკვლევან დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, როგორც უაღრესად კეთილხანდისიერ და მაღალი კვალიფიკაციის უმწიკვლო მუშაკს.

ქართველ იურისტთა რიგებში შ. ლეკვიშვილი 1938 წლიდან ჩაღვა, როცა საქართველოს სსრ პროკურატურაში სა-

გამოძიებო განყოფილების პროკურორად დანიშნეს. 1943-1949 წლებში მუშაობდა საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროში ჰერ რევეზორად, უფროს რევიზორად, ხოლო შემდეგ განყოფილების გამგედ. 1949-1954 წლებში არჩეული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად, თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო 1954 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრია.

1965-1975 წლებში შ. ლეკვიშვილი არჩეული იყო რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის წევრად, ოქტომბრის რაიონის იურიდიული კონსულტაციის პარტიზურის მდივნად, ხოლო საზოგადოებრივ საქმიანებზე მთელი სიცოცხლე აქტიურად ხელმძღვანელობდა საზოგადოება „ცოდნის“ სამართალმცოდნეობის სექციას.

შ. ლეკვიშვილი რამდენიმე წიგნისა და სტატიის ავტორია, 1937 წელს გამოცემული და მასინ საკმაოდ გახმაურებული წიგნი „შრომის კანონმდებლობის კომენტარები“ კი დღესაც ინახება უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

სანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის მიღებული ჰქონდა მრავალი ჭილდო და მაღლობა.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი

ო. ნ. კოჭავშილი



გარდაიცვალა ოთარ ნიკოლოზის ძე კოჭავშილი, რომელმაც თავისი შეგნებული სიცოცხლე სახალხო მეურნეობაში სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას შეაღია.

1950 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მას შემდეგ განუწყვეტლად მუშაობდა იურისკონსულტად. იყო თბილისის ჩაის ვადაშწონის ფაბრიკის იურისკონსულტი, საქართველოს მინერალური წყლების ტრესტის, ხოლო გარდაცვალებამდე „საქქიმმოპარაგება — გასაღების“ სამმართველოს უფროსი იურისკონსულტი. აქ მუშაობისას ო. კოჭავშილმა თავი გამოიჩინა როგორც ერთდირებულმა და კვალიფიციურმა იურისტმა.

დღიდან საქართველოს იურისკონსულტთა საბჭოს დარსებობის ითვლებოდა ამ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და დაუღალავად იღწვოდა ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანი-

ზაციებში სამართლებრივი მუშაობის სწორად წარმართვისათვის. ამასთან ერთად იყო რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟის მედიატორი-მოსამართლე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი, საქართველოს იურისკონსულტთა საზოგადოებრივი საბჭო.

ცნობები ავტორთა შესახებ

გივი ზაქარიაძე ძე ინჟინერაძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, 51 შრომისა და 5 მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

გრიგოლ ბრტამის ძე ქარაიძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის თეორიის და სახელმწიფო სამართლის კათედრის პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, 68 შრომის, მათ შორის 36 წიგნის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

რამაზ შალვაძე ძე ცინცაძე — იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 11 შრომის ავტორი, მეცხრედ გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ოთარ კალენიკაძე ძე ბაგჟალიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 36 შრომისა და 1 მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

კოკი თაყაიანიძე ძე ნარმაიანი — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი, 10 შრომისა და 2 ბროშურის ავტორი, მეხუთედ გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

მინდია გურამის ძე შვამიაძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 33 შრომისა და ერთი მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ლევან დიმიტრის ძე გეგევაანიძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბირთვული ფიზიკის კათედრის დოცენტი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, 60 შრომის და 1 სახელმძღვანელოს ავტორი მეორედ გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

«САВЧОТА САМАРТАЛИ» № 2, 1979. (на грузинском языке). Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

6 23/48



ՅՈՅՈՒ ԵՐ ԵՅՅ.

И Н Д Е К С 70185